A green economy is a key outcome of human well-being and social justice when environmental risks and ecological deficits are significantly reduced. The transition to the „green economy“ is the most important driving force for ensuring sustainable economic processes. In the „Green Economy“ the natural environment is viewed not as a place for waste disposal, but as a decisive factor of economic growth. The Green Economy is actively spreading around the world and almost all countries are involved in this process.

This paper uses general and specific methods, in particular, analysis, synthesis, induction, deduction, scientific abstraction, comparative and statistical methods, as well as experts' evaluation. Publications of the National Statistics Office of Georgia are used to determine the regularity between analytical and statistical estimations. Also, theoretical and applied research of international organizations and scientist-economists are used.

The article discusses the ecological orientation of sustainable development and its economic policy in Georgia. The role and importance of the green economy is presented, the national programs for environmental protection measures in Georgia are assessed. It is noted that environmental protection and the rational use of natural resources are one of the most important conditions for the preservation of Georgia's natural heritage, its national and global value, the protection of human health and life, and the economic and social development of the country.

Key words: Green economy, environmental protection, environmental protection economic policy, instruments of environmental protection policy.

მწვანე ეკონომიკა და ორგანული სოფლის მეურნეობა

თამარ ნოზაძე

აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია,
ახალგაზრდა მეცნიერთა და სპეციალისტთა საბჭოს წევრი.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
tamar.nozadze27@gmail.com.

აბსტრაქტი: მსოფლიოში არსებულმა ფართომასშტაბიანმა ეკოლოგიურმა, სოციალურმა და ეკონომიკურმა გამოწვევებმა განაპირობა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 2015 წლის 25 სექტემბერს მიიღო A/RES/70/1 რეზოლუცია „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის განუყოფელი ნაწილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა“. მიზნები, რომლებიც ემსახურება ეკონომიკურ განვითარებას, ემყარება მწვანე ზრდის კონცეფციას, რაც გულისხმობს ეკოლოგიურად მდგრადი ეკონომიკური მოდელების განვითარებას. ტერმინი „მწვანე“ ეკონომიკა პირველად გამოყენებული იქნა ნაშრომში „მწვანე ეკონომიკის პროექტი“ („Blueprint for a Green Economy“). მწვანე ეკონომიკის კონცეფცია გადმოცემულია რიო-დეჟანეიროს მდგრადი განვითარებისადმი მიძღვნილი კონფერენციის დოკუმენტში „მომავალი, რომელიც ჩვენ გვსურს“ („Future we want“).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსდაცვითი პროგრამის (United Nations Environment Programme – UNEP) განმარტებით, „მწვანე“ ეკონომიკა არის ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებას გრძელვადიან პერიოდში და ხელს უწყობს უთანაბრობის შემცირებას, რათა მომავალ თაობას მისცეს გარემოს და მისი გაღარიბების არსებითი რისკების თავიდან არიდების შესაძლებლობა. განმარტებაში ძირითადი აქცენტი გადატანილია ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებაზე, ვინაიდან ბუნების შენარჩუნება, დაცვა და რიგ შემთხვევაში გაუმჯობესება, თავისთავად ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლებას ემსახურება. უფრო კონკრეტულად კი „მწვანე“ ეკონომიკა გულისხმობს ეკოლოგიური მოთხოვნების – რესურსების რაციონალური გამოყენების, ბუნების კვლავწარმოების პროცესების შენარჩუნების, ცოცხალი ორგანიზმების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მწარმოებლურობის გაზრდის გზით ადამიანთა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თანამედროვე ეტაპზე მწვანე ეკონომიკა ექვს მთავარ სექტორად იყოფა:

1. განახლებადი ენერჯია - მზის, ქარის, გეოთერმული, ზღვის, მათ შორის ტალღების და მიქცევა-მოქცევის, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერჯია;
2. მწვანე შენობები - ენერჯის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები;
3. სუფთა ტრანსპორტი - ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული ელექტროსატრანსპორტო საშუალებები;
4. წყლის მენეჯმენტი - წყლისა და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება;
5. ნარჩენების მენეჯმენტი - ნარჩენების მართვა, უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენების მასალის გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა;
6. მიწის მენეჯმენტი - ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების მენეჯმენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მწვანე ეკონომიკის მიწის მენეჯმენტის სექტორის მდგრადობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსპექტივაა ორგანული სოფლის მეურნეობა, რომელიც სოფლის მეურნეობის სფეროში მდგრადი განვითარების პრინციპების პრაქტიკული რეალიზაციაა. ორგანული სოფლის მეურნეობა აერთიანებს და ჰარმონიულად განავითარებს საზოგადოების ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, სოციალურ სფეროებს და აქვს შემდეგი ძირითადი ამოცანები:

1. სოციალური ამოცანები: ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღება, სასურსათო პროდუქციის გარანტირებული უზნებლობა.
2. ეკოლოგიური ამოცანები: გარემოს დაცვა, ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება, ცხოველთა მოშენების მართებული მეთოდების შემუშავება.
3. ეკონომიკური ამოცანები: ეკოლოგიურ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ბაზრის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება, სოფლის ეკონომიკური განვითარების ალტერნატიული მეთოდი, სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, ჩაკეტილი სისტემების დანერგვა და შესაბამისად, გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემცირება.

ტერმინი “ორგანული” პირველად გამოიყენა ლ. ნორტბურმა წიგნში - “შეხედე მიწას”. ტერმინი “ორგანული სოფლის მეურნეობა” ცნობილი გახდა მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში, რომელიც, ასევე, განიმარტა საერთაშორისო სტანდარტში „Codex Alimentarius GL32”, სადაც აღნიშნულია, რომ „ორგანული სოფლის მეურნეობა“ ჰოლისტიკური წარმოების მენეჯმენტის სისტემაა, რომელიც უზრუნველყოფს და ხელს უწყობს ეკოსისტემის სიჯანსაღეს, ბიომრავალფეროვნებას, ბიოლოგიურ ციკლს და ნიადაგის ბიოლოგიურ აქტივობას. შემდგომში ტერმინი გაფართოვდა და ამჯერად, ის მოიცავს ორგანული და ბიოდინამიკური პროდუქტების მიწოდების მთლიან ჯაჭვს, დაწყებული წარმოების ფაქტორებით, მასალებითა და ნედლეულით, დამთავრებული საბოლოო სახის მზა პროდუქციით, შეფუთვით და ეტიკეტირებით.

ორგანული სოფლის მეურნეობა ემყარება შემდეგ ძირითად პრინციპებს: 1. ჩაკეტილი ციკლის უზრუნველყოფა. ეკოლოგიური თვალსაზრისით, გულისხმობს თავის შეკავებას აგროქიმიკატების გამოყენებისგან, აგრეთვე კონვენციური სათესლე მასალისა და საქონლის საკვების შექმნისგან. ეკონომიკური თვალსაზრისით ჩაკეტილი წრებრუნვა მეურნეობის რესურსების აქტიური გამოყენებით ამცირებს ფერმერის დანახარჯებს და მეურნეობა ნაკლებად დამოკიდებული ხდება ქიმიურ მრეწველობაზე. 2. ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლება საკუთარი რესურსებით. მეცნიერებიც და გამოცდილებაც ადასტურებს, რომ ნიადაგის ნაყოფიერებას, მცენარის ზრდას, ცხოველთა ჯანმრთელობასა და ადამიანის ჯანმრთელობას შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. 3. ბუნებრივი რესურსებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება. ბიოლოგიური სოფლის მეურნეობის კონცეფციის მიხედვით, ბუნებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება გულისხმობს არა მარტო დამაბინძურებელი ზემოქმედების თავიდან აცილებას, არამედ ბუნებრივი რესურსების პასუხისმგებლიან, რაციონალურ ხარჯვას, რომ არ დაირღვეს ბუნებრივი ბალანსი. 4. ბუნებრივ კანონზომიერებათა გათვალისწინება და გამოყენება. პრაქტიკული მიზნების გარდა (მცენარეებისა და ცხოველების მავნებლების/დაავადებებისგან დაცვა), ბიომეურნეობაში სტაბილური გარემოს შენარჩუნება და ჯიშთა მრავალფეროვნება, ბუნებრივი კანონზომიერებებისა და რეგულირების მექანიზმების გათვალისწინება, ხელს უწყობს ბუნების დაცვასა და გადაშენების პირას მყოფი ადგილობრივი ჯიშების შენარჩუნებას. 5. მაღალხარისხოვანი სასურსათო პროდუქტების წარმოება. გარემოს საერთო დაბინძურების არსებულ ფონზე, ნიადაგში ყოველთვის არსებობს მავნე ნივთიერებების ნარჩენი რაოდენობება - პესტიციდების, სასუქების ან ნებისმიერი სინთეზური ნივთიერებების გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ბოლომდე არ დაიშალა და შესაძლებელია, სხვადასხვა ფორმით არსებობდეს ნიადაგში, მცენარეში ან საბოლოო პროდუქტში. მიუხედავად ამისა, ვინაიდან ბიომეურნეობაში

არ გამოიყენება მინერალური სასუქები და მცენარეთა დაცვის ქიმიური საშუალებები, საბოლოო პროდუქციაში არ უნდა იყოს ნარჩენი რაოდენობები.

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაძლევს განცხადების საფუძველს, რომ ეკონომიკის გამწვანება მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის აღმოფხვრის ერთ-ერთი მექანიზმია, რომლის შედეგია ადამიანის გაუმჯობესებული კეთილდღეობა და სოციალური თანასწორობა, რითაც მცირდება გარემოსდაცვითი რისკები და ეკოლოგიური დეფიციტი, ორგანული სოფლის მეურნეობა კი მწვანე ეკონომიკის მიწის მენეჯმენტის სექტორის მდგრადობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერსპექტივაა, რესურსების მდგრადი მართვის მექანიზმი და მდგრადი განვითარების საფუძველია, რომელიც მიღწევადს ხდის სასურსათო უსაფრთხოებას, სურსათის მომარაგების ჯაჭვის სტაბილურობას, გარანტირებულ სურსათის უვნებლობას, გაუმჯობესებული კვების მიღწევას, მდგრადი ეკონომიკური მოდელის განვითარებას, მდგრადი სოფლის მეურნეობის სისტემების დანერგვას, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას და მიგრაციის შემცირებას.

საკვანძო სიტყვები: მდგრადი განვითარება, მწვანე ეკონომიკა, ორგანული სოფლის მეურნეობა

ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომათა კრებული „ბიოეკონომიკა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება“. თბილისი. 2013წ.
2. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის №198 დადგენილება „ბიოწარმოების შესახებ“.
3. მ. ნაცვალაძე. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ეკონომიკური მექანიზმი. თბილისი. 2009
4. Baronio, A. M. Green Economy and the dimensions of sustainability, 2019.
5. Green Growth and Developing Countries A Summary for Policy Makers, 2012.
6. <https://sdgs.un.org/>
7. <https://www.ifoam.bio/>

ხელოვნური ინტელექტი და საერთაშორისო მიგრაცია: ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები

გიული გიგუაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორი, საქართველო
giuligiguashvili@gmail.com

აბსტრაქტი. საერთაშორისო მიგრაცია გლობალური სამყაროს მნიშვნელოვანი მახასიათებელია და განსაკუთრებით აქტიურდება მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისების, კლიმატთან დაკავშირებული კატასტროფების, პანდემიების, შეიარაღებული კონფლიქტების გამწვავების დროს. ერთი მხრივ, მიგრაცია ხელს უწყობს ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მისაღწევად; ზრდის მიგრანტთა შემოსავლებს და აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს მათი წარმოშობის ქვეყნებში სამუშაო ძალის ახალი უნარებისა და ფინანსური რესურსების გადაცემის გზით. თუმცა, მეორე მხრივ, არ უნდა დაგვავიწყდეს ქვეყნიდან „ტვინების გადინებით“ გამოწვეული ზარალის შესახებ.

საერთაშორისო მიგრაციის დინამიკაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM): 2019 წელს დაახლოებით 272 მილიონი საერთაშორისო მიგრანტი იყო მთელ მსოფლიოში, რაც მსოფლიოს მოსახლეობის 3,5%-ს შეადგენდა. 2020 წლისთვის კი მიგრანტთა რაოდენობამ 281 მილიონს მიაღწია (ზრდა 0,6%). მიგრაციის დინამიკა მზარდია საქართველოშიც: 2020 წელს საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ემიგრანტთა რიცხვმა შეადგინა 861 077 ადამიანი, რაც მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 22%-ია. 2021-2022 წლებში საქართველოდან ემიგრაციაში წავიდა 87 222 ადამიანი. ბოლო 10 წელში კი ემიგრირებულთა რაოდენობა 245 000-ს აღწევს. მიგრანტთა შესახებ მონაცემებს საქსტატი აქვეყნებს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2022 წელს, ემიგრანტების რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 25.3 პროცენტით გაიზარდა. უკანასკნელ წლებში საქართველოში იზრდება იმიგრანტთა რაოდენობაც. იმიგრანტთა ძირითადი ჯგუფები, ძირითადად, სასწავლებლად, დროებით სამუშაოდ ან ბიზნესის საწარმოებლად ჩამოდიან საქართველოში.

საერთაშორისო მიგრანტების დიდ ნაწილს შრომითი მიგრანტები შეადგენენ, რომლებიც ფულადი გზავნილების მეშვეობით უზრუნველყოფენ საკუთარი ოჯახების, და ზოგადად, ქვეყნის მოსახლეობის ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ემიგრაციის და იმიგრაციის გამომწვევი მიზეზები კომპლექსურია, მოიცავს როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ ფაქტორებს. ქართველი ემიგრანტებისთვის განსაკუთრებით საინტერესოა ევროკავშირის ქვეყნები. საქართველოს ამჟამად გააჩნია ცირკულარული მიგრაციის ოთხი ორმხრივი შეთანხმება: საფრანგეთი (2013 წ., ხელშეკრულება მოიცავს კვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტების დასაქმებას და ცირკულარულ მიგრაციას), ბულგარეთი (2019 წ.), გერმანია (2020 წ.) და ისრაელი (2020 წ.). ცირკულარული შრომითი მიგრაცია ხელს უწყობს მიგრაციული ნაკადების კანონიერ ჩარჩოში მოქცევას. სამწუხაროდ, მიგრაციული პროცესები, არცთუ იშვიათად, არალეგალურ ხასიათს ატარებს და გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული. სიდარების გაზრდილი მაჩვენებლების ფონზე, უახლოეს მომავალში, ემიგრაციული ნაკადების შემცირება ნაკლებად სავარაუდოა. ამდენად, მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების და არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული საფრთხეების შე-

სახებ; მიგრაციული პროცესების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა და მისი ეფექტური მართვა, რაც სახელმწიფოს პრეროგატივაა.

საერთაშორისო მიგრაციის მენეჯმენტში ფუნდამენტური როლი აკისრია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას. იზრდება ხელოვნური ინტელექტის (AI) როლი პოსტპანდემიური პერიოდის პრობლემების გადაჭრის, საზღვრებზე ციფრული კონტროლის გაძლიერების პროცესში. AI-ი გამოიყენება საფინანსო, ბიზნესის, სამართლის, განათლების სექტორებში, ელექტრონული მმართველობის პროცესში. ბევრ ქვეყანაში უკვე იყენებენ ხელოვნურ ინტელექტს მიგრანტთა პირადობის შემოწმების (ბიომეტრიული იდენტობის მართვის სისტემა - BIMS); საზღვრის უსაფრთხოებისა და კონტროლის; ვიზისა და თავშესაფრის განმცხადებლების შესახებ მონაცემების ანალიზისთვის, მიგრაციის ნაკადების პროგნოზირებისთვის, მთავრობის პოლიტიკისა და პროგრამების მონიტორინგისა და შეფასებისთვის და ა. შ.

განუსაზღვრელია ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები მიგრაციის შესწავლისა და გაგებისთვის: AI-ს შეუძლია, საერთაშორისო მიგრანტებს მიაწოდოს მათთვის საჭირო ინფორმაცია და რჩევები ოპტიმალურ დროში. მიგრანტებისთვის ხელმისაწვდომია არაერთი აპლიკაცია, რომლებიც გამოიყენება მიმღებ ქვეყნებში უკეთესი ინტეგრაციის, ვიზის დამუშავების მოთხოვნების ნავიგაციაში და სხვა. ელექტრონული ფოსტის მონაცემებისა და IP გეოლოკაციის გამოყენებით, შესაძლებელია მნიშვნელოვანი კვლევების განხორციელება საერთაშორისო მიგრაციის ნაკადების შესაფასებლად, მიგრაციისა და მობილობის შესასწავლად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტექნოლოგიების დანერგვა ზრდის გარკვეულ რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია პერსონალური ინფორმაციის დაცვასა და კონფიდენციალურობასთან. ხელოვნური ინტელექტის მქონე ინსტრუმენტებს არ გააჩნიათ გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება, მათი მზარდი გამოყენება შეიცავს კიბერრისკებს. ამდენად, ეფექტური AI სისტემის შექმნა მოითხოვს შესაბამისი ეთიკური და სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბებას, რომელიც ითვალისწინებს ხელოვნური ინტელექტის ტექნოლოგიურ ხასიათს.

ხელოვნური ინტელექტის განვითარების პროცესი შეუქცევადია. მისი უსაფრთხო გამოყენებისა და მაქსიმალური სარგებლის მისაღებად, პირველ რიგში, აუცილებელია ხელოვნური ინტელექტის მიმართ სანდოობის გაზრდა. კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოს ხელოვნური ინტელექტის დაფუძნებისთვის ხელშემწყობი ბიზნესგარემო აქვს, თუმცა, ამის მიუხედავად, ქვეყანაში არ არსებობს შესაბამისი საინვესტიციო პროგრამები და საჭირო ინფრასტრუქტურა.

ცალსახაა, რომ ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია, შეაგროვოს და გაანალიზოს დიდი რაოდენობით მონაცემები ბევრად მეტი სიჩქარით, ვიდრე ადამიანს, თუმცა მნიშვნელოვანია იმ გამოწვევების გააზრება, რაც უკავშირდება AI ალგორითმების მომზადებისთვის გამოყენებული მონაცემების ხარისხს, მიგრანტების მონაცემთა კონფიდენციალურობას და ალგორითმულ ანგარიშვალდებულებას და სამართლიანობას. აქედან გამომდინარე, AI ალგორითმების მოსამზადებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მონაცემები, როგორცაა, აკადემიური კვლევითი პროექტებიდან მიღებული მონაცემები, რაც იძლევა შესაძლებლობას, გაანალიზდეს არა მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები, არამედ აისახოს მიგრაციის სრული სურათი. დღეისთვის არ არსებობს საერთაშორისო მიგრაციის მართვის ერთიანი მოდელი, თუმცა ქვეყნებს შორის კომუნიკაციის გაძლიერება და მიგრაციის მართვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, ინოვაციური ტექნოლოგიების და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება, მნიშვნელოვნად სრულყოფს მიგრაციული პროცესების სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას და მიგრანტების უსაფრთხოებას.

წარმოდგენილ ნაშრომში - ხელოვნური ინტელექტი და საერთაშორისო მიგრაცია: ახალი შესაძლებლობები და გამოწვევები - აკადემიურ ლიტერატურასა და სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით, შესწავლილი და შეფასებულია საერთაშორისო მიგრაციის დინამიკა; მისი გავლენა ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე; ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები, მისი გამოყენება საერთაშორისო მიგრაციის მართვისა და საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცესში. გამოთქმულია მოსაზრებები ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში საერთაშორისო მიგრაციის მენეჯმენტის სრულყოფისა და მიგრაციის გლობალური მიდგომების დანერგვის მიზნით, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში.

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო მიგრაცია, ხელოვნური ინტელექტი, მიგრაციის მართვა

ლიტერატურა:

1. Giguashvili G. (2023). CHALLENGES OF INTERNATIONAL MIGRATION IN GEORGIA. VI International Scientific and Practical Conference «SCIENTIFIC TRENDS AND TRENDS IN THE CONTEXT OF GLOBALIZATION». September 19-20, 2023; Umea, Sweden. *Scientific Collection «InterConf+»*, No. 37(168).
2. INTERNATIONAL ORGANIZATION FOR MIGRATION (IOM) (2022). World Migration Report 2022. URL: <https://publications.iom.int/books/world-migration-report-2022>
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მიგრაცია. URL: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/322/migratsia>
4. Giguashvili, G., Khorguashvili, T., & Makasarashvili, T. (2023). Mechanisms for managing circular labor migration in Georgia. *Scientific Collection «InterConf+»*, (32(151), 77–88. <https://doi.org/10.51582/interconf.19-20.04.2023.007>
5. საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგია. URL: https://migration.commission.ge/files/ms_2021-2030_geo.pdf
6. Maria Koinova, Franck Düvell, Foteini Kalantzi, Sara de Jong, Christian Kaunert, Marianne H Marchand (2023). International politics of migration in times of ‘crisis’ and beyond the COVID-19 pandemic. *Migration Studies*, Volume 11, Issue 1, March 2023, Pages 242–257, <https://doi.org/10.1093/migration/mnac039>
7. Giguashvili, G., Makasarashvili, T. (2021). Possibilities of Using Artificial Intelligence in Post-Pandemic Georgia. *Globalization and Business*. 12, 83-87. <https://doi.org/10.35945/gb.2021.12.011>
8. Beduschi, A. (2021). International migration management in the age of artificial intelligence. *Migration Studies*, Volume 9, Issue 3, September 2021, Pages 576–596, <https://doi.org/10.1093/migration/mnaa003>
9. Lucas G. Drouhot, Emanuel Deutschmann, Carolina V. Zuccotti & Emilio Zagheni (2023), Computational approaches to migration and integration research: promises and challenges. *Journal of Ethnic and Migration Studies*, Volume 49, 2023 - Issue 2. DOI: [10.1080/1369183X.2022.2100542](https://doi.org/10.1080/1369183X.2022.2100542)
10. Osmo Kuusi and Sirkka Heinonen (2022). Scenarios From Artificial Narrow Intelligence to Artificial General Intelligence - Reviewing the Results of the International Work/Technology 2050 Study. *World Futures Review* 2022, Vol. 14(1) 65–79. DOI: [10.1177/19467567221101637](https://doi.org/10.1177/19467567221101637)
11. გაბისონია, ზ. (2022). ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი. *გამომცემლობა „იურისტების სამყარო“*, თბილისი 2022 წ. 583 გვ.
12. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) (2021). ხელოვნური ინტელექტი: არსი, საერთაშორისო სტანდარტები, ეთიკური ნორმები და რეკომენდაციები. https://idfi.ge/public/upload/Article/1111Artificial-Intelligence-GEO_Web%20Version.pdf

პოლიტიკური არასტაბილურობით გამოწვეული ეკონომიკური დაუცველობა პატარა ძალის მქონე ქვეყნებში

¹გია ზოიძე, ²გიორგი აბუსელიძე, ³შოთა ვეშაპიძე

¹ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

²პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

³ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

gia.zoidze@bsu.edu.ge

პატარა ძალის მქონე ქვეყნის წარმოქმნა და არსებობა განპირობებულია გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეთნიკური თუ ეკონომიკური ობიექტური ფაქტორებით და მათი არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი დიდი, ძლიერი ქვეყნების სურვილი და დაინტერესებაა. საერთაშორისო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებაში ძალთა წონასწორობის მექანიზმიც მონაწილეობს და მისი წყალობით პატარა ძალის მქონე ქვეყნების არსებობა რეგიონულ და მსოფლიო დონეზე, ფუნქციურ აუცილებლობას წარმოადგენს. როცა ძალთა წონასწორობის მექანიზმი დიდ ცვლილებებს განიცდის, სწორედ მაშინ ხდება დრამატული მოვლენები, რომლებიც, პირველ ყოვლისა, პატარა ძალის მქონე ქვეყნებზე ახდენს გავლენას.

ძალის პოლიტიკის პირობებში პატარა ძალის მქონე ქვეყანა ძლიერი მეზობლისგან კარგს არაფერს უნდა ელოდეს. თუ ძლიერი მეზობელი ეკონომიკურად განვითარებული, დემოკრატიული სახელმწიფოა, მაშინ პატარა ძალის მქონე მეზობელზე მისი გავლენა ყველაზე ხშირად ეკონომიკური ექსპანსიის ხასიათს იძენს.

კვლევის მიზანია დიდი თუ პატარა ძალის მქონე ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევების იდენტიფიცირება, მათი როგორც საგარეო, ასევე საშინაო ასპექტების გამოკვეთა; ამასთანავე, ჩატარებული კვლევის საფუძველზე პატარა ძალის მქონე ქვეყნებისთვის რაციონალური ეკონომიკური და პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავება;

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ქვეყნების შესწავლისას ყველაზე დიდი ყურადღება ექცევა მათ სიცოცხლისუნარიანობას, გადარჩენისა და საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილისა და ფუნქციის პოვნის უნარს, მოცემული მიზნების მიღწევისთვის საჭირო პირობებსა და მათი საგარეო პოლიტიკის სპეციფიკურ მახასიათებლებსა და მეთოდებს, რომლებიც ამ მიზნების მიღწევას უზრუნველყოფენ.

არსებული პრობლემატიკიდან გამომდინარე, ჩვენს კვლევაში შევეცადეთ, დაგვეჯგუფებინა ქვეყნები ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკური სტაბილურობის მიხედვით; დაგვხასიათებინა ისინი ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სპეციფიკური ნიშნების მიხედვით; აგრეთვე, - დაგვედგინა მათი ადგილი, ფუნქცია და როლი საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში.

თავისუფალი ვაჭრობა და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია ბევრს აძინებს. ფიქრობენ, რომ პატარა ძალის მქონე ქვეყნები ამ პროცესის შედეგად კიდევ უფრო შესუსტდებიან, მაგრამ ამჟამინდელი ვითარება გვიჩვენებს, რომ თავისუფალი ვაჭრობის მექანიზმებისგან ყველაზე მეტად მოგებულნი პატარა ძალის მქონე ქვეყნები რჩებიან (Thorhallsson, 2017). საერთაშორისო ვაჭრობის განუხრელმა ზრდამ გააძლიერა საწარმოო სპეციალიზაცია. პატარა ძალის მქონე ქვეყნები იძულებულნი გახდნენ კიდევ უფრო ვიწრო სპეციალიზაციაზე გადასულიყვნენ, რამაც მათი საერთაშორისო ბაზრისადმი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაზარდა (Eriksson and Pettersson, 2017). სამაგიეროდ, შედეგიანმა სპეციალიზაციამ მათი განვითარება უზრუნველყო. სპეციალიზა-

ციას ეფექტიანობა უნდა მოყვეს. თუ პატარა ძალის მქონე ქვეყანამ ეფექტიანი სპეციალიზაციის მეშვეობით საერთაშორისო ბაზარზე ადგილი დაიმკვიდრა, მისი ეკონომიკური განვითარება განუხრელად გაიზრდება (Neumann and Gstöhl, 2004).

ამასთან ერთად, ეროვნული უსაფრთხოების სამხედრო კომპონენტი ყოველ პატარა ძალის მქონე ქვეყანას კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული და განსაზღვრული (Fox and Fox, 1959). პირველ ყოვლისა, პატარა ძალის მქონე ქვეყნებს მართებს იმის განსაზღვრა, თუ საკუთარი ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების რომელი მიზნებისა და პრიორიტეტებისთვის ესაჭიროება შეიარაღებული ძალები. ასევე, ქვეყანას შექმნილი საერთაშორისო და რეგიონული ვითარების, ჭეშმარიტი ეროვნული ინტერესების რეალისტურად ამსახველი სამხედრო დოქტრინა უნდა გააჩნდეს.

ძალის პოლიტიკისა და გეოპოლიტიკური ინტერესების დომინირების პირობებში, პატარა ძალის მქონე, სუსტი ქვეყანა ხშირად ბუფერის როლს ასრულებდა, მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ პირობებში (სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია და ინტეგრაცია) პატარა ძალის მქონე სახელმწიფოს ამჟამად შესაძლოა, სავაჭრო ტრანზიტული გზის, სატრანსპორტო „დერეფნის“ ფუნქციაც დაეკისროს (Zoidze and Tkhilishvili, 2021). მაგალითად, „აბრეშუმის გზის“ 2000 წლის წინანდელი კონცეფცია, რომლის მეშვეობითაც აზიის, ევროპისა და აფრიკის სახელმწიფოების დაკავშირება ხდებოდა ტრანს-კონტინენტალური დერეფნის მეშვეობით, 21 საუკუნეში იქცა ინსპირაციის წყაროდ Belt and Road Initiative (BRI)-ის სტრატეგიული პროექტისთვის. შედეგად, აღნიშნული ინიციატივის განხორციელება ხელს შეუწყობს მასში შემავალ ქვეყანათა (მათ შორის, საქართველოსა და მისი მსგავსი პატარა ძალის მქონე ქვეყნების) უფრო მეტ ინტეგრირებას საერთაშორისო ლოჯისტიკურ სისტემაში, ვაჭრობისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას (Abuselidze, 2019). აღნიშნული ინიციატივა კი მოცემულ სატრანზიტო დერეფანში შემავალ პატარა ძალის მქონე სახელმწიფოთა როლს გაზრდის, ხელს შეუწყობს მათ პოლიტიკურ სტაბილურობას და მისცემს უფრო მეტ უსაფრთხოების გარანტიებს (Fredriksson and Svensson, 2003).

დიდი ძალის მქონე ქვეყნებს ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების საკმარისი მატერიალური და ინტელექტუალური რესურსები მოეპოვებათ, რასაც პატარა ძალის მქონე ქვეყანა მოკლებულია. პატარა ძალის მქონე ქვეყანას ცვალებად გარემოზე რეაგირების თვალსაზრისით არც საკმარისი მოქნილობა შეიძლება ახასიათებდეს და არც საგარეო პოლიტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფის საკმარისი საშუალებები მოეპოვებოდეს. ამიტომ პატარა ძალის მქონე ქვეყნების საგარეო პოლიტიკური სამსახურები მეტად მოქნილი და პროფესიულად კარგად მომზადებული უნდა იყოს (Rondeli, 2009).

პატარა ძალის მქონე ქვეყანა თავისი მოკრძალებული შესაძლებლობებით და საერთაშორისო პოლიტიკის შედარებით ვიწრო, ლოკალური ხედვით, ბუნებრივია, ცვალებად გარემოსთან შეგუების ნაკლები უნარით ხასიათდება. შესაბამისად, პატარა ძალის მქონე ქვეყანა რაც შეიძლება მეტად უნდა იყოს ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო რეჟიმებით, სამართლითა და ნორმებით საკუთარი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაში (Selwyn, 2014).

პატარა ძალის მქონე ქვეყნების ეკონომიკური ასპექტების განხილვიდან და არსებული შეხედულების განზოგადებიდან გამომდინარე, შეგვიძლია, ჩამოვყალიბოთ შემდეგი სახის რეკომენდაციები, რომელთა განხორციელებაც ნებისმიერი პატარა ძალის მქონე ქვეყნისთვის რთულ ამოცანას წარმოადგენს:

- შედარებითი უპირატესობის იმ ელემენტთა გამოყენება, რომლებიც უკავშირდება ინოვაციურ და პოტენციურად მძლავრ ეკონომიკურ ფაქტორებს;
- ყოველდღიურად ცვალებად გარემოსთან ადაპტირება;
- განათლებისა და მეცნიერების სფეროში შედეგიანი პოლიტიკის გატარება;

- საერთაშორისო სატრანზიტო-ლოჯისტიკურ პროცესებში ჩართულობის ზრდა;
- ბიზნესისთვის, მათ შორის უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
- საკუთარი მეურნეობისა და ექსპორტის დივერსიფიცირება;
- საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრირება;
- საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიის გაფართოება;
- სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების დივერსიფიცირება (არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ ერთ სავაჭრო პარტნიორზე).

აღნიშნული კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ როგორი მოქნილიც არ უნდა იყოს პატარა ძალის მქონე ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და როგორი სისწრაფითაც არ უნდა რეაგირებდეს იგი პირობათა და მოვლენათა ცვლაზე, მან საკუთარი სტრატეგიული მიზანი მაინც უნდა განსაზღვროს და სტრატეგიული არჩევანი უნდა გააკეთოს. საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებისა და საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის განსაზღვრისას პატარა ძალის მქონე ქვეყანა ძლიერზე უფრო ზუსტი, შეუცდომელი უნდა იყოს. დიდ, ძლიერ ქვეყანას საკუთარი სტრატეგიული შეცდომების გამოსწორების მეტი რესურსი (ვრცელი ტერიტორია, დიდი მატერიალური და ადამიანური რესურსები, მეტი დრო) გააჩნია. პატარა ძალის მქონე ქვეყანა, რომელიც თავის გადარჩენის სტრატეგიაში არასწორ არჩევანს გააკეთებს, ჩვეულებრივ, განწირულია ხოლმე.

საკვანძო სიტყვები: პატარა ძალის მქონე ქვეყნები, ეკონომიკური თავისუფლება და უსაფრთხოება, ეროვნული უსაფრთხოება, პოლიტიკური არასტაბილურობა.

ლიტერატურა

1. Abuselidze, G. (2019). European integration of Georgia and financial-economic condition: achievements and challenges. *European Journal of Sustainable Development*, 8(1), 53-53.
2. Eriksson, G., & Pettersson, U. (Eds.). (2017). *Special operations from a small state perspective: Future security challenges*. Cham: Springer International Publishing.
3. Fox, A. B., & Fox, B. (1959). *The Power of Small States: Diplomacy in World War II*. Chicago: University of Chicago Press.
4. Fredriksson, P. G., & Svensson, J. (2003). Political instability, corruption and policy formation: the case of environmental policy. *Journal of public economics*, 87(7-8), 1383-1405.
5. Hilton, R. (1996). *Small Countries, Big Lessons: Governance and the Rise of East-Asia*. New York: Oxford Press.
6. Katzenstein, P. J. (2016). Small states in world markets. In *Small States in World Markets*. Cornell University Press.
7. Kurecic, P., & Kokotovic, F. (2017). The relevance of political stability on FDI: A VAR analysis and ARDL models for selected small, developed, and instability threatened economies. *Economies*, 5(3), 22.
8. Neumann, I. B., & Gstöhl, S. (2004). *Lilliputians in Gulliver's World? - small states in international relations*. Centre for Small State Studies, Institute for International Affairs, University of Iceland.
9. Rondeli, A. (2009). A small country in the international system. Georgian Foundation for Strategic and International Studies. (In Georgian)
10. Selwyn, P. (2014). *Development policy in small countries*. Routledge.
11. Steinmetz, R. (2016). *Small states in Europe: challenges and opportunities*. Routledge.
12. Thorhallsson, B. (2017). *The role of small states in the European Union*. Routledge.
13. Veenendaal, W. P., & Corbett, J. (2015). Why small states offer important answers to large questions. *Comparative Political Studies*, 48(4), 527-549.
14. Zoidze, G., & Tkhilaishvili, G. (2021). Prospects of intermodal transportation and logistics channels development for Georgia. In *Proceedings of 25th International Scientific*

METHODOLOGICAL PROBLEMS OF DATA COLLECTION AND ANALYSIS IN TOURISM

¹Natia Beridze, ²Megi Diasamidze, ³Maiko Tebidze

¹ Assistant professor, Doctor of Business Administration Faculty of Tourism.
Batumi Shota Rustaveli State University.

² Master's student, Faculty of Tourism. Batumi Shota Rustaveli State University

³ Master's student, Faculty of Tourism. Batumi Shota Rustaveli State University

Beridze.natia@bsu.edu.ge

The tourism sector has an essential role in the sustainable development of a country. Term tourism includes a huge number of different phenomena, entities, behaviors, activities, sectors, objects associated with the movement of people inside and outside countries. Despite this complexity, many actions, strategies, policies at the local and global level depend on the quality of measurement of this complex phenomenon.

The aim of this article is to analyze traditional and modern methodological approaches in the tourism field, basic and economic aspects, impacts and limitations. Three main methods are distinguished for predicting the dynamics of tourism indicators. The assessment of the impact of tourism at the global and local levels on social and economic conditions is carried out using various methods, with the most popular and informative being: the input-output model, the social accounting matrix, the general equilibrium model and the tourism satellite account, which is the only specialized a set of tools in this area.

Keywords: *Tourism sector; tourism and hospitality statistics; modelling; data collection methodology; satellite account for tourism.*

References

1. UNWTO. (2022, September 8). International Recommendations for Tourism Statistics – 2008. United Nations, Department of Economic and Social Affairs. https://unstats.un.org/unsd/publication/seriesm/seriesm_83rev1e.pdf.
2. McKercher, B., and C. Lam. (2013). The tourism data gap: The utility of official tourism information for the hospitality and tourism industry. *Tourism Management Perspectives*. (6), 11–26.
3. Smeral, E. (2007). World tourism forecasting – keep it quick, simple and dirty. *Tourism Economics*. 13(2), 309–317.
4. Asensio, J. M. L., Peralta, J., Arrabales, R., Bedia, M.G., Cortez, P., & Peña, A.L (2014). Artificial intelligence approaches for the generation and assessment of believable human-like behavior in virtual characters. *Expert Systems with Applications*. 41(16), 7281–7290.
5. Ipk. (2014). ITB world travel trends report 2013/2014. https://sete.gr/media/1848/131213_itb-world-travel-trends-report-2013-2014.pdf
6. De Cantis, S., Parroco, A, M., Ferrante, M., & Vaccina, F. (2015). *Annals of Tourism Research*, (50), 1-18.
7. Hong, S., Li, G., Witt, S. F., & Fei. B. (2010). Tourism demand modelling and forecasting: How should demand be measured?. *Tourism Economics*. (1), 63–81.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის თანამედროვე ტენდენციების სტატისტიკური ანალიზი

¹იამზე სურმანიძე, ²ნატალია რობიტაშვილი

¹ასისტენტ პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
²ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის მართვის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Surmanidze.iamze@bsu.edu.ge

ქვეყნის დემოგრაფიული პოლიტიკა, სხვა საკითხებთან ერთად, მოიცავს მნიშვნელოვან საკითხებს: მოსახლეობის აღწარმოებას, ქორწინება-განქორწინებას, შობადობას სიკვდილიანობასა და სხვ. მათი განხილვა აუცილებელია, ასევე, რეგიონულ კონტექსტში, რათა შეფასდეს რეგიონის დემოგრაფიული რესურსები და მის საფუძველზე შემუშავდეს ადეკვატური პოლიტიკური მიდგომა, რომელიც თავის თავში მოიაზრებს დემოგრაფიული უსაფრთხოების პოლიტიკას. აქტუალურია ქვეყნის ცალკეული რეგიონების დემოგრაფიული განვითარების თავისებურებების გამოვლენა და შესწავლა, თუ რამდენად დგას მოსახლეობის შემცირებისა და მისი დაბერების პრობლემა, როგორია რეპროდუქციული პოტენციალი, რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც ეროვნული დემოგრაფიული უსაფრთხოება, ისე ქვეყნის (რეგიონის) სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

სტატიაში შესწავლილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბუნებრივი მოძრაობის აბსოლუტური მაჩვენებლების დინამიკა და მისი თავისებურებები რეგიონულ ჭრილში. კერძოდ, აჭარაში რეგისტრირებული ქორწინებებისა და განქორწინებების მაჩვენებლების დინამიკის შესწავლამ აჩვენა, რომ ბოლო წლებში ადგილი აქვს ქორწინებათა რაოდენობის შემცირებას და განქორწინებათა რაოდენობის გაზრდას, რაც გამოწვეულია როგორც სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური ფაქტორებით, ასევე ქორწინების ასაკის გადავადებით. ეს ტენდენცია უარყოფითად აისახება შობადობაზე და გრძელვადიან პერსპექტივაში ის კიდევ უფრო გაამწვავებს დემოგრაფიულ ვითარებას აჭარაში.

მთლიანად საქართველოში შემცირებული ბუნებრივი მატების ფონზე, სხვა რეგიონებთან შედარებით, აჭარა გამოირჩევა მაღალი ბუნებრივი მატებით ანუ შობადობა სჭარბობს სიკვდილიანობას. თუმცა, 2014 წლიდან ადგილი აქვს ბუნებრივი მატების კლებად ტენდენციას, რაც განპირობებულია მრავალი ფაქტორით (ბიოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და ა. შ.).

მოსახლეობის აღწარმოების დასახასიათებლად გამოთვლილია პოპროვსკი-პირლის ინდექსი, ე. წ. „სიცოცხლიანობის“ კოეფიციენტი, რომელიც უჩვენებს თანაფარდობას შობადობასა და სიკვდილიანობას შორის. ხოლო „სიცოცხლიანობის“ კოეფიციენტი მაქსიმუმს აღწევს 2014 წელს. ამასთან, 2014 წლიდან ეს კოეფიციენტი ბევრად აღემატება 2014 წლამდე არსებულ მნიშვნელობებს, რაც საკმაოდ დამაიმედებელი ფაქტია, ვინაიდან მოკლევადიან პერსპექტივაში მოსახლეობის კატასტროფული შემცირების საშიშროება არ დგას, თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ტენდენცია დამაფიქრებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ზოგიერთი რეგიონისგან განსხვავებით დეპოპულაცია აჭარაში არ შეინიშნება. ბუნებრივი მატების კოეფიციენტი ყველაზე მაღალი აჭარაშია და ის საფრთ-

ხის კრიტიკულ ზღვარზე (0,0-1.0 პრომილე) მაღალია. ასევე საფრთხის კრიტიკულ ზღვარს (13 პრომილე) მიღმა აღმოჩნდნენ შობადობისა და მოკვდავობის კოეფიციენტები.

ბუნებრივი მოძრაობის უკეთ შესაფასებლად გაანგარიშებული იქნა შობადობის, მოკვდავობის და ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტები. გამოთვლებმა აჩვენა, რომ ბოლო წლებში ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები უმნიშვნელოდ იცვლება და თითქმის სტაბილურია.

მოსახლეობის აღწარმოების ერთ-ერთი ფაქტორი - დაბადებისას სქესთა თანაფარდობა, თანდათან მცირდება და მეტწილად ნორმალურს (105-107) უახლოვდება. ბუნებრივი მოძრაობის კიდევ ერთი მაჩვენებლის - გარდაცვალების დინამიკის შესწავლამ აჩვენა, რომ კლებადი დინამიკით ხასიათდება ქალთა გარდაცვალება ფერტილობის ასაკში, რაც იძლევა დამაიმედებელ პროგნოზს სამომავლოდ, შობადობის რესურსის გაზრდის თვალსაზრისით.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა შეიძლება დავახასიათოთ მისი ეკონომიურობის ზომით. ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობა გულისხმობს შობადობის და გარდაცვალების ჯამში (ადამიანთბრუნვაში) ბუნებრივი მატების წილის მეტობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რაც მეტი სიდიდის ბუნებრივი მატება (პრომილე) და ნაკლები ადამიანთბრუნვა გვაქვს, ადგილი აქვს ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობას. 2014 წელს ეკონომიურობამ ყველაზე მაღალ ნიშნულს (30 %) მიაღწია. ამის შემდეგ კი ეს მაჩვენებელი შემცირდა, მაგრამ ის მაინც აღემატება მანამდე დაფიქსირებულ მაჩვენებლებს. აჭარაში ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობის დონის ზრდადი ტენდენცია ნიშნავს, რომ დედათა თაობის შენაცვლებისთვის ერთ ქალს უფრო ნაკლები გოგოს გაჩენა უწევს წინა წლებთან შედარებით, თუმცა მისი მნიშვნელობა (1-ზე ნაკლები) მიუთითებს, რომ აღწარმოება მეტი ადამიანთბრუნვის ხარჯზე ხდება და არა ეფექტურობის („ნაკლები დანახარჯების“) ხარჯზე.

რეგიონში მოსახლეობის დაბერების დონის შესწავლამ აჩვენა, რომ დემოგრაფიული სიბერის დონის ე. როსეტ-ბოჟე-გარნიეს სკალის მიხედვით, აჭარა დაბერების საწყისი დონიდან გადავიდა საშუალო დონეზე, რაც, ძირითადად, გამოწვეულია შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის ქვეყნიდან გადინებით (გარე მიგრაცია) სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით. თუმცა საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, აჭარა დემოგრაფიული სიბერის ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობა უკეთესია ქვეყანაში არსებულ საერთო მდგომარეობასთან შედარებით, მაინც ვერ დავარქმევთ პოზიტიურს და დამაიმედებელს გრძელვადიან პერსპექტივაში, რადგანაც ადგილი აქვს ქორწინებათა რაოდენობის შემცირებას და განქორწინებათა რაოდენობის გაზრდას, ბუნებრივი მატების კლებას, დემოგრაფიულ დაბერებას, ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობის დონის შემცირებას.

მიღებული დასკვნების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის თანამედროვე ტენდენციები საერთო ჯამში არასახარბიელოა, რაც მომავალში უარყოფითად აისახება რეგიონის როგორც დემოგრაფიულ, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ამიტომ საჭიროა დროული და ადეკვატური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რათა მომავალში თავიდან იქნეს აცილებული მწვავე დემოგრაფიული კრიზისი.

საკვანძო სიტყვები: აღწარმოება, ქორწინება, განქორწინება, შობადობა, ბუნებრივი მატება, დაბერების დონე.

ლიტერატურა:

1. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. (2013). სოციალური სტატისტიკა. თბ., თსუ, 213 გვ.
2. გელაშვილი ს., მინდორაშვილი მ., მადრაძე ნ. (2019). „სტუდენტთა დემოგრაფიული ცოდნის დონე საქართველოში“. *ეკონომიკა და ბიზნესი*, ტომი XI, #4.
3. თოთაძე ა. (2018). „საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა“. თბ., გამომცემლობა „პრინტ ავენიუ“, 32 გვ.
4. თოთაძე ა. (2012). „აჭარის მოსახლეობა“. თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 80 გვ.
5. სურმანიძე ი. (2020). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხოვნობისა და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზი. პ. გუგუშვილის დაბადებიდან 115-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „თანამედროვე ეკონომიკა, ეკონომიკური მეცნიერება და ეკონომიკის პანდემიური პრობლემები: გამოწვევები, გადაჭრის გზები“ (გვ. 351-359). 17-18 ოქტომბერი, 2020. თბილისი.
6. შელია მ. (2013). ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში (*სოციალური და ეკონომიკური პრობლემები*). თბ., გამომცემლობა „უნივერსალი“, 234 გვ.
<https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39713.pdf>
7. ჩიქავა ლ. (2014). „საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტენდენციები და რეგიონული თავისებურებანი“. დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული. თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, გვ. 6-20
<https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39642.pdf>
8. ხმალაძე მ. (2018). „მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა პოსტსაბჭოთა საქართველოში“. https://www.researchgate.net/publication/335741456_mosakhleobis_bunebrivi_modzraoba_postsabchota_sak_artveloshi
9. ხმალაძე მ. ჩიტალაძე ქ. დემოგრაფიული სტატისტიკა. თბ., 2020.
10. წულაძე გ., სულაბერიძე ა. (2015). *დემოგრაფიის საფუძვლები*. თბ., ილიაუნი, 370 გვ.
<https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39658.pdf>
11. წულაძე გ., სულაბერიძე ა., 2016. *საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები*. თბ., ილიაუნი, 90 გვ. <https://iliauni.edu.ge/uploads/other/39/39663.pdf>
12. საქსტატი. დემოგრაფიული ვითარება საქართველოში 2018. სტატისტიკური პუბლიკაცია, თბ., 2019, 144 გვ. <https://www.geostat.ge/media/27214/demograpia-2018.pdf>
13. საქსტატი. საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები. თბ., 2018, 380 გვ. <https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf>
14. საქსტატი. რეგიონული სტატისტიკა.
15. <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/93/regionuli-statistika>

საქართველოს ლურჯი ეკონომიკა და ეკონომიკური ზრდა

ნინო კონცელიძე

ოსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი. ასისტენტი, ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

n.kontselidze@bsu.edu.ge

ლურჯი ეკონომიკა მოიცავს ისეთ ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ოკეანებთან, ზღვებთან და სანაპირო ზონებთან. ის მოიცავს სექტორებს: თევზჭერას, აკვა კულტურას, ტურიზმის, საზღვაო გადაზიდვებისა და განახლებად ენერჯის, ყველა იმ სექტორს, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებას ეკოსისტემის დანაგვიანების გარეშე და გაფრთხილების გზით. ლურჯი ეკონომიკის მთავარი მიზანია, უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდა წყლის რესურსებისა და ეკოსისტემის დაცვით. ლურჯი ეკონომიკა ხშირად განიხილება, როგორც მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა წყლის რესურსების გამოყენებითა და შენარჩუნებით. ჩვენი ამოცანაა შევაფასოთ ლურჯი ეკონომიკის ეკონომიკური ასპექტები კერძოდ კი, გავლენა მთლიან სამამულო პროდუქტზე, სამუშაო ადგილებსა და მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე. ლურჯი ეკონომიკა ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ განვითარებას, ასევე ინარჩუნებს და აღადგენს ეკოსისტემასა და ბიომრავალფეროვნებას.

საქართველო მდიდარია საზღვაო რესურსებით, რომელიც წარმოადგენს ლურჯი ეკონომიკის განვითარების საფუძველს. სტატიაში განვიხილავთ და შევაფასებთ საქართველოს საზღვაო პორტების, კერძოდ კი ბათუმისა და ფოთის პორტების, ყულევის ტემინალის, ეკონომიკურ მაჩვენებლებს და მათ ამალღების შესაძლებლობებს. ოკეანეებსა და ზღვებს მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ეკონომიკის მდგრად განვითარებაში, ამის ადასტურებს ის ფაქტი, რომ მსოფლიო გადაზიდვების 80% მოდის საზღვაო ტრანსპორტზე. შავი ზღვა წარმოადგენს მნიშვნელოვან სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ ჰაბს. საზღვაო პორტების განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია რეგიონის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ბოლო წლებში საქართველოს სანაპირო რეგიონში გაიზარდა ტურისტების რაოდენობა, რამაც ხელი შეუწყო სასტუმროებისა და ოჯახური ჰოსტელების რაოდენობის ზრდას, ეს კი აისახება მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. რა თქმა უნდა, საქართველოს აქვს მეტი პოტენციალი ტურიზმის მიმართულებით. მსოფლიოში სანაპირო ტურიზმს სწრაფად მზარდი სექტორია. მდგრადი საზღვაო ტურიზმის შექმნით, ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ახალი სამუშაო ადგილები და შევამციროთ სიღარიბე.

მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი და ინვესტირების მოზიდვა-ჩართულობა ამ გრძელვადიანი სტრატეგიის განსახორციელებლად. პრაქტიკული გამოყენებისთვის აუილებელია, კარგი მენეჯმენტი და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა.

ნაშრომში წარმოდგენილია ეკონომეტრიკული ანალიზი, სადაც დაკავშირებულია საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტის მონაცემები და ბათუმისა და ფოთის პორტის შემოსავლებთან. სტატისტიკური მონაცემების რაოდენობრივი კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, ეკონომიკურ ზრდასა და ლურჯი ეკონომიკის განვითარებას შორის დადებითი კორელაცია გამოვლინდა. ძირითადი მიგნებები მოიცავს მთლიან სამამულო პროდუქტში საზღვაო ტრანსპორტისა და სანაპირო ტურიზმის სექტორიდან მიღებული შემოსავლების და ამ სექტორებში დასაქმებულთა რიცხვის მზარდი ტენდენცია.

საკვანძო სიტყვები: ლურჯი ეკონომიკა, ეკონომიკური ზრდა, საქართველოს პორტების ეკონომიკური პოტენციალი, წყლის რესურსები

ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების საკითხები²

¹ლელა თავდგირიძე, ²გიორგი ქათამაძე, ³მაია ბოლქვაძე

¹პროფესორი, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

²ასისტენტ-პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

³ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

giorgi.katamadze@bsu.edu.ge

მაღალი ხარისხის განათლება ქვეყნის წინსვლის, ეკონომიკური, პიროვნული, სოციალური და პროფესიული განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. განათლება, საყოველთაოდ აღიარებული და დაცული ადამიანის ფუნდამენტური უფლების გარდა, ასევე ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და პროგრესის საფუძველია. განათლების სისტემამ და ამ სფეროში დასაქმებულებმა უნდა უზრუნველყოს ახალგაზრდები იმ ცოდნითა და კომპეტენციით, რაც თანამედროვე მსოფლიოს საჭიროებებს პასუხობს. სწორედ ამიტომ, განათლების სხვადასხვა ინსტიტუცია უწყვეტად და სწრაფად უნდა ახდენდა თანამედროვე გამოწვევების შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებასა და სათანადო იმპლემენტაცია განათლების სხვადასხვა საფეხურზე.

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. „სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ (კანონი ზოგადი განათლების შესახებ) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მოთხოვნით „სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს უნარი, რომ სწორად განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები, და მისცეს მას სასიკეთო გადაწყვეტილებათა მიღებისა და აქტიური მოქმედების შესაძლებლობა“ (საქართველოს მთავრობა, 2005).

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ და თანმდევა გამოწვევებმა საჭირო გახდა მოზარდთა ეკონომიკურ განათლებასა და აღზრდაზე ფიქრი, დღის წესრიგში დადგა ეკონომიკური ცნობიერების ფორმირების აუცილებლობა. ეკონომიკური და სოციალური საბაზისო განათლების მიღების შესაძლებლობა უნივერსიტეტის დონეზე ხდებოდა, თუმცა ზოგადად, განათლება ადრეული ასაკიდან ქმნის საფუძველს ბავშვის შემდგომი ზრდისა და განვითარებისთვის, რომელზეც შენდება განათლების შემდგომი ეტაპები. ამიტომ მე-20 საუკუნის ბოლო წლებში სკოლის სხვადასხვა საგნებშიც გაჩნდა საბაზისო ინფორმაცია ეკონომიკურ ცნებებზე და ყურადღება დაეთმო მოზარდთა ეკონომიკურ, ფინანსურ განათლებასა და აღზრდას.

განათლებაში ჩადებული ინვესტიცია ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და მოქალაქეთა შესაძლებლობების სრულად რეალიზების, მათი მრავალმხრივი განვითარების, მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების პირობაა და დადებითად აისახება არა მარტო ბავშვების ჯანმრთელობაზე, კეთილდღეობასა და სწავლაზე, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზეც საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

² კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (SRNSFG), გრანტის ნომერი FR-22-9547. This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG), grant number FR-22-9547“

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია, განიხილოს ეკონომიკური განათლებისა და ეკონომიკური ცნობიერების შესახებ ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევები; შეისწავლოს თეორიული და პრაქტიკული ასპექტები; გამოავლინოს ეკონომიკური ცნობიერების ჩამოყალიბება/განვითარება/გაძლიერების მიდგომები და საუკეთესო პრაქტიკა და განსაზღვროს შესაბამისი სასწავლო მასალების კატეგორია.

კვლევის სიახლე: კვლევის სიახლე მდგომარეობს მეთოდოლოგიურ ნაწილშიც, კერძოდ, ნაშრომი მომზადებულია რამდენიმე დარგის ეკონომიკის, პედაგოგიკის და ფილოლოგიის მიმართულების შერეული კვლევითი მეთოდოლოგიით, რაც ანალიზის საბოლოო შედეგების სინთეზირებითაა წარმოდგენილი.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევის ფარგლებში შესწავლილი და გაანალიზებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა თეორიული ნაშრომები ეკონომიკური ცნობიერებისა და ფინანსური განათლების შესახებ, ასევე ზოგადად ეკონომიკური კონცეპტების შესწავლის პროცესის შესახებ სხვადასხვა პრაქტიკული შემთხვევები.

განათლების და ეკონომიკური/ფინანსური ცნობიერების მიმართულებით საყურადღებოა ქართველ ავტორთა: დ. უზნაძის, ქ. ჭუასელის, ივ. ჭუასელის, ნ. ჭიაბრიშვილის, ნ. ანდლულაძის, ა. ჯანელიძის, ნ. ჯიჯავაძე და სხვათა შრომები. ასევე საბაზისო ეკონომიკური ტერმინებისა და ზოგადად სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს ფუნდამენტურად განიხილავს ქართველი მეცნიერები ვ. პაპავა, ე.მეჭავიძე, ა. სილაგაძე, დ. ნარმანია, ვ. ჭარაია და სხვები.

უცხოური ნაშრომებიდან აღსანიშნავია პიაჟეს, ლოურენს სენეშის, პ. ჰანსენის, ბეკერის, მესზაროს და ევანსის, ქეისი ნათბრაუნის, ანა-გილ გარსიას, ენე სილვია სარვის, პ. სამუელსონის, ჯ. სტიგლიცის, კ. ჰოფის და სხვათა ნაშრომები. ეკონომიკურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები ნაკლებად განიხილება ქართულ სამეცნიერო სივრცეებში და უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური განათლება, ძირითადად, განიხილება სასკოლო განათლების საფეხურზე (ნ. ჭიაბრიშვილი, რ. ირემამვილი და სხვა).

ბავშვების ფინანსური განათლების მნიშვნელობა სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს თანამედროვე სამყაროში. ბევრს მიაჩნია, რომ დღევანდელ სამყაროში, ფინანსური განათლება უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო უნარია. განმანათლებლები, სკოლის რეფორმატორები და სხვები ფინანსურ განათლებას 21-ე საუკუნის იმ უნარად მიიჩნევენ, რომელიც უნდა ისწავლებოდეს სკოლაში (Masnan & Curugan, 2016:113).

გვჭირდება თუ არა ეკონომიკის ცოდნა? ამ კითხვას ილია ჭავჭავაძე ასე პასუხობს: „ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბერტყაო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზე უფრო მდიდარია, უფრო სავსეა. არც თვითონ ჩვენა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანიც და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია... მაშ, რატო ვართ ღარიბნი? მკითხავთ თქვენ. იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით, საიღამ რა ამოვიდოთ, რა ხერხითა და ოსტატობით ამოვიდოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფიც ბლომად... ცოდნის გარეშე დედამიწა თავის უხვსა და უხარბელს გულს არ გადაგვიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს“ (ჭავჭავაძე, 1986).

ეკონომიკური განათლება და აღზრდა სამეურნეო საქმიანობის დახვეწა-გაუმჯობესების, ეფექტიანობის ამაღლების და სწორი მართვის საფუძველია. ამიტომ ეკონომიკური აღზრდა მჭიდრო კავშირშია შრომით აღზრდასთან. ბავშვები ეკონომიკური და ფინანსური კონცეპტებს განვითარების თანმიმდევრული ეტაპების კვალდაკვალ ხვდებიან (Sherraden, Johnson, Guo, & Elliott, 2011).

In Kazakhstan practice, integrated reporting is a new model of reporting. To date, the methodology of its preparation has not been regulated in the Republic of Kazakhstan. Organizations may encounter certain difficulties when preparing integrated reporting in practice. For example, with the lack of legislative and regulatory provisions and the exact form of reporting, with the lack of specialists and professional practitioners to prepare such reporting, with a rather high labor input of the process of transition from the standard type of reporting to integrated reporting. However, the introduction of non-financial, but nevertheless critical for the functioning of the business, indicators into the reporting will significantly improve its quality. Taking into account the advantages of integrated reporting, we can recommend its introduction into the practice of the Republic of Kazakhstan. In this regard, the mechanism of integrated reporting should be regulated at the legislative level and the requirements of the International Integrated Reporting Council should be adapted to the Kazakhstani accounting practice. The introduction of this type of reporting will result in a voluntary transition of the organization to the principles of integrated approach to the formation of the information base, and this will lead the management and accountants of organizations to reconsider their role in society, compliance with the principles of social responsibility of business. The process of preparing the necessary information for the integrated report will lead to the improvement of both the accounting system as a whole and increase the efficiency of the strategic management accounting system, raising it to a qualitatively new level. The sooner integrated thinking is built into the organization's activities, the more naturally the connectedness of information will be manifested in management reporting, analysis and decision-making.

Keywords: *stakeholders, investment, accounting, integrated reporting, strategic management accountin*

References

1. Barth M. E., Li K., McClure C. G. Evolution in value relevance of accounting information //The Accounting Review. – 2023. – T. 98. – no. 1. – p. 1-28.
2. Brealey R. A., Cooper I. A., Habib M. A. Cost of capital and valuation in the public and private sectors: Tax, risk and debt capacity //Journal of Business Finance & Accounting. – 2020. – T. 47. – no. 1-2. – p. 163-187.
3. Eccles RG, Krzus MP, Solano C.A Comparative Analysis of Integrated Reporting in Ten Countries. SSRN Journal [Internet]. 2019 r. [cited June 14, 2022]; Available at: <https://www.ssrn.com/abstract=3345590>
4. Economic growth of Kazakhstan: factors and priorities of state regulation: monograph / scientifically edited by S.N. Alpysbayeva; Institute for Economic Research. - Nur-Sultan: Polygraph-Mir, 2020. - 145, [1] p.: pic., table. - Bibliogr.: p. 139-145 and in a footnote. - ISBN 978-601-215-190-9.
5. Flammer C., Toffel M. W., Viswanathan K. Shareholder activism and firms' voluntary disclosure of climate change risks //Strategic Management Journal. – 2021. – T. 42. – no. 10. – p. 1850-1879.
6. Freeman R. E., Dmytriiev S. D., Phillips R. A. Stakeholder theory and the resource-based view of the firm //Journal of Management. – 2021. – T. 47. – no. 7. – p. 1757-1770.
7. Penman S., Zhu J. An accounting-based asset pricing model and a fundamental factor //Journal of Accounting and Economics. – 2022. – T. 73. – no. 2-3. – p. 101476.
8. <http://www.doingbusiness.org/data>.
9. <http://www.doingbusiness.org/rankings>.

საქართველოს ფინანსური ბაზრის რეგულირების თანამედროვე მდგომარეობა

¹ირინა ვაშაკმაძე, ²ირინე თავაძე

¹ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი

²ეკონომიკის დოქტორი, ასოც. პროფესორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი

irina.vashakmadze@bsu.edu.ge

ფინანსურ ბაზრებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ძალიან დიდი პირდაპირი კავშირია: ფინანსური ბაზრები ხელს უწყობს ინვესტირებას, რომ კაპიტალის გადაცემა მოახერხონ მათთვის, ვისაც ეს სჭირდება ბიზნესის განვითარების ან, უბრალოდ, ხარჯების გასასტუმრებლად. ამ ყველაფერთან ერთად იზრდება მათი ჯამური გადასახადების მოცულობა, ბოლოს კი ეს ყოველივე ეკონომიკის ზრდით სრულდება. კვლევებმა დაადასტურა, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ფინანსური ბაზარი არსებობს და ნორმალურ დონეზე ფუნქციონირებს, ინვესტიციების მოცულობა იზრდება, რაც ავტომატურად ხელს უწყობს წარმოების, მოხმარებისა და შემოსავლების ზრდას. ეს ქვეყნები გამოირჩევა მასიური ინვესტიციებით ქვეყნის შიგნით და, შესაბამისად, პროპორციულად ვიდრე ჯანსაღ და მზარდ ეკონომიკას.

აქედან გამომდინარე, მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ბაზრის განვითარება ჯანსაღი ეკონომიკის აუცილებელი პირობაა.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია საბანკო სისტემის და ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების საკითხები, რომელთა შორისაა ცენტრალური ბანკის საქმიანობის ორგანიზება და უფლებამოსილების საზღვრები, საფონდო ბაზრის რეგულირების გაძლიერების ასპექტები.

საქართველოს დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ფინანსური ბაზარი, როგორც ასეთი, უფრო სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს, ვიდრე სხვა რომელიმე რეალურად ფუნქციური ინსტიტუტი. საქართველოს საფონდო ბირჟა პრაქტიკულად ვერ ფუნქციონირებს სრულყოფილად, რადგან ამ ფინანსურ ბაზარზე წელიწადში სულ რამდენიმე დღე ხდება გარიგებები. სახელმწიფოს მხრიდან ფასიანი ქაღალდების რეგულირების გაძლიერება აიხსნება იმ როლით, რომელსაც ეს ბაზარი ასრულებს აწმყოში და მისწრაფებით, გაიზარდოს ბაზრის საიმედოობა და ნდობა მისდამი ყველა მონაწილის მხრიდან. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ნორმალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს მისი ინფრასტრუქტურა: ბირჟები და სავაჭრო სისტემები, რეგისტრატორები, დეპოზიტარები და საკლირინგო სისტემები, საინფორმაციო, სარეგისტრაციო და კონსალტინგური სააგენტოები, ანალიტიკურ-კვლევითი და საექსპერტო ცენტრები. ბუნებრივია, არ გვაქვს ისეთი ფუნდამენტური საკითხები გადაჭრილი, როგორც არის სწორი კანონმდებლობა და რეგულაციები ფინანსურ ბაზრებთან მიმართებით, რაშიც, რა თქმა უნდა, ეროვნული ბანკის ყველაზე დიდი ჩართულობა არის მნიშვნელოვანი.

საკვლევი თემა უშაოლოდ შეეხება იმ ფაქტორებს, რომელიც გავლენას ახდენს საქართველოში საფინანსო სისტემის ფუნქციონირებას, ეროვნული ბანკის როლს საბანკო და საფონდო ბაზრის რეგულირებაში, გაანალიზებულია არსებული მდგომარეობა და შედეგები, რომელიც მოყვება არასრულყოფილად განვითარებულ ფინანსურ ბაზარს.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ბაზარი, საბანკო სისტემა, ფასიანი ქაღალდები

CAN DIGITALIZATION AND PRECISE TECHNOLOGIES BOOST BIOECONOMY DEVELOPMENT?

¹*Dina Popluga, ²Nargiz Phalavandishvili*

¹*Professor Dr.oec. Latvia University of Life Sciences and Technologies,
Faculty of Economics and Social Doctor of Economics. Latvia*

²*Assist. professor Batumi Shota Rustaveli State University, Doctor of Economics Georgia
dina.popluga@lbtu.lv*

One of the areas that makes a significant contribution to the development of the bioeconomy is the development of precision agriculture. It is a lean approach to farm management that can improve productivity and yields, thereby increasing overall farm profitability. This approach also helps to reduce the need for inputs such as water, artificial fertilizers and pesticides, thus reducing the environmental impact of agriculture. One of the challenges that actualizes the use of precision technologies in agriculture is the ambitious goals of the European Union (EU) within the framework of the Green Deal, where the EU is committed to achieving climate neutrality by 2050, in which a special role is dedicated to the agricultural sector. Therefore, the need for environmentally friendly alternatives to pest control has become extremely urgent, where the solutions offered by precision agriculture promise promising results in achieving these goals. In this article, as one of the solutions contributing to solving the described problem, i.e. reduces the amount of pesticide use, weeding robots has been examined and evaluated in more detail. This study was based on meta analysis of existing theoretical information. The results of the study reveal and analyze the socio-economic conditions for a wider use of digital technologies in agriculture, using case of weed robots.

A bio-based economy that integrates the full range of natural and renewable biological resources - land and sea resources, biodiversity and biological materials (plant, animal and microbial), through to the processing and the consumption of these bio-resources

Scope of this study:

Aim – to identify conditions important for boosting bioeconomy through digitalisation and development of precision technologies.

Tasks - To perform meta analysis of theoretical information regarding digitalization role in bioeconomy development.

Technological advances enable new operating models, which require new technological and organisational solutions. Alternative method for reducing pesticide usage in agriculture – weeding robots.

Combining information and communications technology, robotics and artificial intelligence, autonomous weeding robots can distinguish weeds from crops and precisely treat the targeted weeds at the individual plant level

Types of weeding robots:

- GPS-based mechanical weeding robots;
- Vision-based mechanical weeding robots;
- Vision-based selective spot spraying robots;
- Vision-based thermal weed control with laser.

Benefits of this method:

- Reduces labor requirements;
- Likelihood of injury or toxicity to humans;

- Highly precise, reducing negative environmental impacts.
- Socio-economic conditions for wider use of weeding robots

Economics conditions:

- ✓ Unsufficient cost-effectiveness analysis of weeding robots.
- ✓ Limited adoption and data availability from farm trials.
- ✓ Lack of studies comparing the importance of different technology attributes, labour cost, and plot characteristics in determining the effectiveness of weeding robots

Social conditions:

- ✓ Lack of desire to learn and change practices.
- ✓ Fear of using new technologies.
- ✓ Larger farms focus more on the economic advantages and prefer large autonomous tractors.
- ✓ Small-scale or organic farms consider the environmental impacts of robots and favour small robots.

General conclusions

1. Digitalisation, in this study case of weeding robots, has potential to make a significant contribution in boosting bioeconomy development through bringing advanced technologies in agriculture.
2. However, there can be identified several economic and social conditions that currently limits:
 - farmers readiness to introduce alternative farmign methods;
 - technology providers machine design;
 - policymakers strategies to promote adoption and tackle the uncertainties regarding alternative farming methods.
3. Further research on cost-benefit analysis of weeding robots is needed.

Keywords: *bioeconomy, digitalisation, weeding robots.*

References:

1. Francis S. (2019) FarmWise launches autonomous weeding robot. Pieejams: <https://roboticsandautomationnews.com/2019/01/07/farmwise-launches-autonomous-weeding-robot/20383/>
2. Li Y., Feng Z.G., Show S. (2022) Key technologies of machine vision for weeding robots: A review and benchmark. *Computers and Electronics in Agriculture*, 196(4):106880, DOI: 10.1016/j.compag.2022.106880
3. Philip J. (2020) Digitalisation in the bioeconomy: Convergence for the bio-based industries. Pieejams: <https://www.oecd-ilibrary.org//sites/bd16d851-en/index.html?itemId=/content/component/bd16d851-en#>
4. Tunberg M. (2019) The digitalisation of the bioeconomy will provide opportunities for operators and ICT providers. Pieejams: https://www.analysismason.com/globalassets/x_migrated-media/media/analysys_mason_bioeconomy_digital_transformation_quarterly_oct2019.pdf
5. VTT (2017) Bits and biomass: A roadmap to the digitalisation – empowered bioeconomy. Pieejams: <https://www.vttresearch.com/sites/default/files/pdf/visions/2018/V12.pdf>
6. Wang A., Ang W., Seng K. (2019) A review on weed detection using ground-based machine vision and image processing techniques. *Computers and Electronics in Agriculture* ,Volume 158, 226 – 240

ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ტრანსფორმაცია ციფრული ეკონომიკის პირობებში

¹დავით ქათამაძე, ²გულიკო ქათამაძე, ³ინდირა დავითაძე

¹ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი

²ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი

³დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი
gatamadze.davit@bsu.edu.ge

საზოგადოების ინფორმატიზაციის თანამედროვე ეტაპზე შრომის ბაზარზე მიმდინარეობს არსებითი ცვლილებები. შრომის ბაზარი ინდივიდისგან მოითხოვს მაღალტექნოლოგიურ კომპეტენციებს. იცვლება შრომითი საქმიანობის ფორმები. საზოგადოების ინფორმატიზაციისა და ციფრული ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელება მნიშვნელოვნად ცვლის შრომის ხასიათსა და ორგანიზაციას, განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს დასაქმებულთა ცოდნასა და კომპეტენციებს. ციფრული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება იწვევს ახალ ციფრულ უნარ-ჩვევებზე მოთხოვნების ზრდას. შრომის ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები ყალიბდება სერიოზული გამოწვევების სახით, რომელთა შორის უმთავრესია: ახალი პროფესიების წარმოშობა, დასაქმების სტრუქტურის ცვლილება, ბევრი პროფესიის გაუქმება, უმუშევრობის ზრდა, ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ტრანსფორმირება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასაქმების დისტანციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ არატრადიციულ და არაფორმალურ ფორმებს; გამოიკვეთა პრობლემები შრომითი კადრების მომზადების სფეროში. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უსწრაფესი ტემპებით განვითარება და მათმა დანერგვამ ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში, მოახდინა შრომის ბაზარზე არსებითი გავლენა – იცვლება მისი სტრუქტურა და შრომის ბაზრის სუბიექტებს შორის ყალიბდება ურთიერთობის ახალი ფორმები. თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობა განდა დასაქმებულების მიმართ მთავარი მოთხოვნა. ამ პროცესებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სფეროში.

ციფრული ეკონომიკის გამოწვევებიდან აღსანიშნავია ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ტრანსფორმაცია კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის მკვეთრად ზრდის მიმართულებით. ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სფეროში ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები. სულ უფრო იზრდება მოთხოვნა განათლების მაღალი დონის მქონე ადამიანებზე. შრომის ბაზარზე იკვეთება გარკვეული შეუსაბამობა კადრებზე მოთხოვნასა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მომზადებული სპეციალისტების სტრუქტურულ, თვისებრივ და რაოდენობრივ მახასიათებლებს შორის. შესაბამისად, სულ უფრო აქტუალური ხდება კადრების მომზადებისა და მენეჯმენტის სრულყოფა თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით.

თანამედროვე ეტაპზე ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სპეციფიკის შესაფასებლად გამოიყენება შემდეგი სახის მახასიათებლები: 1. ინფორმაციულ სფეროში დასაქმებულ თანამშრომელთა ხვედრითი წილის ზრდა; 2. დასაქმებულთა კვალიფიკაციაზე მოთხოვნის ზრდა; 3. არაფორმალური დასაქმების ზრდა.

ამ მახასიათებლების მიხედვით პერსონალის მართვის სრულყოფა მოითხოვს მნიშვნელოვან ცვლილებებს შრომის ბაზრის სტრუქტურაში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების გზით. ინოვაციუ-

რი ტექნოლოგიების მართვის უნარ-ჩვევების ფლობა გახდა დასაქმებულების მიმართ წაყენებული მთავარი მოთხოვნა. თუმცა დასაქმების სხვა სფეროებში წარმოიქმნა სხვა სახის რისკები, რომლებზეც გამკლავება მოითხოვს ღრმა პროფესიული უნარების შეძენას და ფორმების შემოღებას.“ (ლაგვილავა, 2020: 8).

ადამიანური რესურსების მენეჯმენტზე ციფრული ეკონომიკის გავლენა მნიშვნელოვანი სამეცნიერო-პრაქტიკული და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა, რომელსაც მე-20 საუკუნის ბოლოს მიექცა განსაკუთრებული ყურადღება. 2000-იანი წლებიდან ციფრული ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესაბამისად, აღნიშნული პრობლემის კვლევამ შეიძინა გაცილებით მეტი აქტუალობა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ინოვაციური ტექნოლოგიების ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში საყოველთაო ინტეგრაციამ გამოიწვია არსებითი ცვლილებები უპირველესად, ადამიანური რესურსების მენეჯმენტისა და განათლების სფეროებში.

ციფრული ეკონომიკის, ბიზნესისა და შრომითი რესურსების მენეჯმენტის ურთიერთმიმართებაში გაჩნდა ახალი მოვლენები, პრობლემა გახდა კომპლექსური, მრავალწახნაგოვანი. ციფრული ტექნოლოგიების მაღალმა დონემ განაპირობა ე. წ. ქსელური ეკონომიკის ფორმირება. დღევანდელი საწარმოები არაა კონცენტრირებული ერთ ადგილზე, იქმნება საწარმოთა ქსელები, რომლებიც ტერიტორიული დაშორების მიუხედავად, კომუნიკაციებს ამყარებენ დროის რეალურ რეჟიმში. პერსონალის მენეჯმენტის ყველა დონეზე რეალიზებულია პირდაპირი კავშირი ქსელის ნებისმიერ ელემენტზე, რითაც მნიშვნელოვნად იზრდება შრომის ნაყოფიერება, ინერგება მაღალი დონის ინფორმაციული ლოჯისტიკა, მცირდება მმართველობითი ოპერაციების შესრულების დრო, გამონათვისუფლდება დროითი და შრომითი რესურსები საწარმოს სხვა საჭიროებებისთვის, მცირდება პერსონალის გადამზადების ხარჯები [9].

ასეთ პირობებში შრომის ბაზარზე მეტი მოთხოვნა იქნება ინტელექტუალურ კადრებზე. მათ მოეთხოვება, გააჩნდეთ უწყვეტი სწავლების სურვილი, შემოქმედებითი მიდგომები და ინფორმაციასთან მუშაობის უნარები. დღეისთვის შრომის ბაზრის, ადამიანური რესურსების მენეჯმენტისა და ციფრული ეკონომიკის მეცნიერულ კვლევას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც ცალკეული ქვეყნის, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებში. ციფრული ეკონომიკის ზეგავლენის შედეგად ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სფეროში შექმნილი პრობლემების გადაჭრის მიზნით საჭიროა, გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. უმაღლესი და პროფესიული განათლების სისტემა მოერგოს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; ახალი კადრების მომზადება-გადამზადების დროს უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ინოვაციური ტექნოლოგიების მართვის უნარების გამომუშავებაზე. ამ მიზნით კერძო სექტორის კომპანიები და საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა გადავიდნენ უწყვეტი თანამშრომლობის რეჟიმზე;

2. კერძო კომპანიების ბაზარზე უნდა ამოქმედდეს პროფესიული სასწავლებლები, სადაც ძველმა, გამოცდილმა, პროფესიონალმა პერსონალმა თავიანთ ფირმებში დასაქმებულ ახალგაზრდებს უნდა შეასწავლონ უშუალოდ სამუშაო უბნებსა და პოზიციებზე მორგებული უნარ-ჩვევები;

3. შრომის ბაზარზე ციფრული ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად, მიმდინარე ცვლილებების კვალდაკვალ რადიკალური ძვრები უნდა გატარდეს ადამიანური რესურსების მენეჯმენტში, რათა პერსონალი იოლად მოერგოს სამუშაოს გარემოს, შრომით პირობებს და მაქსიმალურად გამოავლინოს მისი პოტენციალი;

4. ადამიანური რესურსების მენეჯმენტი უნდა გახდეს უფრო ლოიალური, ჰუმანური და ნდობაზე აგებული, და არა მკაცრი, სადამსჯელო, დიქტატორული, რადგან დასაქმების მონიტორინგის უხეში მექანიზმი, თანამედროვე ცივილიზაციის ინტელექტუალურ ეპოქაში არაეფექტურად მოქმედებს დასაქმებულებზე, ვიდრე შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზების გარემო პირობების შექმნა.

საკვანძო სიტყვები: შრომის ბაზარი, ციფრული ეკონომიკა, ელექტრონული სწავლება, ციფრული ტექნოლოგიები, პერსონალის შერჩევა, განვითარება, ახალი თანამშრომლის ტრანსფორმაცია, ადამიანური კაპიტალი.

ლიტერატურა:

1. **აბულაძე რ. (2019).** ციფრული ეკონომიკა სიღარიბისა და უთანასწორობის წინააღმდეგ. www.bm.ge. 14 აგვისტო, <https://www.bm.ge/ka/article/cifruli-ekonomika-sigaribis-da-utanasworobis-winaagmdeg---rati-abuladze/38437> (ბოლო ნახვა 14.09.2023).
2. **ლაგვილავა ე. (2020)** კადრების მომზადების სისტემის ტრანსფორმაცია ციფრული ეკონომიკის პირობებში. Journal “The New Economist”, N1-2 (2020), Vol 15, Issue 1. P. 7-19; <http://www.neweconomist.com.ge/journal/article/kadrebis-momzadebis-sistemis-transpormacia-cipruli-ekonomikis-pirobebSi-1594468243> (ბოლო ნახვა 14.09.2023).
3. **საქართველოს... (2023)** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. საქართველო 2022. პროექტი. http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2022.pdf (ბოლო ნახვა 14.09.2023).
4. **ფირანიშვილი ი. (2017).** სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის დანერგვის მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში.//ახალი ეკონომისტი. #2(45)
5. **ხიდაშელი თ. (2018)** საინფორმაციო საზოგადოება და საქართველოს ევროკავშირში ასოციაციის დღის წესრიგი. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. თბ.. <http://asocireba.ge/files/Tina-Khidasheli-IS-2018.pdf> (ბოლო ნახვა 25.04.2020).
6. **Øverby H. (2018).** Digital Economics How Information And Communication Technology Is Shaping Markets Businesses And Innovation. English Edition. By HARALD VERBY, JAN A.AUDESTAL. EBOOK <https://www.amazon.ae/Digital-Economics-Information-Communication-Technology/dp/1986751392> (ბოლო ნახვა 25.04.2020).
7. Negroponte N. (1996). Being Digital. New York, 1995. <file:///C:/Users/user/Downloads/Nicholas-Negroponte-Being-Digital-Vintage-pdf> (ბოლო ნახვა 14.09.2023).
8. https://gurovpr.ru/netcat_files/userfiles/gurov-article.pdf (ბოლო ნახვა 25.04.2020).
9. <file:///C:/Users/user/Downloads/transformatsiya-trudov-h-otnosheniy-v-usloviyah-informatizatsii.pdf> (ბოლო ნახვა 14.09.2023).
10. https://www.researchgate.net/publication/333842924_Kollekcija_kejsov_i_instrumentov_dla_ocenki_cifrovyh_k_ompetencij_v_ramkah_programmy_DigComp (ბოლო ნახვა 14.09.2023).

სასურსათო უსაფრთხოებისა და მდგრადობის გობიერტი საკითხისათვის

¹რუზო მანველიძე, ²ლუილა ცეცხლაძე

*¹ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო
²ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო
Manvelidze.revaz@bsu.edu.ge*

ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობისთვის სასურსათო უსაფრთხოება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-დემოგრაფიული მიმართულებაა. ბუნებრივია, მისი შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. სასურსათო უსაფრთხოების საკითხებმა კიდევ უფრო მეტი აქტუალობა შეიძინა პანდემიის პერიოდში და დაადასტურა ქვეყნების სასურსათო დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და მდგრადი განვითარების ძირითადი მიმართულების სტრატეგიის დადგენის აუცილებლობა სახელმწიფო დონეზე.

ჩვენი აზრით, სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია უნდა დაეფუძნოს ქვეყნის მუდმივი მობინადრეებისა და დროებითი მაცხოვრებლების, ტურისტებისა და ბიზნესრესურსების სურსათზე თვითუზრუნველყოფის პრინციპს. სწორედ, აღნიშნულს ითვალისწინებს ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ეკონომიკური საფუძვლები. ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში თვით უზრუნველყოფა სრულიადაც არ ნიშნავს ქვეყნის აგრარული ან სასურსათო ინდუსტრიის იზოლაციას. პირიქით, მასში ჩვენ მოვიაზრებთ ადგილობრივი წარმოებისთვის რესურსების მოძიებას, ექსპორტის ზრდას და იმპორტის სტრუქტურის ოპტიმიზაციას, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში სრულყოფილი ჩართულობით რესურსების ოპტიმალურ ტრანსფორმაციას.

გაეროს პროგნოზით მოსახლეობის რიცხოვნობა მოიმატებს ორ მილიარდზე მეტით, ანუ ზრდის ტემპი ყოველწლიურად 80 მილიონზე მეტი იქნება. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებს თან ერთვის კლიმატის გლობალური ცვლილებები, საომარი სიტუაციები, პანდემიები და სხვადასხვა საფუძვლის კრიზისები. სწორედ, ეს და სხვა ფაქტორები წარმოადგენენ მნიშვნელოვან შეზღუდვებს მოთხოვნების შესაბამისად საკვების წარმოების გაზრდისთვის. ბუნებრივია, აღნიშნული პრობლემები ცალკეულ ქვეყნებში განსხვავებულია. ხშირ შემთხვევაში ადეკვატურია ამ გამოწვევების დაძლევის გზებიც. მათ შორისაა საქართველო, რომლისთვისაც განსაკუთრებული საზრუნავია სასურსათო ინდუსტრიის მაფორმირებელი პოტენციალის სრული და ეფექტური გამოყენება, რესურსდამზოგი და თვითუზრუნველმყოფი სტრატეგიის რეალიზაცია. სარგებლიანობის თვალსაზრისით ეფექტური ექსპორტ-იმპორტი, როგორც საშუალო ვადიან, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.

ნაშრომში წარმოდგენილია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ შერჩეული ოთხი ძირითადი მაჩვენებლის - სურსათის არსებობა, ხელმისაწვდომობა, მოხმარება და მდგრადობა - ანალიზი. ამასთან, ყურადღება აქვს დათმობილი თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლების ფაქტორების წარმოჩენას, რომელიც ადგილობრივი პოტენციალის სრულად ამოქმედების შესაძლებლობებს ეყრდნობა. საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების გადაჭრის ძირითადი კონცეფცია იყო იმპორტი. მსოფლო ბაზარზე სურსათის მიმწოდებელ ქვეყნებს შეუქმნათ სხვადასხვა პრობლემა და ძირითადი აქცენტი გადაიტანეს საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. ასევე, მათთვის საჭირო რესურსებით უზრუნველმყოფ ქვეყნებთან სასაქონლო გაცვლაზე.

ბუნებრივია ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა გრძელვადიან პერიოდში უსაფრთხოების ისეთი კონცეფციის შემუშავების საჭიროება, რომლის პრიორიტეტი იქნება სურსათით თვითუზრუნველყოფა და დეფიციტის შევსება წარმოების უპირატესი ფაქტორების მქონე ადგილობრივი ქარბი პროდუქციის ეკვივალენტური ექსპორტით. ასევე, წარმოდგენილია მოსაზრებები მდგრადი სასურსათო ინდუსტრიის განვითარების საკითხებზე.

სტატიაში წარმოდგენილია ზოგიერთი მოსაზრება სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფად არსებული რეგიონული პრობლემების შემსუბუქებისთვის. მოცემულია მდგრადი განვითარების კონცეფციის შემუშავებისა და სურსათით თვითუზრუნველყოფის ძირითადი მიმართულებების ავტორებისეული წინადადებები.

საკვანძო სიტყვები: სასურსათო უსაფრთხოება, სურსათის წარმოება, თვითუზრუნველყოფა, სტრატეგია, ექსპორტი, იმპორტი.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა -2022. https://www.geostat.ge/media/54897/External-Merchandise-Trade-2022_publication.pdf
2. საქართველოს სოფლის მეურნეობა - 2022. https://www.geostat.ge/media/54292/soflis_meurneoba_2022.pdf
3. კოდუაშვილი პაატა, არჩვაძე იოსებ, ჩიხლაძე ნიკო. სასურსათო უშიშროება - ეროვნული უშიშროების საფუძველი. ჟ. ეკონომიკური პროფილი, ტომი 17, 1(23), 2022/ <http://economicprofile.org/pdf/paatakoghhuashvili.pdf>
4. კოდუაშვილი პაატა, მამუკელაშვილი დ. საქართველოს რეგიონებში მეწარმეობის განვითარების ეკონომიკური მექანიზმი. ეკონომიკა და ბიზნესი, 2021, №2, გვ. 40-54
5. მანველიძე რ. მესხიძე ზ. მდგრადი სასურსათო მეურნეობის ფორმირების პრობლემები და შესაძლებლობები პოსტპანდემიურ პერიოდში. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, №2. 2023 <https://eb.tsu.ge/?leng=ge>
6. ხარაიშვილი ე. ატიპური კრიზისის გავლენა ხილის ბაზარზე: სტრუქტურული ცვლილებები და გამოწვევები. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი, №1. 2023
7. Wen Penga,b and Elliot M Berry. The Concept of Food Security. Encyclopedia of Food Security and Sustainability, Volume 2, 2019, 1–7. https://www.researchgate.net/publication/326524423_The_Concept_of_Food_Security
8. World Food and Agriculture – Statistical Yearbook 2022. FAO. 2022. Rome. <https://doi.org/10.4060/cc2211en>
9. Population, food security, nutrition and sustainable development. United Nations Department of Economic and Social Affairs April 2021. https://www.un.org/development/desa/pd/sites/www.un.org.development.desa.pd/files/undesapd_2021_policy_brief.pdf

ირაციონალური გადაწყვეტილებების მიღების უცნაურობები: დიმილის პროგნოზირება

დავით როინიშვილი

ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
david.roinishvili.1@gmail.com

ეს სტატია არის იმ ნაშრომების სერიის ნაწილი, სადაც გამოთქმული და შემოწმებულია ჰიპო-
თეზა ადამიანების ირაციონალურობის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა როგორც მეცნიერება (მაგალითისთვის სარგებლიანობის
თეორია), უმეტესწილად, ადამიანებს განიხილავს, როგორც რაციონალურ არსებებს, ეს კვლევა გა-
მოთქვამს ჰიპოთეზას, რომ ზემოთ აღნიშნული დაშვება არ ასახავს ინდივიდების რეალურ ქცევას
და შესაბამისად, მიიჩნევს, რომ ადამიანები სინამდვილეში არ არიან რაციონალურები. ნაშრომი
გასცემს პასუხს აღნიშნული იდეის მცირე ნაწილს, კერძოდ, იმას, თუ როგორ იწარმოება ადამიანე-
ბის მიერ დივლათის დაუფლებისგან მიღებული კმაყოფილება, სიხარული, ბედნიერება და ა.შ. ყვე-
ლა ამ ემოციას ჩვენ ტერმინში - „ემოციური კეთილდღეობა“ - გავაერთიანებთ.

კვლევა პირველად მონაცემებს იყენებს, რომელთა მოსაპოვებლად ექსპერიმენტული მიდგო-
მა გამოყენებული. ჩატარდა ორი ექსპერიმენტი, რის შედეგადაც მოხდა ადამიანების ქცევაზე დაკ-
ვირვება და მონაცემების მიღება.

პირველ ექსპერიმენტში მონაწილეობა ორი სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებმა მიიღეს,
ის სამ ჯგუფში ჩატარდა და საერთო ჯამში მონაწილეობა 138-მა სტუდენტმა მიიღო.

მეორე ექსპერიმენტს პირველისგან განსხვავებით, ქალაქ თბილისის მასშტაბით, შემთხვევითი
შერჩევა ემატება და მიზანი ერთის მხრივ პირველის შედეგების გადამოწმებაა, მაგრამ ასევე, დამა-
ტებითი ამოცანაც აქვს - მისი მიზანია, განასხვავოს „პირველადი“, მნიშვნელოვანი დოვლათის
ფლობისგან წარმოებული ემოციური კეთილდღეობა, ანუ იმის, რისი ფლობაც ადამიანებისთვის
პრინციპულად მნიშვნელოვანია, და „ფუფუნების“ ტიპის კმაყოფილება.

სტატიაში წარმოდგენილია აღნიშნული ექსპერიმენტების შედეგების ანალიზი და დასკვნა
ადამიანების ირაციონალური ქცევის შესახებ. ასევე ინდივიდების ირაციონალურობის ალგორით-
მის გამოვლენით შემოთავაზებულია რჩევები და რეკომენდაციები ეკონომიკისა და ბიზნესის
მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: ირაციონალური გადაწყვეტილებები, გადაწყვეტილებების მიღების უცნაუ-
რობები, ემოციური კეთილდღეობა, დიმილის პროგნოზირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Akerlof, George A., Janet L. Yellen, and Michael L. Katz. "An Analysis of Out-of-Wedlock Childbearing in the United States." *Quarterly Journal of Economics* 111 (1996): 277-317.
2. Ariely, Dan. 2009. *"Predictably Irrational"*. New York, NY: HarperCollins.
3. Ariely, Dan. and Wallsten, Tom. "Seeking Subjective Dominance in Multidimensional Space: An Explanation of the Asymmetric Dominance Effect," *Organizational Behavior and Human Decision Processes* (1995).

4. Asch, Solomon. "Opinions and Social Pressure." In *Readings About the Social Animal*, ed. Elliott Aronson, 13. New York: W. H. Freeman, 1995.
5. Christakis, Nicholas A., and James H. Fowler. "The Spread of Obesity in a Large Social Network over 32 Years." *New England Journal of Medicine* 357 (2007): 370–79.
6. Clark, Andrew E., Ed Diener, Yannis Georgellis, and Richard E. Lucas. "Lags and Leads in Life Satisfaction: A Test of the Baseline Hypothesis," DELTA Working Paper 2003-14, 2003.
7. Cooper, Arnold C., Carolyn Y. Woo, and William C. Dunkelberg. "Entrepreneurs' Perceived Chances for Success." *Journal of Business Venturing* 3, no. 2 (1988): 97– 108.
8. Holland, Rob W., Henk Aarts, and Merel Hendriks. "Smells Like Clean Spirit." *Psychological Science* 16 (2005): 689–93
9. Kirsch, Irving. "Antidepressants Proven to Work Only Slightly Better Than Placebo," *Prevention and Treatment* (June 1998).
10. Sherif, Muzafer. "An Experimental Approach to the Study of Attitudes." *Sociometry* 1 (1937): 90–98.
11. Thaler, Richard H., and Cass R. Sunstein. 2009. "*Nudge*". New York, NY: Penguin.

„ქეისი“ როგორც ბიზნესის კვლევის სტრატეგია

შოთა შაბურიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, თბილისი

კვლევის სტრატეგიაში ქეისის გამოყენება სულ უფრო პოპულარული ხდება თანამედროვე ბიზნესის ურთულესი პრობლემების შესწავლისას. მიუხედავად იმისა, რომ ქეისის ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალისტების სწავლების პროცესშიც აქტიურად გამოიყენება, ასევე, მკვეთრად გამოიკვეთა ამ მიდგომის გამოყენების აუცილებლობა სამეცნიერო კვლევების განხორციელებისას. ტრადიციული რაოდენობრივი მეთოდებისგან განსხვავებით ქეისებით წარმოებული კვლევის ლოგიკა ეფუძნება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენას ობიექტის ცვლადებს შორის. ამ დროს პროცესები ფენომენის და კონტექსტის ღრმა ანალიზის საფუძველზე შეისწავლება. ეს მიდგომა ერთგვარ შუალედურ რგოლს წარმოადგენს თვისებრივი მეთოდით მიღებული, მკაცრად კონტექსტუალური, ინფორმაციიდან საერთო კანონზომიერებების გამოვლენამდე. შედეგად ქეისების ანალიზი, როგორც თეორიების განვითარების პროგრესული და კუმულაციური მეთოდოლოგია, იქცა ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მიდგომად სოციალურ მეცნიერებებში.

მოცემული ნაშრომის მიზანია, ქეისების, როგორც კვლევის სტრატეგიის, გამოყენების ძირითადი უპირატესობების, ნაკლოვანებების ანალიზი, მისი გამოყენების ზოგადი სპეციფიკის, საზღვრებისა და მიზანშეწონილობის განსაზღვრა. მართალია, ძირითადი ფოკუსი ბიზნესის პრობლემებით დაინტერესებულ აუდიტორიაზე კეთდება, თუმცა, მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები შეიძლება, მეცნიერების სხვა დარგებშიც იყოს გამოყენებული. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბიზნესის ადმინისტრირების მრავალ მომიჯნავე სფეროში ქეისი კვლევის ამოსავალ სტრატეგიას წარმოადგენს. მაგალითად, ვიდოუსონის აზრით, ფსიქოთერაპიის მეცნიერების განვითარება მთლიანად ქეისების ანალიზის მეთოდოლოგიას ეფუძნება (Widdowson, 2011), ხოლო ილი აღნიშნავს, რომ ფსიქოთერაპიაში კვლევის ყველაზე მთავარი ერთეული „ქეისია“ (Eels, 2007). თუმცა, მისი თავისებურებების გამო, არსებობენ მეცნიერები, რომლებიც უარყოფენ კვლევის ასეთი მიდგომის ეფექტიანობას. მაგალითად, დემბიტსკი ქეის-მეთოდს არ მიიჩნევს არც კვლევის მეთოდად და არც მეთოდოლოგიად, რადგან მისი ჩატარების ფარგლებში გამოიყენება სხვადასხვა ინსტრუმენტის და ტექნიკების ერთობლიობა (ინტერვიუ, დაკვირვება, დოკუმენტების ანალიზი და სხვა) (Dembitsky, 2010). აღნიშნული პრობლემის ერთ-ერთი ცნობილი მკვლევარი, გერინგი, მიუთითებს რომ ქეისი დღემდე არსებობს, როგორც უცნაური მეთოდოლოგიური გაურკვევლობა (Gerring, 2004). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქეისი წარმოადგენს კვლევის სტრატეგიას, რომელიც იმდენადვეა გავრცელებული ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების და ზოგადად სოციალურ მეცნიერებებში, რამდენადაც რთულია მისი ზუსტი განსაზღვრა.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოს, რომ ტერმინი „ქეისი“ ქართული წარმომავლობისა არ არის, თუმცა, არჩევანი მაინც მასზე შევაჩერეთ. ქართული სიტყვათმეტანხმება „პრაქტიკული სიტუაცია/შემთხვევა“ ხშირად სხვა დატვირთვით გამოიყენება სამეცნიერო ლიტერატურაში, ასევე აბსტრაქტულია და სრულად ვერ გადმოსცემს ამ მოვლენის კონკრეტულ მეთოდოლოგიურ მიმართულებას. ტერმინი „ქეისი“ არა მხოლოდ მყარად შემოვიდა ყოველდღიურ სამეცნიერო და აკადემიურ ლექსიკონში, არამედ ასევე უმრავლესობისთვის ძალზედ გასაგები და მისაღებია. ამასთან, ქართულ ენაზე შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების რიცხვი, რომელიც განმარტავდა ქეისის არსს, სახეებს და

მისი, როგორც კვლევის მეთოდოლოგიის, გამოყენების საზღვრებს ბიზნესის ადმინისტრირებაში, არც ისე დიდია.

რეტროსპექტულად თუ შევხედავთ, ქეის მეთოდოლოგია, როგორც კვლევის ინსტრუმენტი, არსებობს იმდენივე ხანი, რამდენსაც პირველი ისტორიული ჩანაწერი ითვლის (Bennett, 2001). თანამედროვე მდგომარეობით კი კვლევის ამ სტრატეგიის კვალი წარუშლელია ფსიქოლოგიაში, კრიმინოლოგიაში, სამართალმცოდნეობაში, საერთაშორისო ურთიერთობებში, ანთროპოლოგიაში, ბიოლოგიაში, ისტორიაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, მენეჯმენტში, ეკონომიკაში, მედიცინაში და სხვა. ტრადიციული რაოდენობრივი მეთოდებისგან განსხვავებით, ქეისით წარმოებული კვლევის ლოგიკა ეფუძნება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენას ობიექტის (შემთხვევისა და კონტექსტის) ცვლადებს შორის და ასევე მოვლენის ინტუიციურ აღქმას (Yin, 2015). შესაბამისად, ამ მეთოდოლოგიის გამოყენება მკვლევრის მხრიდან შემოქმედებითობას, პრობლემის ღრმა თეორიულ ცოდნას და დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას მოითხოვს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ქეისების მეთოდს სხვადასხვაგვარად განმარტავენ. გერინგის მიხედვით, ეს არის ერთეული შემთხვევის ჩაღრმავებული ანალიზი უფრო ფართო კლასის რთული შემთხვევების გასაგებად (Gerring, 2004). ქეის მეთოდი ითვალისწინებს ერთეული ან უნიკალური შემთხვევის შესწავლისას მიღებული ცოდნის განზოგადებას. მისი გამოყენებისას განსაზღვრული მოვლენა საინტერესოა არა თავისთავად, არამედ როგორც რაღაც „მოვლენების კლასის“ მაგალითი. ტერმინი „მოვლენათა კლასი“ მოიცავს სოციალური სამყაროს ნებისმიერ ობიექტებს, რომლებსაც მკვლევრები შესწავლის მიზნით ირჩევენ (George, 2004). იმის მიხედვით ქეის მეთოდოლოგია თანამედროვე ფენომენის (მოვლენის) ემპირიული კვლევაა რეალური ცხოვრების კონტექსტით, როდესაც ფენომენს და კონტექსტში შორის საზღვრები ნათლად განსაზღვრული არ არის (Yin, 2015). ასევე, ინი გამოყოფს რამდენიმე ტექნიკურ ასპექტს: გამოსაკვლევი სიტუაციის უნიკალობა, დაკვირვების რამდენიმე წყაროს არსებობა, მონაცემების შეგროვების და ანალიზის თეორიული საფუძვლების არსებობა. დალის და ჰაკის თანახმად, ესაა მეთოდი, რომლის დროსაც ქეისი ან მათი გარკვეული რაოდენობა (შეღარებითი ანალიზის დროს) შეირჩევა შემდგომი თვისებრივი ანალიზისათვის (Dul & Hak, 2007). კოლისის და ჰასის მიხედვით კი, ეს არის მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება ერთი მოვლენის შესასწავლად ყოფით, ჩვეულ გარემოში სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რათა მივიღოთ გაღრმავებული ცოდნა (Collis & Hussey, 2013).

სამეცნიერო ნაშრომებში გამოყენებული ქეის სტრატეგია შეიძლება ორი პარამეტრის მიხედვით დავაჯგუფოთ - განსახილველი ქეისების რაოდენობა და თეორიასთან მისი კავშირი. მიუხედავად იმისა, რომ ქეისი ხშირად ერთეულ შემთხვევასთან ასოცირდება, უმეტესად რამდენიმე ნიმუში შეისწავლება. ამიტომ ქეის მეთოდოლოგიაში გამოყოფენ ცალკეული შემთხვევის შესწავლას (single-case study) და ასევე, სტრატეგიას, რომელიც ითვალისწინებს რამდენიმე/მრავალი ნიმუშის ანალიზს (multiplecase study). უკანასკნელი ვარიანტი გულისხმობს, რომ ყველა შემთხვევა დამოუკიდებლად შეისწავლება და შემდგომ მკვლევარი ეძებს გადაკვეთებს, საერთო კონცეფციებს და ა.შ.

კვლევის ქეის სტრატეგია აერთიანებს სხვადასხვა კვლევით ტექნიკებს. ყველაზე ხშირად ისეთ სფეროებში გამოიყენება, სადაც აუცილებელია მოვლენისა და კონტექსტის, მათი ურთიერთკავშირის რეალური და ღრმა შესწავლა. ამ მიდგომის გამოყენებისას შეიძლება გავაერთიანოთ რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები, რაც საკმაოდ ხელსაყრელ პირობებს ქმნის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის. ქეის მეთოდი შეიძლება ვარიირებდეს აღწერილობით და ამხსნელ სტრატეგიებს შორის, კონცენტრირდებოდეს ერთეულ ან მრავალ შემთხვევაზე. ქეისების სტრატეგია არ ითვალისწინებს უნივერსალურ, მზა რეცეპტებს კვლევის ჩატარებისას. კონკრეტული პროცედურა დამოკიდებულია კონტექსტზე (თეორიულ საფუძვლებზე, კონცეფციებზე, დასახულ მიზნებზე, მკვლევრის მისწრაფებებზე, მის კვლევით უნარებსა და გამოცდილებაზე).

ერთობლიობაში ეს მეთოდოლოგია სავსებით თავისუფალი, დემოკრატიული ხასიათის არის, რომელიც კარგად პასუხობს თანამედროვე ღია მეცნიერებას. ქეის მეთოდოლოგია ერთნაირად შეესაბამება როგორც პოზიტიურ პარადიგმას, რომლის მიხედვითაც სოციალურ მეცნიერებებში შესაძლებელია უნივერსალური კანონების გამოვლენა, ასევე - პოსტპოზიტიურს, რაც გულისხმობს, რომ სოციალურ მეცნიერებებში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ კონტექსტით განპირობებული მოვლენები. ამ სტრატეგიის გამოყენება მკვლევრის მხრიდან შემოქმედებითობას, პრობლემის დრმა თეორიულ ცოდნას და დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას მოითხოვს.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის ადმინისტრირება; ქეისი; კვლევის მეთოდი; კვლევის მეთოდოლოგია; კვლევის სტრატეგია.

References

1. Bennett, A. (2001). Case study: Methods and analysis. *International Encyclopedia of the Social and Behavioral Sciences* , 1513–1519.
2. Collis, J., & Hussey, R. (2013). *Business research: A practical guide for undergraduate and postgraduate students*. Palgrave macmillan.
3. Dembitsky, S. (2010). Theoretical validization on different levels of sociological research. *Sociology: theory, methods, marketing. N4* , 152–178.
4. Dul, J., & Hak, T. (2007). Case study methodology in business research. *Ro utledge*.
5. Eels, T. (2007). Generating and generalizing knowledge about psychotherapy from pragmatic case studies . *Pragmatic Case Studies in Psychotherapy*, 35-54. Retrieved from <http://pcsp.libraries.rutgers.edu> .
6. Gerring, J. (2004). What Is a Case Study and What Is It Good for? *American Political Science Review. Vol. 98. № 2.*, 341.
7. Widdowson, M. (2011). Case study research methodology. *International Journal of Transactional Analysis Research* , Vol 2 No 1, <http://usir.salford.ac.uk/id/eprint/30763>.
8. Yin, R. K. (2015). Case Studies. *International Encyclopedia of the Social & Behavioral Sciences* , 194–201.

სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები თანამედროვე პირობებში მასკინძლობის ინდუსტრიაში

სალომე სურამელი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი, თბილისი, საქართველო
ss.surameli17@gmail.com

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკური ხასიათის ძირითად გლობალურ პრობლემებს მიაკუთვნებენ სიღარიბის დაძლევის და სასურსათო უსაფრთხოებას.

სასურსათო უსაფრთხოება განეკუთვნება გლობალურ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემათა კატეგორიას. სურსათს, როგორც სასიცოცხლო უზრუნველყოფის მთავარ კომპონენტს, სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. სასურსათო პრობლემა მეტად აქტუალურია თანამედროვე მსოფლიოსთვის, რადგან დედამიწის მოსახლეობის მატება ადეკვატურ ზეგავლენას ახდენს სურსათზე მოთხოვნილების ზრდაზე. სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგია მნიშვნელოვანია დაეფუძნოს ქვეყნის სურსათის თვითუზრუნველყოფის პრინციპს, სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის მტკიცე ეკონომიკური საფუძვლის უმნიშვნელოვანეს პირობას.

HACCP-ის, იგივე საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების დანერგვის სისტემა, საქართველოსთვის ასოცირების ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულებაა. სისტემის პირველი ეტაპი 2021 წლის 1-ლ ივნისს ამოქმედდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, HACCP-ის, იგივე საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების დანერგვის სისტემის, ბოლო ეტაპის დანერგვა შესაძლოა, 2025 წლის 1-ლ ივნისამდე გადავადდეს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ მიუხედავად გონივრული ვადის მიცემისა, ფინანსური და ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო, ობიექტების უმეტესობა ჯერ ისევ არაა მზად ახალ სტანდარტებზე გადასასვლელად.

აღსანიშნავია, რომ HACCP-ის სისტემის ბოლო ეტაპი შეეხება აბსოლუტურად ყველა ტიპის ბიზნესოპერატორს, რომელიც ცხოველურ სურსათს ნებისმიერი ფორმით გადაამუშავებს ან აწარმოებს.

მიუხედავად იმისა, რომ HACCP, უპირველეს ყოვლისა, ასოცირდება კვების მრეწველობასთან, ის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ტურიზმის კონტექსტში, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც სურსათის უსაფრთხოება შემამფოთებელია, მაგ. სასტუმროებში, რესტორნებსა და საკრუიზო გემებზე.

HACCP-ს ტურისტულ სექტორში (სასტუმროები, რესტორნები) შეუძლია დაეხმაროს საკვების მიერი დაავადებების თავიდან აცილებას და უზრუნველყოს სტუმრების უსაფრთხოება და კმაყოფილება. ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ტურიზმის სხვა ასპექტებზე - უსაფრთხოება სათავგადასავლო აქტივობებში, წყლის ხარისხი საცურაო აუზებში და ჰიგიენა სპა და გამაჯანსაღებელ ობიექტებში. მთლიანობაში, HACCP ემსახურება როგორც დირექტულ ჩარჩოს რისკების მართვისა და ტურისტებისთვის უსაფრთხო და სასიამოვნო გამოცდილების უზრუნველსაყოფად.

განსაკუთრებით გამოწვევები ფიქსირდება რეგიონებში HACCP-ის სისტემის იმპლემენტაციის მიმართულებით. აღსრულების პროცესის ხარვეზების გათვალისწინებით ბიზნესოპერატორებს (საზოგადოებრივ კვების ობიექტებს, სასტუმროებს) ჯერ კიდევ არ აქვთ გააზრებული და დანერგილი აუცილებელი მოთხოვნები. ამ ახალი სტანდარტების დანერგვისთვის მიმდინარე პროექტები ემსახურება ცნობიერების ამაღლებასა და სწავლებებს, რომელიც ზოგადი ხასიათისაა, თუმცა ბიზნე-

სოპერატორების კითხვები და გამოწვევები ხშირად უპასუხოდ რჩება. მათ აქვთ კონკრეტული პრობლემები, რომლებსაც არ ან ვერ აგვარებენ, რადგან არ აქვთ საკმარისი მოტივაცია ან რესურსი.

მასპინძლობის ინდუსტრიის ბიზნესსუბიექტებსა და სურსათის ეროვნულ სააგენტოს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა ორივე მხარეს მისცემს საშუალებას, რომ მოახდინონ საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება და არსებულ რეალობაზე მორგება. რაც, ასევე, უზრუნველყოფს მარეგულირებელი ორგანოს შემოწმების შიშის დაძლევას, ასევე ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების თანმიმდევრულ შესრულებას ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოში.

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ქვეყნები, რომლებმაც უკვე გადაჭრეს სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა საკმარისობის, ხელმისაწვდომობის და თვითუზრუნველყოფის თვალსაზრისით, მაგრამ ადამიანის აქტიური და ჯანსაღი ცხოვრებისთვის კვლავ მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს კვების პროდუქტების დაბინძურების საკმაოდ მაღალი ხარისხი. სურსათის ვარგისიანობა სულ უფრო აქტუალური თემა ხდება ეკოლოგიური სიტუაციის გამწვავებისა და სოფლის მეურნეობის მზარდი ქიმიზაციის პირობებში.

დღეისთვის მსოფლიოში სურსათის უვნებლობის მართვის ყველაზე უფრო გავრცელებული, ეფექტური და ინტეგრირებული სისტემაა **HACCP**.

HACCP - საფრთხის იდენტიფიკაციისა და მასზე კონტროლის განხორციელებით უზნებელი სურსათის წარმოების საშუალებას იძლევა. **HACCP**- ის პრინციპები პირველად შემუშავდა 60-იან წლებში აშშ-ში, ამერიკულ კოსმოსურ პროგრამაზე მუშაობისას, როდესაც აუცილებელი გახდა ასტრონავტების დაცვა სურსათისმიერი დაავადებებისგან.

(HACCP) დანერგვა არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად, რომლითაც ბიზნესსოპერატორებს შეუძლიათ, თავიდან აიცილონ საფრთხეები.

HACCP არის დღეისთვის სურსათის უვნებლობის მართვის საერთაშორისოდ აღიარებული, ყველაზე გავრცელებული და ეფექტური სისტემა.

სამზარეულო სასტუმრო სფეროს უმნიშვნელოვანეს განყოფილებას წარმოადგენს . კვებითა და სასმელებით უზრუნველყოფა სტუმრის სასტუმროში ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

HACCP იმიჯრება როგორც:

Hazzard - საფრთხე

Analysis - ანალიზი

Critical - კრიტიკული

Control - საკონტროლო

Points - წერტილები

HACCP-ის პრინციპები:

1.საფრთხის ანალიზი - ნებისმიერი ბიოლოგიური, ფიზიკური თუ ქიმიური საფრთხის გამოვლენა, რაც შეიძლება მოიცავდეს: ნედლეულს, შესაფუთ მასალებს, გადამამუშავების მეთოდებს, დასუფთავების მეთოდებს, ტრანსპორტირებას და სხვა ფაქტორებს. **2. კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა;** კრიტიკული საკონტროლო წერტილი არის შესაძლებლობა, რომელიც აგვაცილებს თავიდან სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საფრთხეებს. როდესაც გამოვლინდება საფრთხე, შემდეგ ნათელი ხდება, როგორ უნდა აღმოიფხვრას იგი. **3. კრიტიკული ზღვრების დადგენა;** ყველა კრიტიკულ საკონტროლო წერტილს უნდა ჰქონდეს თავისი კვლევის საფუძველზე დადგენილი ზღვრები. ესენი შეიძლება იყოს: ტემპერატურა, ტენიანობა, დრო, წონა, კონსერვატივის კონცენტრაცია, ვიზუალური კონტროლი თუ სხვა. **4.მონიტორინგის პროცესების დაწესება;** კრიტიკული საკონტროლო ზღვრები რეგულარულად უნდა კონტროლდებოდეს. HACCP-ის გეგმა უნდა მოიცავდეს პროცედურების განრიგს, მისი ჩატარების სიხშირის განსაზღვრას. ასევე, უნდა

კონტროლდებოდას პასუხისმგებელი პირების მიერ განხორციელებული საქმიანობა და ამასთან, უნდა შეიქმნას მონაცემების ასახვის სისტემა. **5. მაკორექტირებელი ქმედებების დაწესება;** მაკორექტირებელი მოქმედებები გულისხმობს პროცედურების განსაზღვრას, რომელიც უნდა განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კრიტიკული ზღვრების დარღვევა, რომელსაც ვადგენთ კრიტიკული საკონტროლო წერტილების მონიტორინგის საფუძველზე. ღონისძიებები უნდა მოიცავდეს გეგმას, რომლის მეშვეობითაც, პარამეტრები დაუბრუნდება დასაშვებ ფარგლებს. **6. ვერიფიკაცია;** გადამოწმება გულისხმობს ყველა მეთოდს, გარდა მონიტორინგისა, რომელიც გვარწმუნებს, რომ საკვების უვნებლობის მენეჯმენტი მუშაობს ეფექტურად. შემოწმების პროცესში დაწესებული უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ხდება პოტენციური საფრთხეების იდენტიფიკაცია, პროცედურები არის ეფექტური და შექმნილ HACCP გეგმას მიყვება უკლებლივ ყველა თანამშრომელი. **7. დოკუმენტაციის/ჩანაწერების წარმოება.** HACCP გეგმის შესრულებისას ჩატარებული პროცედურების დროს სისტემატურად უნდა წარმოებდეს ჩანაწერები, რაც გვეხმარება დავრწმუნდეთ, რომ ის მუშაობს მაქსიმალურად ეფექტურად და შესრულებულია ყველა თანამშრომლის მიერ. ყველა განხორციელებული პროცედურის ჩანაწერების ისტორია და დოკუმენტაცია არის ღირებული და მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

HACCP-ის 7 პრინციპის გათვალისწინება და სამზარეულოში საკვების უსაფრთხოების მენეჯმენტი დაგეხმარებათ უსაფრთხოდ შეინარჩუნოთ როგორც საკვები, ისე მისი მომხმარებლები.

სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის შემუშავებისა და ეფექტურ დონეზე შენარჩუნების მიზნით, საწარმოში აუცილებელია HACCP-ის ჯგუფის ჩამოყალიბება HACCP-ის ჯგუფის წევრებს უნდა გააჩნდეთ სურსათის უვნებლობის მართვის სისტემის დანერგვისთვის აუცილებელი მრავალდარგობრივი ცოდნა და გამოცდილება.

კვლევის ჩატარება მეტად საინტერესო და ინფორმაციული იქნება, თუ როგორ ხდება მათი მხრიდან სასტუმროში HACCP-ის სისტემის განხორციელება. ტურიზმი ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია, აქედან გამომდინარე, ეს სისტემა სასტუმროებისთვის მნიშვნელოვანია და საინტერესოა, რამდენ სასტუმროში ხდება მათი თანამშრომლების გადამზადება HACCP-ით.

ლიტერატურა:

1. ვანიშვილი მ. საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების საშინაო და საგარეო ეკონომიკური ასპექტები: თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა. თბილისი, საზოგადოება ცოდნა, 2003.
2. ასათიანი ს. სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა და რეგულირება საქართველოში. თბილისი 2010.
3. ასათიანი ს., ასათიანი რ., ევროკავშირში სასურსათო უვნებლობის რეგულირების საკითხისათვის .
4. Asatiani, R., Asatiani, S. Agricultural Extension: World Experience and Tendency of Development, Monograph, Tbilisi, Georgia.
5. პავლიაშვილი ს, გუბელაძე დ . ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების ძირითადი კრიტერიუმები.

ტურიზმის განვითარების საკითხები საქართველოში პანდემიის COVID – 19-ის შემდგომ პერიოდში

¹ანზორ დევაძე, ²ლელა დევაძე

¹პროფესორი, ტურიზმის ფაკულტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბათუმი, საქართველო

²დოქტორანტი, ტურიზმის ფაკულტეტის ასისტენტი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო.
devadze.anzor@bsu.edu.ge

ტურიზმის განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია მსოფლიო ეკონომიკისთვის, ვინაიდან ის წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის შემოსავლების არა მარტო მნიშვნელოვან წყაროს, არამედ ითვალისწინებს უამრავ დადებით მხარესაც: ინფრასტრუქტურის, სხვა, მასთან კორელაციაში მყოფი დარგების, კულტურულ-ისტორიული ტრადიციებისა და სახალხო რეწვის განვითარებას; სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შორის ფორმალური და არაფორმალური კავშირების ჩამოყალიბებას, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინვესტიციების მოზიდვას; საერთაშორისო არენაზე ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებას და ა.შ. [1. გვ. 43].

ბოლო წლებში ტურიზმი საქართველოში წარმოადგენდა ეკონომიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს, რომელიც ახდენდა ქვეყნის მშპ-ს 11,5%-ის გენერირებას. 2019 წლისთვის (ყველაზე წარმატებული წელი საერთაშორისო ტურიზმის განვითარების სფეროში), საერთაშორისო ვიზიტორების საერთო რაოდენობამ მიაღწია 9 258,0 ათას კაცს, რაც 7,8%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ამავე პერიოდში, საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის შემოსავლებმა გადააჭარბა 3,35 მლრდ. აშშ დოლარს (ცხრილი #1).

ცხრილი #1. საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობისა და შემოსავლების დინამიკა 2017-2022 წწ.

მაჩვენებლის დასახელება	ზომის ერთეული	წლები					
		2017	2018	2019	2020	2021	2022
1	2	3	4	5	6	7	8
ვიზიტორები	ათ. კაცი	6 482,8	7 203,4	9258.0	1 513,4	1881,2	5 426,9
შემოსავლები	მლნ. აშშ დოლარი.	2 704,3	3 222,1	3 368,7	541,7	1245,0	3 516,7

წყარო: [2. <https://gnta.ge/ge>. საქართველოს ტურიზმის ეროვნული დეპარტამენტი].

როგორც ცხრილი #1-დან ჩანს, საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა საქართველოში 2017-2019 წლებში გაიზარდა 2775,2 ათ. კაცით, ანუ 42.8%, ხოლო შემოსავლები 664,4 მლნ. აშშ დოლარით, ანუ 24,6%-ით. რაც შეეხება 2020 წელს, ცნობილი მიზეზების გამო (პანდემია COVID – 19-ს დაწყების წელი), 2019 წელთან შედარებით მკვეთრად დაეცა როგორც საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა (- 7744.6 ათ. კაცი, ანუ 83.7%-ით), ასევე საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობა (- 2 727 მლნ. აშშ დოლარი, ანუ 83,9% -ით).

პანდემია COVID – 19-მა მთლიანად შეცვალა მსოფლიო დღის წესრიგი. 2020 წელს, მსოფლიო პანდემიის გამო, საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიამ, მსოფლიო ტურიზმის ინდუსტრიის მსგავს

სად, უპრეცედენტო კლება განიცადა. შესაბამისად, ტურიზმის წილი საქართველოს მშპ-ში შემცირდა 11,5%-დან 5,9%-მდე.

პანდემიის გავრცელებამ და მისგან გამოწვეულმა შიშმა მოგზაურობის განხორციელებაზე, ასევე ქვეყნების საზღვრების ჩაკეტვამ, ნეგატიური გავლენა იქონია ტურისტულ ინდუსტრიაზე - ტურისტული ინდუსტრია აღმოჩნდა ყველაზე დაუცველი და დაზარალებული.

საქართველოს მთავრობამ, გავრცელებული პანდემიის პირობებში ტურისტული კომპანიებისა და ტურიზმის სფეროში დაკავებული პირებისთვის შეიმუშავა ტურიზმის გადარჩენისა და აღორძინების ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა კრედიტების გადავადებას, ქონების გადასახადისგან განთავისუფლებას, სასტუმროების, ტურისტული კომპანიებისა და გიდების მხარდაჭერას. შემუშავებული იქნა მიზნობრივი პროგრამები, რომლებმაც ტურისტულ დარგს ხელი შეუწყვეს კრიზისის დაძლევისა და აღორძინებაში. ანტიკრიზისული გეგმის ჯამურმა ბიუჯეტმა შეადგინა 200 მლნ. ლარი [3.გვ.406].

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებაში ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული. დღეისთვის, შეიძლება დავუშვათ, რომ მიუხედავად ვირუსი COVID – 19 - ით გამოწვეული დაავადების ერთეული შემთხვევებისა, არსებული კრიზისი უკვე დასრულებულია.

პანდემიის დასრულებისთანავე, ტურისტებმა დაიწყეს ისეთი ადგილების ძიება, სადაც ისინი დაცულად იგრძნობენ თავს და ხშირ შემთხვევებში, დაინფიცირების შიშიდან გამომდინარე, გაურბიან ხალხმრავალ, გადატვირთულ საკურორტო ზონებს, უპირატესობას ანიჭებენ დასვენებას ისეთ ადგილებში, სადაც მათ ექნებათ სოციალური დისტანცირების საშუალება და დაცულად იგრძნობენ თავს.

დღეისთვის, მსოფლიო პანდემიის დამარცხების და მოსახლეობის ცხოვრების წესსა და პირობებზე პანდემიის პირობებში არსებული შეზღუდვების მოხსნის შემდეგ, საქართველო დგას თავისი რეგიონების განვითარების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის წინაშე. ამავ დროს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სხვა, შედარებით ახალი, დარგების განვითარების აუცილებლობა, რაც უზრუნველყოფს დადებით მულტიპლიკატორულ ეფექტს რეგიონულ ჭრილში. საქართველოს რეგიონების ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთ ასეთ პერსპექტიულ მიმართულებად ვთვლით ეკოლოგიური ტურიზმის განვითარებას [3, გვ. 409].

ეკოტურიზმის განვითარება განსაკუთრებულად მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე, ვინაიდან ისინი განლაგებულია ეკოლოგიურად „ხელუხლებელ“, ეგზოტიკურ ბუნებაში, გაცილებით პოპულარულია და იზიდავს უამრავ ტურისტსა და დამსვენებელს. ამ შემთხვევაში, ეკოტურიზმი ორიენტირებული იქნება ბუნებრივი, კულტურული-ისტორიული და სხვა რესურსების გამოყენებაზე კომპლექსური სპეციფიკური ტურისტული პროდუქტის შექმნის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ჩვენ, საქართველოში, დღეისთვის ძირითადად, გაგვაჩნია მხოლოდ ტურისტული რესურსები და, ამავ დროს, განვიცდით რეალური ტურისტული პროდუქტის, როგორც საბაზრო საქონლის მკვეთრ დეფიციტს. ამავ დროს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთის მხრივ, ეკოტურიზმი ქმნის ტურისტული ბაზრის ახალ სეგმენტებს, ხოლო მეორეს მხრივ, ეკოტურიზმი შეიძლება გახდეს საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი.

დღეისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი საქართველოში შეადგენს 793 351 ჰექტარს, ანუ საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 11,4%-ს. დაცული ტერიტორიების დაახლოებით 75% მწვანე საფარითაა დაფარული. საქართველოში არის 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 13 ეროვნული პარკი, 40 ბუნებრივი ძეგლი, 23 აღკვეთილი და 3 დაცული ლანდშაფტი [4].

მონაცემები ვიზიტორების რაოდენობის და მათი სერვისული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების შესახებ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2017-2022 წწ მიხედვით მოცემულია ცხრილში #2.

ცხრილი #2. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორებისა და მათგან მიღებული შემოსავლების დინამიკა 2017-2022წწ.

მონაცემის დასახელება	ზომის ერთეული	წლები					
		2017	2018	2019	2020	2021	2022
1	2	3	4	5	6	7	8
ვიზიტორების რაოდენობა	ათ. კაცი	954,7	1108,5	1199,0	240,3	589,1	902,1
შემოსავლები	ათ. ლარი	4504,4	8436,1	9363,4	899,1	5832,8	6215,8

წყარო: [4. <https://apa.gov.ge/ge/angariSebi>. საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ანგარიში].

ცნობილი მიზეზების გამო, 2023 წლის მანძილზე საქართველოს დაცული ტერიტორიები მოინახულა 240,3 ათ. ვიზიტორმა, რაც 958,7 ათ. ვიზიტორით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (-80,0%). საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 2020 წლისთვის 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით შემცირდა 95,7%-ით და შეადგინა მხოლოდ 26,4 ათ. კაცი. საზღვარგარეთელ ვიზიტორებს შორის ლიდერობდნენ ტურისტები რუსეთიდან (18,7%), გერმანიიდან (10,3%), უკრაინიდან (10,2%), ისრაელიდან (8%), პოლონეთიდან (6,7%) და ლატვიიდან (6,1%) [4].

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ ეკოლოგიურ ტურიზმს პირველ რიგში ესაჭიროება სახელმწიფო მხარდაჭერა რეგიონულ დონეზე. ეკოტურისტული სექტორის ორგანიზაციის საქმეში ძირითადი როლი უნდა ითამაშოს ტურისტული ბიზნესის რეგიონულ ასოციაციებმა, რომლებმაც, ჩვენი აზრით, ადგილობრივ ადმინისტრაციებთან, რეგიონულ ფონდებთან, შრომითი მოწყობის ცენტრებთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან ერთად კურირება უნდა გაუწიონ ეკოტურიზმის ინფრასტრუქტურის ფორმირებას ადგილებზე, ხოლო ფორმირების მექანიზმი უნდა ეფუძნებოდეს ეკოტურიზმის განვითარების მხარდაჭერ სახელმწიფო პროგრამას, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს: ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შემდგომი სრულყოფა; საინფორმაციო ქსელების განვითარება და მეთოდური უზრუნველყოფა; სხვადასხვა ფონდების, სპეციალური ბანკების, სადაზღვევო და საინვესტიციო ინსტიტუტების მონაწილეობით შესაბამისი საფინანსო ინფრასტრუქტურის ფორმირება საწარმოო-ტექნოლოგიური და საქმიანი, სოციალური ცენტრების, ბიზნეს-ინკუბატორებისა და ტექნოპარკების ქსელის განვითარება.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ტურიზმი, პანდემია, COVID – 19, დაცული ტერიტორიები.

ლიტერატურა:

1. Логунцова И.В. Индустрия туризма в условиях пандемии коронавируса: вызовы и перспективы. Государственное управление. Электронный вестник. Выпуск № 80. Июнь 2020 г.
2. საქართველოს ტურიზმის ეროვნული დეპარტამენტი. წლიური ანგარიშები. <https://gnta.ge/ge>.
3. А. Девадзе., Л. Девадзе. Пандемия COVID-19 и туризм в Грузии: вызовы и перспективы развития. учасний рух науки: тези доп. XII міжнародної науково-практичної інтернет-конференції, 1-2 квітня 2021 р. – Дніпро, Україна, 2021. – Т.1.– 493 с.
4. საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტო. წლიური ანგარიშები. <https://apa.gov.ge/ge/angariSebi>.
5. საქართველოში კორონავირუსის განვითარების პრევენციის შესახებ. <https://stopcov.ge/>.

სტრატეგიული ღონისძიებების მენეჯმენტის როლი დანიშნულების მარკეტინგში

¹ნათია ბერიძე, ²თამარ ბერიძე, ³ცირა ცეცხლაძე

¹ასისტენტ-პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი

²ასისტენტ-პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი

³ასისტენტ-პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი
beridze.tamar@bsu.edu.ge

დანიშნულების მენეჯმენტის როლი მდგრადი ტურიზმის განვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანია. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სასიცოცხლო როლს ასრულებს ტურიზმის სექტორის წარმატების ფორმირებაში ეფექტური დანიშნულების მარკეტინგი. ბოლო წლებში სხვადასხვა სახის ღონისძიების ორგანიზება უფრო მნიშვნელოვანი გახდა, არა მხოლოდ ტურიზმის მოთხოვნის მოკლევადიანმა მატებაზე ფოკუსირებით, არამედ როგორც ურბანული განვითარების პოლიტიკის ელემენტი, რომელსაც გავლენა ექნება პოლიტიკაზე, ეკონომიკასა და საზოგადოებაზე. სტატიის მიზანია, ხაზგასმით აღვნიშნოთ ღონისძიების მენეჯმენტის გამოწვევები მცირე მოვლენებზე ფოკუსირებით. განიხილება მენეჯმენტის მიდგომები დაინტერესებული მხარეების ჩართულობისა და ურთიერთქმედების, დანიშნულების ადგილის განვითარების დაგეგმვის სტრატეგიის ფორმირების მიმართ. გამოკვლეულია სპონსორობის როლი და ბუნება, რომელიც დაკავშირებულია მცირე ღონისძიებების ღირებულების გაზრდასთან, ასევე ტერიტორიული მარკეტინგის მართვის მოდელის შემუშავებასთან. სტატია, ასევე, ხაზს უსვამს კომპლექსური საკომუნიკაციო სტრატეგიების როლს მცირე ღონისძიებების ღირებულების გაზრდაში. დასკვნაში წარმოდგენილია მარკეტინგის მენეჯმენტის მოდელი მცირე ღონისძიებებისთვის, რომელიც შეიძლება იყოს ღონისძიების ორგანიზატორების მიერ პრობლემის გადაჭრის პროცესების შედეგი საზოგადოების ეკოსისტემაში აღიანსების შექმნის საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: სტრატეგიული ღონისძიებების მენეჯმენტი; ივენთი; საქმიანი ტურიზმი; მარკეტინგული კომუნიკაციები; დანიშნულების ადგილის განვითარების დაგეგმვა.

ინოვაციური პროცესების მენეჯმენტი

¹ირმა ჩხაიძე, ²ლელა ღვინჯი

¹ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი
²დოქტორანტი, ასისტენტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, ბათუმი
Chkhaidze.irma@bsu.edu.ge

სამყარო, რომელშიც ვცხოვრობთ, მუდმივად ცვალებადია და ამ ცვლილებების სისწრაფის განმაპირობებელ ფაქტორად სახელდება ინოვაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ცივილიზებულ სამყაროს სიახლეებისადმი ინტერესი აქვს არა მხოლოდ დღეს, არამედ ჰქონდა წარსულშიც და ექნება მომავალშიც. აღნიშნულს, შესაძლებელია, საფუძვლად დაუდოთ ერთი მხრივ სხვადასხვა ეტაპზე მოღვაწე მეცნიერ-ეკონომისტების მიერ ჩამოყალიბებული განსაზღვრებები ინოვაციაზე და მეორე მხრივ, კომპანიების მიერ წლების მანძილზე ინოვაციური საქონლის წარმოებისკენ სწრაფვა და მათი განვითარებით ეკონომიკაში ინოვაციების დანერგვის მიზნით სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის გააქტიურება.

სტატიაში შესწავლილია ინოვაციის, როგორც ბიზნესპროცესის თეორიული მოდელები. ჩამოყალიბებულია ინოვაციის შექმნაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები: უპირატესობა, შესატყვისობა, სირთულე, შემოწმება და დაკვირვების შესაძლებლობა. სამეცნიერო პრაქტიკული კვლევის შედეგებით გაანალიზებულია ინოვაციური პროცესის განვითარებისა და ეტაპების თანმიმდევრული განხორციელების ეფექტური მართვის პრინციპები.

მისწრაფება, შექმნა ინოვაცია ან იყო ინოვატორი - ეს, ყველაფერი „დიდი“ ბიზნესიღვით იწყება, რომელიც არ არის შემთხვევითი და შესაძლებელია. დაეფუძნოს პროდუქტში, სერვისში, პროცესში არსებული პრობლემების აღმოფხვრის კონკრეტულ პრინციპებს. ბიზნეს იდეის წარმოშობიდან მისი კომერციალიზაციის ჩათვლით მიმდინარე პროცესი კი წარმოადგენს ინოვაციის პროცესს, რომელიც მეცნიერ ბრაიენ სიტვისის განსაზღვრებით (1989). აერთიანებს მეცნიერებას, ტექნოლოგიას, ეკონომიკას და მენეჯმენტს. ასევე, მეცნიერის აზრით, ინოვაციის მიზანია სიახლის შექმნა, ხოლო ინოვაციური პროცესი იწყება იდეის წარმოშობიდან და გრძელდება მის რეალიზებამდე.

მეცნიერებასა და პრაქტიკაში ბიზნესიდეის წარმატებით განხორციელებისთვის ინოვაციური პროცესის თანმიმდევრული ეტაპებიდან: პირველი "იდეების გენერაციის" ეტაპი ითვალისწინებს აღნიშნულ დროში ახალი იდეების წარმოშობას და გენერირებას, რაც უნდა ეფუძნებოდეს ინოვაციური იდეების ავტორების, განმახორციელებელი გუნდის და თანამშრომლების მოტივირებას. მეორე „ადოკატირება და სკრინინგი: იდეის გაანალიზების და შეფასების“ ეტაპი გულისხმობს იდეების, როგორც ღირებულების შემქმნელი ინოვაციის განხილვა-გაანალიზებას; მისი სასიცოცხლო ციკლის განსაზღვრას და ინოვაციური იდეის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებას მონიტორინგის საფუძველზე. ინოვაციების ციკლის მესამე „ექსპერიმენტის“ ეტაპი იდეის ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით საჭიროებს დიდ დროსა და ფინანსებს. მეოთხე - „კომერციალიზაციის“ ეტაპი ითვალისწინებს სამიზნე აუდიტორიისთვის ინოვაციური პროდუქტის, სერვისის მიწოდებას.

ინოვაციების ციკლის მეხუთე „ინოვაციის გავრცელება-დიფუზის“ ეტაპი შეისწავლის თუ, როგორ ვრცელდება ინოვაცია, გამოცდილება ან პროდუქტი დროში. აღნიშნული ეტაპის გაანალიზება ეფუძნება „ინოვაციის გავრცელება-დიფუზის“ თეორიას, რომლის თანახმად, სიახლეების დანერგვის დროს ადამიანები და ჯგუფები იყოფიან შემდეგ კატეგორიებად: ინოვატორებად, სიახლის ან

წამოწყების ადრეულ საფეხურზე მიმდებ ადამიანებად, წამოწყების ან სიახლის მიღწევების ადრეულად გამავრცელებლებელ ადამიანებად, წამოწყების ან სიახლის გვიან მიმდებ ადამიანებად, წამოწყების ან სიახლის უკიდურესად რთულად ამთვისებელ ადამიანებად.

მეცნიერული კვლევებით დადგენილია, რომ ინოვაციების რიცხვი მცირეა და მოსახლეობის მხოლოდ 2,5%-ს შეადგენს. სიახლის ან წამოწყების ადრეულ საფეხურზე მიმდებ ადამიანების წილი მოსახლეობის 13,5%-ია. წამოწყების ან სიახლის მიღწევების ადრეულად გამავრცელებელი ადამიანების წილი მოსახლეობის-34%-ია. წამოწყების ან სიახლის გვიან მიმდებ ადამიანები, რომლებსაც არ უყვართ ცვლილებები, ამ ჯგუფის წილი მოსახლეობის-34%-ს შეადგენს. წამოწყების ან სიახლის უკიდურესად რთულად ამთვისებელი ადამიანები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სიახლებს და მისდევენ ტრადიციული ცხოვრების წესებს მათი წილი მოსახლეობის -16%-ს შეადგენს.

ამრიგად, მეცნიერული თეორიებითა და პრაქტიკული კვლევის შედეგებით დადგენილია, რომ ინდივიდი ერთსა და იმავე კატეგორიას არ განეკუთვნება და მასზე შეიძლება, ზოგადად, გავლენას ახდენდეს შემდეგი ხუთი ძირითად ფაქტორი: „უპირატესობა“ - რა სარგებელი მოაქვს ინოვაციას; „შესატყვისობა“ - რამდენად შეესაბამება ინოვაცია მიმდების ღირებულებებს, გამოცდილებებსა და საჭიროებებს; „სირთულე“, რამდენად რთულია ინოვაციის გაგება ან გამოყენება; „შემოწმება“ -რამდენად გავლილი აქვს პროდუქტს ან ინოვაციას ექსპერიმენტული ტესტირება; „დაკვირვების შესაძლებლობა“-ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, თუ რამდენად იძლევა ის ხელშესახებ შედეგებს.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესიდეა, ინოვაცია, ინოვაციური პროცესები, მენეჯმენტი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა.ა., ეკონომიკისა და ბიზნესის გლობალურ-ინოვაციური პრობლემები. მონოგრაფია. თბ., 2014
2. **ერიკ რისი, „წარმატებული სტარტაპი“ ეკონომიკური სტარტაპის მეთოდი, თბ.,2018**
3. ქოქიაური ლ., ქოქიაური ნ., გეჩბაია ბ., „ინოვაციური ეკონომიკა“, გამომცემლობა „კალმოსანი“, თბილისი - ბათუმი, 2018;
4. ქოქიაური ლ. ინოვაციები, თბ. 2016
5. A. Baregheh, J. Rowley and S. Sambrook. (2009). Towards a multidisciplinary definition of innovation. Management Decision, Vol. 47 No. 8
6. Twiss, Brian C. Managing technology for competitive advantage: integrating technological and organisational development : from strategy to action. London : Pitman,; 1989, .217-2018
7. <https://geoeconomics.ge/?p=12815>
8. <https://www.facebook.com/EFAgeorgia/videos/1039617766583931/>

საქართველოს სატრანზიტო დერეფნის რეგიონული და საერთაშორისო ასპექტები

¹რამინ ცინარიძე, ²ანანო კუკულაძე,

¹ბიზნესის მართვის დოქტორი, ასოც. პროფესორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი,

²მაგისტრი, ფინანსები და საბანკო საქმე,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი

ramin.tsinaridze@bsu.edu.ge

საუკუნეების გასვლასთან ერთად ვითარდება მსოფლიო ცივილიზაცია, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს გლობალიზაციური პროცესების პროგრესირებას, შესაბამისად თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარეობს სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და დემოგრაფიული პროცესების დაახლოება და სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება ქვეყნებს შორის მიმოსვლის საკითხები.

უნდა ითქვას ისიც, რომ ცივილიზაციის განვითარების ყოველ საფეხურზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფოებს შორის სავაჭრო და მიმოსვლით ურთიერთობებს, რაც მოცემულ რეალობაში კიდევ უფრო ყურადსაღებია, რადგანაც ტვირთების გადატანა, ტრანზიტი და საბაჟო პროცესები წარმოადგენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბების მექანიზმს. აგრეთვე, ხელს უწყობს განვითარებად ქვეყნებს საკუთარი თავის რეგიონულ თუ საერთაშორისო სავაჭრო ბაზარზე დამკვიდრებისთვის.

გამონაკლისს არ წარმოადგენს საქართველოც, საქართველო ისტორიულად იყო აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც აკავშირებდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს და ხელს უწყობდა საქონლის, კულტურისა და იდეების გაცვლას. ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობა აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გზაჯვარედინზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეგიონულ და საერთაშორისო მიმოსვლასა და ვაჭრობაში. ერთგვარად საქართველო წარმოადგენს მთავარ დამაკავშირებელ ლოკაციას, რომელიც ერთმანეთთან აახლოებს ისტორიულად მკვეთრად განსხვავებულ ევროპასა და აზიას. შესაბამისად, კეთდება დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოს სატრანზიტო დერეფანი რეგიონული და საერთაშორისო სატრანსპორტო და სავაჭრო ქსელების გადამწყვეტი ელემენტია.

ტრანზიტის სასაქონლო ოპერაცია თავისი მნიშვნელობით დიდ როლს ასრულებს სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებაში, რადგან იგი საშუალებას გვაძლევს, უცხოური საქონელი ტარიფების დაკისრების გარეშე გადაადგილდეს საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე და პარალელურად მიმდინარეობდეს საბაჟო კონტროლი. ტრანზიტის პროცედურა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით - იქნება ეს, საჰაერო, საზღვაო თუ სახმელეთო, მათ შორის - სარკინიგზო. საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება ტრანზიტულად გადაადგილებული საქონლის მოცულობა, რაც, რა თქმა უნდა, გამოწვეულია ჩვენი სატრანზიტო დერეფნების შესაძლებლობებით.

ზოგადად, სატრანზიტო დერეფანი წარმოადგენს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მთავარ ხერხემალს ქვეყნისთვის. აჩქარებს ქვეყნის რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე ინტეგრაციის პროცესებს. საქართველოსთვის სატრანზიტო პოტენციალის სრულად ათვისება იქნება გარანტი იმისა, რომ ქვეყნის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდება. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია გაანალიზებულ იქნას საქართველოს

სატრანზიტო დერეფნების რეგიონული და საერთაშორისო ასპექტები, აგრეთვე, გამოწვევები და შესაძლებლობები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სატრანზიტო დერეფანს აქვს როგორც რეგიონული, ისე საერთაშორისო მნიშვნელობა, რაც თავის მხრივ გამოიხატება იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს კავკასიის მთავარ სატრანსპორტო ჰაბს, მონაწილეა რეგიონული ენერგეტიკული ტრანზიტის, არის ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRACECA) პროგრამის წევრი, რითაც უზრუნველყოფს საქონლისა და ენერგორესურსების ალტერნატიულ გზას ორ კონტინენტს შორის გადაადგილებისთვის, ეს კი, თავის მხრივ, ამცირებს სხვადასხვა სახელმწიფოების დამოკიდებულებას რუსულ მარშრუტებზე.

საქართველო აქტიურად ავითარებს სატრანზიტო ინფრასტრუქტურას, რათა კიდევ უფრო გაზარდოს თავისი როლი, როგორც რეგიონულმა და საერთაშორისო სატრანზიტო ქვეყანამ. საქართველოს სტრატეგიულმა მდებარეობამ ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე, მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან და სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესების მცდელობებთან ერთად, განაპირობა საქართველო, ფორმირებულიყო როგორც სატრანზიტო განვითარების მთავარი მოთამაშე. ქვეყანამ დაამყარა კავშირები მეზობელ სახელმწიფოებთან: სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი. აგრეთვე, მსხვილი სავაჭრო ინდუსტრიის მქონე ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ჩინეთთან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

მნიშვნელოვანი ის ფაქტიც, რომ მზარდია სატრანზიტო ტვირთების გადაზიდვის დინამიკა. გადაზიდვების სხვადასხვა სახეთა შორის (ადგილობრივი გადაზიდვა, საერთაშორისო გადაზიდვა, ტვირთის გატანა, ტვირთის შემოტანა, ტრანზიტის) ლიდერობს ტრანზიტის პროცედურა, რომელიც უშუალოდ ხორციელდება სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებით. თუმცა, აგრეთვე, აღსანიშნავია ისიც, რომ TIR კორნეტის სისტემის დამსახურებით 300 000 სატრანზიტო სატვირთო სატრანსპორტო საშუალება ახერხებს საქართველოს მასშტაბით ყოველწლიურად მოძრაობს. TIR (საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტი) სისტემა იძლევა დოკუმენტს, რომელიც ამარტივებს საბაჟო პროცედურების გავლას ტრანზიტის ოპერაციის დროს და უზრუნველყოფს ეფექტურ გადაადგილებას უმოკლეს დროში. აგრეთვე, TIR კონვენციის მიღება და მისი გამოყენება ჩვენი ქვეყნისთვის ალბათ საერთაშორისო სატრანზიტო ჰაბად ჩამოყალიბების შესაძლებლობათა კარს.

საკვანძო სიტყვები: ტრანზიტის, საქართველოს სატრანზიტო სისტემა, სატრანზიტო დერეფნები, TIR კორნეტის სისტემა, საქონლის მოძრაობა, ტვირთების გადაზიდვა დინამიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრი (BEC), „სატრანსპორტო-ლოგისტიკური დარგი საქართველოში: ძირითადი გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“, 2017, იხ: https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00TH43.pdf
2. დანელია ირაკლი, „გეოეკონომიკური ჰაბის სატრანზიტო შესაძლებლობების განვითარების პერსპექტივები საქართველოში“, თბილისი 2019, იხ: https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi4/Irakli_Danelia.pdf
3. Taxation and Customs Union, „TIR (Transports Internationaux Routiers, International Road Transport)“, იხ: [TIR \(Transports Internationaux Routiers, International Road Transport\) \(europa.eu\)](http://www.europa.eu)

„შუა დერეფნის“ მნიშვნელობა და საქართველოს როლი მის განვითარებაში

მურმან ცეცხლაძე

ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო. ბათუმი
murman.tsetskhladze@bsu.edu.ge

საქართველო ძველთაგანვე დიდ როლს ასრულებდა სამხრეთ კავკასიის გზებით დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ვაჭრობის განვითარებაში.

XVII საუკუნიდან, როცა აბრეშუმის დიღმა გზამ მნიშვნელობა დაკარგა, მნიშვნელოვნად დაზარალდა საქართველოც. ევროპასთან ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები განსაკუთრებით შესუსტდა XIX ს. დასაწყისიდან, - საქართველოს რუსეთის იმპერიაში მოქცევის შემდეგ.

XX საუკუნის მიწურულიდან, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს კვლავ მიეცა შესაძლებლობა, გამოიყენოს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობა და შეასრულოს განსაკუთრებული სატრანზიტო სავაჭრო კვანძის, ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია.

ბოლო დროს გავითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შესძინა საქართველოს გეოპოლიტიკურ პოტენციალს, რამაც ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყანა.

ნაშრომში შეფასებულია საქართველოს პოტენციალი აზიიდან ევროპისკენ და პირიქით, ტვირთნაკადების ზრდის თვალსაზრისით, ახალი გამოწვევები და მათი დაძლევის გზები.

საკვანძო სიტყვები: შუა დერეფანი, ევროპა, აზია, ტვირთნაკადები, გადაზიდვები

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის თანამედროვე გამოწვევები საქართველოში

თამთა ქარცივაძე

დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბათუმი, საქართველო

E-mail: tamta.kartsivadze@bsu.edu.ge

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) წარმოადგენს ორგანიზაციასა და საზოგადოებას შორის დამაკავშირებელ რგოლს. სოციალური პასუხისმგებლობა არის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული გარემოს გაუმჯობესებასა და ისეთი პრობლემების გადაჭრას, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გამოწვეულია ამა თუ იმ ბიზნეს საქმიანობით.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა უკვე გახდა სწრაფად მზარდი თანამედროვე ტენდენცია და ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივი ფორმა. დღესდღეობით იზრდება იმ კომპანიების რიცხვი, რომლებიც აქტიურები არიან სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით. ისინი იჩენენ კეთილ ნებას და მათთვის მთავარი მიზანია, არა მხოლოდ მოგების მიღება, არამედ დადებითი ზეგავლენის მოხდენა სამუშაო, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე.

ტერმინი „ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა“ 1960-იანი წლების ბოლოსა და 1970-იანი წლების დასაწყისში დამკვიდრდა. ათწლეულების მანძილზე დაზუსტდა მისი ცნება, გამოიკვეთა საქმიანობის სფეროები და ტიპები. თავდაპირველად, მისი განმარტება ბუნდოვანი და ზოგადი ხასიათისა იყო. საკითხები - გარემოსდაცვითი საქმიანობა, ადამიანისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა - თანდათან შევიდა CSR-ის ფარგლებში მათი აქტუალიზაციის გამო.

განვითარებულ ქვეყნებში CSR-ის გავრცელების მთავარ საფუძველს წარმოადგენს მძლავრი ბიზნესსექტორი და საზოგადოებისა თუ ადგილობრივი თემის ცნობიერების მაღალი დონე, ამიტომ დასავლეთის მაღალ ინდუსტრიულ ქვეყნებში სოციალური პასუხისმგებლობა ფართოდაა დანერგილი. გარდა სოციალური მიზნებისა, CSR გამოიყენება როგორც მარკეტინგული ინსტრუმენტი ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად გაძლიერებული კონკურენციის პირობებში. საქართველოში ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ეს სოციალური ინსტიტუტი ბოლომდე არ არის ჩამოყალიბებული. ქართულ კომპანიებს არ აქვთ გაცნობიერებული სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა და მათი პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობა. CSR, როგორც მდგრადი განვითარებისა და ეფექტური კომუნიკაციის ინსტრუმენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბიზნესსექტორის განვითარების პროცესში.

თემის აქტუალობიდან გამომდინარე, სულ უფრო მატულობს საქართველოში CSR-სადმი მოთხოვნა მომხმარებლების, თანამშრომლებისა და ინვესტორების მხრიდან, რაც იწვევს სოციალური პასუხისმგებლობის სიღრმისეულად შესწავლის აუცილებლობას. სტატიაში განხილულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის, როგორც თანამედროვე ფილოსოფიის არსი, მისი ფუნქციები და განხორციელების სფეროები. ასევე სტატიაში შესწავლილია საქართველოში არსებული მდგომარეობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დახასიათებული და გაანალიზებულია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის მონაწილე მხარეები საქართველოს მაგალითზე. ყურადღება არის გამახვილებული თანამედროვე გამოწვევებზე და ჩამოყალიბებულია აღნიშნული გამოწვევების მოგვარებისთვის საჭირო რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, კონკურენტული უპირატესობა, მდგრადი განვითარება, CSR-ის მონაწილე მხარეები, CSR-ის გაციფრულება.

WOMEN IN THE LABOR MARKET OF GEORGIA: STATISTICS AND REALITY

¹*Nino Abesadze*, ²*Otar Abesadze*, ³*Natalia Robitashvili*, ⁴*Rusudan Kinkkadze*

¹*Doctor of Economics, Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University. Georgia, Tbilisi.*

²*Doctor of Economics, Associate Professor, Georgian National University (SEU) Georgia, Tbilisi.*

³*Doctor of Business Administration, Associate Professor, Batumi Shota Rustaveli State University. Batumi, Georgia*

⁴*Doctor of Economics, Associate Professor, Georgian Technical University. Georgia, Tbilisi.*

nino.abesadze@tsu.ge

At the modern stage of development, in the conditions of increasing globalization and democracy, the issue of increasing women's labor activity has come to the fore. According to the trends established in the labor market of Georgia today, there is a decrease in the economic activity and employment level of the population, unemployment has increased, gender imbalances have worsened, the level of compliance of women's wages is lower compared to men, etc. Sh. However, according to certain types of economic activity, women's labor activity is increasing, and one of the reasons for this is the disappearance of the old stereotype, which influenced the increase of women's participation in the labor market.

It is safe to say that gender equality is a prerequisite for employment, increased incomes and universal well-being. There is no doubt that gender equality is one of the most important factors for the economic development and democracy of the country. One of the important indicators of gender inequality is employment. Today, when there is an increased interest in gender equality in the labor market, an increase in women's labor activity is more or less evident in almost all fields of activity, women appear in workplaces that were previously considered strictly male professions, labor discrimination still exists, gender imbalances in wages, etc. . Sh. Increases the importance of statistical assessment of women's activity on the labor base, which confirms the relevance of the research of the mentioned issues.

It should be noted that the statistical characteristics of employment in Georgia show both positive and negative changes taking place in the country. Currently, there is a low level of economic activity and employment of the entire population, increased unemployment and clearly marked gender imbalances. The rate of difference in salaries of women compared to men is quite high, etc. Sh. However, parallel to all this, there are some positive changes in women's employment. One of the reasons for this can be named the disappearance of the old stereotype, which influenced the increase of women's participation in the labor market. As of 2022, there are 1,605.7 thousand women aged 15 and over in Georgia, of which 41.4% are in the labor force, which is 666,300. The number of employed women is 568,900, which is 35.4% of all women aged 15 and older and 85.4% of the female workforce. 77.6% of employed women are hired. 19.1% of the workforce is self-employed. There are 939,400 women outside the labor force, the unemployment rate is 35.4% and the female labor force participation rate is 41.5%. Today, 568,900 women are employed in Georgia. Although the employment of women has been increasing every year for the last 10 years, the highest number of women were employed in the country in 2015, but after 2015, the rate of decrease in the employment of women was shown every year, which was replaced by a rate of increase of 6.1% compared to the previous year in 2022.

Growth rates calculated by the chain method confirm that the rate of women aged 15 years and older is almost equal. In recent years, rates of increase in women's labor force are evident. The range of growth rates for 2011-2022 ranges from 0.1% to 4.3%. 77.6% of employed women are hired, among whom an increase of 6.4% was recorded in 2022 compared to the previous year. In the same period, the number of self-

employed women increased by 4.8%. Accordingly, the level of unemployment decreased and today, in Georgia, according to the latest data, its level is 14.6%.

From the analysis of statistical data, it is revealed that the largest number of employed women in Georgia are over 55 years old, whose number in 2022 has increased by 7.9% compared to the previous year, the employment rate of women aged 45-54 is increasing. In 2022, in two years, 11% more women of this age were employed in Georgia, the number of employed women in the age group of 35-44 is also increasing, the growth rates of their number in 2020-2022 were 1.7% and 1.3%, respectively.

According to Geostat data, the number of women among employees is increasing in such fields as: transport and warehousing, state administration and defense; Mandatory social security, health care and social service activities, etc. It should be noted here that the number of workers of both sexes decreased: in industry, wholesale and retail trade; in automobile and motorcycle repair, accommodation and food service activities, arts, entertainment and recreation and other services. It should be noted that the number of women employed in real estate-related activities has increased significantly. It should be noted that in 2022, the most women were employed in construction (the number of employed women increased by 57.6%), in the field of administrative and support services by 53.9%, in household activities by 33.4%. At the same time, their number in extraterritorial organizations and bodies decreased by 61.3%. It is noteworthy that the number of women has increased and the number of men has decreased in household activities for their own consumption and in agriculture, forestry and fisheries. In general, by 2022, the number of women employed in the field of service and sales has increased, albeit slightly, but their number has also increased among plant and equipment operators and installers. Compared to 2021, more women were employed in agriculture, forestry, and fish farming. The number of specialist professional women exceeded the level of 2020, as well as increased rates of women's employment were recorded in technician-assistant specialists. The number of women in the positions of managers decreased the most. (by 9%). Accordingly, the unemployment rates of women decreased. Before the start of the COVID-19 pandemic in 2022, female unemployment decreased by 9% compared to 2019 and by 27% compared to 2015.

In the dynamics, there is a tendency to increase the number of employed women with higher education. According to the data of 2022, 48.4% of employed women have higher education. For men, this indicator is 12.5 percentage points lower and is at the level of 35.9%. In dynamics, the employment rates of women in the age group of 20-34 years are decreasing. So, for example, if by 2021 48.2% of graduates of this age were employed, by 2022 this figure decreased to 44.7%. It is an interesting fact that 58% of the unemployed population who produce agricultural products mainly for their own consumption are women;

In 2022, compared to 2021, the level of employment in all regions of Georgia increased by an average of 2.8%. In Racha-Lechkhumi and Kvemo Svaneti, the level of employment increased the most, by 5.1%, and the least in Adjara. Accordingly, in 2022, unemployment has decreased by 3.9% on average in all regions (except Kakheti, where it increased by 0.3%). Imbalances are manifested in wages. According to the latest data, the salary of women is 67.7% of the salary of men. Women's wages compared to men's wages increased in construction by 10.4%, in agriculture, forestry and fish farming by 17.2%, in professional, scientific and technical activities by 6.8%, in real estate-related activities by 16.1%. with Health care and social service activities by 0.2%, etc. Sh. Women's salary is 67.7% of men's salary. In the last ten years, the average monthly salary of men in Georgia has been increasing by 80 GEL, and of women by 60 GEL. Women's wages increased in agriculture, forestry and fishing by 29%, in professional, scientific and technical activities by 16.4%, and the most in real estate activities by 31.9%. in the mining industry, by 15.8% and others.

.Conclusion. Women create an active and intensively developing labor force in the labor market of Georgia; In the dynamics, there is a tendency to increase the number of employed women with higher

education; In 2022, compared to 2021, the level of employment in all regions of Georgia increased by an average of 2.8%; Most of the employed are women aged 55 and older; The employment rates of women in the age group of 20-34 years are decreasing; The number of self-employed women also decreases, although its rate is high in rural areas; The number of women among employees is increasing in such fields as: transport and warehousing, public administration and defense; mandatory social security, health care and social service activities; In 2022, the most women were employed in construction, administrative and support services, household activities; The number of employed women has increased in the field of service and sales among operators and assemblers of equipment and devices, in agriculture, forestry and fish farming; Despite this, there are still imbalances in wages. Women's salary is 67.7% of men's salary; Women's wages have increased in agriculture, forestry and fish farming in professional, scientific and technical activities, and most of all in activities related to real estate, mining industry, etc.

In the current conditions of women's labor activity, women perfectly combine work and family affairs. They also take care of professional growth. They also take care of their children, use their free time purposefully and maintain the status of being socially active.

Key words: gender, employment, imbalance, trend, analysis.

References:

1. Paresashvili, N., Abesadze, N., Kinkladze, R., Chitaladze, K., Edzveradze, T. Georgian labour market during the coronavirus pandemic SHS Web of Conferences. EDP Sciences Volume 92
2. Abesadze, N., Paresashvili, N., (2018) Gender aspects of youth employment in Georgia Ecoforum Journal, Volume 7, Issue 1
3. Abesadze, N. (2013) The methodological issues of the improvement of gender statistics of employment. Journal Economics and Management, Volume 18, Issue 1 154-158
4. Sepashvili, E., (2019) Gender dimension of economic decision-making: Women on top management Journal Economia Aziendale Online. Volume 10 Issue 2 385-399
5. Patrizia, G., Sepashvili, N., Roberta, P. (2016) Corporate Social Responsibility as a Mean To Promote Gender Equality. Journal Business and Management Sciences International. Volume 7
6. Okruashvili, N., & Paresashvili, N. (2019). Youth unemployment in Georgia and the ways for its reduction. Challenges of Globalization in Economics and Business, 318-325. 11. Paresashvili, N. (2015). Major mechanisms to develop the strategies of the labor market in Georgia. Procedia-Social and Behavioral Sciences, 213, 574-579
7. Paresashvili, N., Abesadze, N. (2018). Main Tendencies of Youth Unemployment and the Regulation Mechanisms for Decreasing Its Rate in Georgia. International Journal of Economics and Management, 12(5), 634-638.
8. Kurashvili, G., & Kinkladze, R. (2016). Women's Migration Processes from Georgia. Preparation for the Future Innovative Economy, 308-313.
9. www.geostat.ge Official web page of National Statistics Office of Georgia, last access 15/09/2023

WHAT DO BUSINESS STATISTICS SHOW AFTER THE PANDEMIC IN GEORGIA

¹*Marine (Maia) Mindorashvili*, ²*Lia Dzebisauri*

¹Doctor of Economics, Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

²Doctor of Economics, Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Tbilisi, Georgia
maia.mindorashvili@tsu.ge

Georgia entered the “final phase” of the accession process to the European Union and the final decision would “inevitably” mean Georgia’s full membership of the Union. Georgian people welcome the European Council’s decision of June 23 to recognize Georgia’s European perspective for membership as the “most important decision”, with the European partners giving a “political promise” that the country would “definitely” become a member of the EU. The EU membership candidate status had been given to Ukraine and Moldova. Still, the process of European integration and, in general, the entire membership of the country in the EU is a “challenging and time-consuming” process. So, what do numbers show about the business sector in Georgia, are we trying our best to enter the EU statistics space and what gives us hope, what are the problems in business statistics since the pandemic just ended? To study the mentioned issues, we emphasize the role and importance of multifaceted analysis of business statistics, which is achieved by business sector turnover, output, register and labour market indicators. Along with the coordinated study of these issues in different aspects, we sequentially analyze the business sector development trends before the pandemic, during the pandemic and after the pandemic.

Before the Pandemic, in 2010-2019, the nominal indicators of business turnover, output, intermediate consumption and value added have steadily increased. For example, turnover during this period increased 4.5 times, output and intermediate consumption - 3.6 times, value added - 3.5 times. The average annual growth rate over these 10 years was about 18% in turnover, 14% in output and intermediate consumption, and 13% in value added. In this period, intermediate consumption is 51% of output, and value added - 49%, respectively. It is significant that over this 10-year period, output is up to 52% of turnover, although a sharp decline is observed precisely in 2018-19, when this figure first became 48%, and then fell to 44%. In the year-on-year growth of all four indicators, there is a constant increase compared to the previous year, however, 2011 was a special year, when the growth was about 50% in turnover, 45-50% in output and intermediate consumption and 38% in value added.

The turnover of the business sector in the first quarter of 2020 increased by 13.5 percent compared to the corresponding period of last year, in the second quarter it decreased by 11.5 percent, in the third and fourth quarters it increased by 0.6 and 2.1 percent, respectively.

As a result, the turnover of the business sector in 2020 increased by 4.9 percent compared to the last year and amounted to 114.3 billion lari. The rate of output of the business sector is characterized by a downward trend. In 2020, its volume was set at 46.2 billion lari, which is 2.7 percent lower than last year.

The turnover of the business sector in 2021 increased by 29.6 percent compared to the corresponding period last year and amounted to 148 billion lari. The rates of production of the business sector are also characterized by a growth trend. In 2021, its volume was set at 54.7 billion lari, which is 18.3 percent more than last year.

In 2019-2021, the volume of turnover of large enterprises increased to 62% due to the reduction of medium and small enterprises to 18 and 20%. A similar trend dates back to 2016 and is not directly related to the pandemic.

In 2012-16, the structure of turnover by enterprise size recorded stable growth rates, the dynamics continued with a peak growth in 2017-19 and a sharp decline in 2020 for all three enterprise sizes. In 2021,

the largest growth was shown by large, then medium and finally small enterprises. As expected, large enterprises emerged from the crisis most quickly.

In terms of production, there was a sharp increase in 2011, and a decrease in 2013 and 2020. In the first case, the output growth rate of large and medium-sized enterprises decreased by 2%, while this did not lead to a decrease in the overall output indicator, since it was covered by an increase in the output of small enterprises. And in 2020, the pace of production fell by almost 3% overall, mainly due to a nearly 7% drop in production volumes of large enterprises. The growth was insignificant and amounted to 0.1% in medium-sized enterprises.

Considering the pandemic, the share of large enterprises in the output has significantly decreased, the output of medium-sized enterprises has experienced large fluctuations, and the output of small enterprises has gradually increased by 2%.


In fact, both before the pandemic and during the pandemic, Tbilisi, Adjara, Kvemo Kartli, Imereti, Samegrelo-Zemo Svaneti are leading in the structure of turnover by region. It is significant that during the pandemic, the share of Tbilisi increased even more (by 2.1%), which, apparently, is associated with a decrease in turnover in Adjara (by 1.9%). As expected, the pandemic has significantly affected the tourism business in Adjara, which is clearly seen in the numbers. While quarterly turnover figures for 2021 are preliminary, there is still an upward trend that is likely to continue going forward.

In 2010-19, albeit with a declining trend, trade was the sole leader, until 2018 industry was in second place, and since 2018 arts and entertainment have increased significantly, and construction is in third place with a mixed trend. The pandemic years of 2020 and 2021 were characterized by a decline in the share of both trade and construction and transport, although this decline was not sharp or disruptive.

During the pandemic years, the leading industries remain unchanged, although the shares of industry, construction and transport are declining.

After Pandemic, in the II quarter of 2023 compared to the same quarter of previous year the volume of business sector turnover increased by 15.2 percent and amounted to 48.0 billion GEL. The production value of the business sector is characterized by the increasing tendency. In the II quarter of 2023, its volume equaled to 18.3 billion GEL, which is year-on-year 10.8 percent more, the average number of persons employed equaled to 737.7 thousand, which is year-on-year 6.1 percent more. 43.3 percent of total number of persons employed comes on large, 20.8 percent – on medium and 35.9 percent - on small businesses. By regions, Tbilisi is leading in gross turnover (77.5%) and in gross production value (64.6%). By data analysis, the output of the following industries showed an increase of more than 25% in the second quarter of 2023 compared to the previous year by kind of economic activity:

Figure 1. INCREASE OF BUSINESS PRODUCTION VALUE BY KIND OF ECONOMIC ACTIVITY, %



Source: Based on Geostat data.

It should be mentioned, that the majority of economic activities significantly increase their production except mining and quarrying, manufacturing, electricity, gas, steam and air conditioning supply, what resulted in 5% downturne in spite of 10% increase of water supply, sewerage, waste management and remediation activities production.

Keywords: *Business Turnover, Output, Intermediate consumption, Value added, Business Register, Employment, Statistics.*

References

1. *Business Statistics data of Georgia.*(n.d.) Retrieved from: <https://www.geostat.ge/en/modules/categories/326/statistical-survey-of-enterprises>.
2. Dzebisauri, L.; Mindorashvili, M. (2023). *Business statistics in pre-pandemic and post-pandemic periods: Georgia and the European Union. National Scientific Conference - The World Economy in the Post-Pandemic Period: Results and Challenges*, dedicated to the 105th anniversary of TSU.
3. Dzebisauri, L.; Mindorashvili, M. (2022). *The Role of Sector Accounts in the Progressive Alignment of Georgia with the European Statistical System*. Tbilisi: VII International Scientific Conference "Challenges of Globalization in Economy and Business" dedicated to the 100th anniversary of the Faculty of Economics and Business, collection of works. TSU.
4. Dzebisauri, L.; Mindorashvili, M. (2023). *The Latest Trends in Georgia's Business Register*. Innovative Economics and Management, Vol. 10 No 2 (2023), <https://doi.org/10.46361/2449-2604.10.2.2023.116-128>, p. 116-128
5. *Ease of doing business rankings*. (2020). Retrieved from World Bank: <https://www.worldbank.org/en/news/press-release/2019/10/24/georgia-ranks-7th-in-the-world-for-ease-of-doing-business-says-latest-world-bank-study>
6. Gelashvili, S.; Abesadze, N.; Mindorashvili, M.; Dzebisauri, L. (2022). *Employment statistics in the business sector of Georgia against the backdrop of pandemic shocks*. Tbilisi: VII International Scientific Conference "Challenges of Globalization in Economy and Business" dedicated to the 100th anniversary of the Faculty of Economics and Business, collection of works. TSU.

მმართველობის ეფექტიანობა, რეგულაციების ხარისხი და კორუფციის კონტროლი საქართველოში

ტარიელ გიორგაძე

ეკონომიკის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

giorgadzetarieli@gmail.com

ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული მმართველობა აუცილებელია ნებისმიერი ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის. ის უზრუნველყოფს ქვეყნებს, გააუმჯობესონ ეკონომიკური ზრდა, შექმნან ადამიანური კაპიტალი და გააძლიერონ სოციალური ერთიანობა. მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები (WGI) შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს მკვლევრებს და ანალიტიკოსებს, შეაფასონ მმართველობის აღქმის ფართო სექტორები ქვეყნებში, დროთა განმავლობაში.

შეფასების მთავარ ექვსივე კრიტერიუმში: კანონის უზენაესობა, მთვრობის ეფექტიანობა, ანგარიშვალდებულება, პოლიტიკური სტაბილურობა, რეგულირების ხარისხი, კორუფციის კონტროლი - საქართველოს ბოლო პერიოდში აქვს შესამჩნევი პროგრესი. თუმცა ჩვენს ქვეყანაში დემოკრატიული მმართველობის შემდგომი განვითარებისა და ევროკავშირის ქვეყნებთან დაახლოების მიზნით მნიშვნელოვანია როგორც მიღწეული პროგრესის ხაზგასმა, ისე იმ გამოწვევებზე პასუხის გაცემა, რომელიც ქვეყნის წინაშე არსებობს.

საკვანძო სიტყვები: მმართველობა, ინდიკატორები, ეფექტიანობა, შეფასების კრიტერიუმები, რეგულირება, კორუფცია

ლიტერატურა:

1. Freedom House (ფრიდომ ჰაუსი)
2. Bertelsmann Transformation Index (BTI) (ბეტსელმანის ტრანსფორმაციის ინდექსი)
3. Economist Intelligence Unit (EIU) ეკონომისტ ინტელიჯენს იუნითი
4. The Gallup Organization (კვლევითი ცენტრი „გელაპი“)
5. IHS Markit (აი ეიჩ ეს მარკიტი)
6. Varieties of Democracy Project at the University of Gothenberg and University of Notre Dame („დემოკრატიის მრავალფეროვნება“- გოტენბერგის და ნოტერდამის უნივერსიტეტების პროექტი)
7. World Justice Project Rule of Law Index (მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის „კანონის უზენაესობის ინდექსი“)
8. World Economic Forum Global Competitiveness Survey (GCS) (მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის კვლევა)

სტარტაპები ქართულ ბაზარზე – პრობლემები და გამონახვები თანამედროვე პირობებში

ნანული მახარაძე

ასოცირებული პროფესორი, ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი
maxaradze.nanuli@bsu.edu.ge

სტარტაპების შექმნა და მათდამი მხარდაჭერა, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს. როგორც ცნობილია, სტარტაპი წარმოების განვითარების ერთ-ერთი პროგრესული და შედარებით მარტივი ფორმაა, ამიტომ ბაზარზე სტარტაპების წინაშე არსებული პრობლემებისა და გამოწვევების შესწავლა აუცილებელ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. სტარტაპების შექმნის ძირითად რესურსად ითვლება კარგი ნოვატორული იდეა, რომლებიც თავის მხრივ საჭიროებენ მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს. თავად იდეა, თუკი ის არ განხორციელდა რეალურად, არ ფლობს არავითარ მატერიალურ ღირებულებას, ამიტომ სტარტაპებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობა აღნიშნული მიმართულებით. სწორედ აღნიშნული განაპირობებს საკვლევი თემისადმი დაინტერესებას. კერძოდ, დაფინანსების თვალსაზრისით სტარტაპების ბაზრის შესწავლა (სტარტაპერების გამოკითხვის ორგანიზება) და ამ მიმართულებით არსებული პრობლემების შეფასება, რომლებიც მნიშვნელოვანია სტარტაპების ბაზარზე დამკვიდრებისა და მათი სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრისთვის.

კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილდა ქართულ ბაზარზე არსებულ იმ სტარტაპებზე, რომლებიც დაფინანსებულია საქართველოს ინოვაციების განვითარების სააგენტოსა და ქვეყანაში არსებული საფინანსო ინსტიტუტების (ბანკები) მიერ. კერძოდ, სტარტაპების დაფინანსების ტიპები რამდენადაა ცნობილი თავად სტარტაპერებისთვის; ფლობენ თუ არა ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით, რამდენად სწორად და რეალურად შეირჩევა იგი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ბაზარზე სტარტაპების საქმიანობის შეფასება არასაკმარისადაა შესწავლილი. აშკარად არასაკმარისი ყურადღება ექცევა მარკეტინგულ ანალიზს, რომელიც საშუალებას იძლევა, განისაზღვროს სტარტაპების წარმატებისა ან წარუმატებლობის მიზეზები. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამიტომ, აღნიშნულ სფეროში ბაზრის საფუძვლიანი შეფასება და მარკეტინგული ანალიზი უნდა იყოს პრიორიტეტული და რაც შეიძლება დეტალურად აღწერილი რათა ზუსტად განვსაზღვროთ, დაფინანსების რომელი გზაა ხელსაყრელი და მოგებიანი. სასურველია, ანალიზისას კომპანიები შეფასებული იქნა სხვადასხვა ჭრილში (მათ შორის დარგობრივი), რათა სწორად გამოვლინდეს საქართველოში ის პრიორიტეტული სტარტაპები, რომელთა საქმიანობა გათვლილი იქნება გრძელვადიანი პერიოდისთვის. ზოგადად სტარტაპის ეფექტურობის შეფასება, როგორც წესი, ხორციელდება ბაზარზე გასვლისა და დამკვიდრების ეტაპზე. სწორედ აქ ვლინდება, სტარტაპები სასიცოცხლო ციკლის რომელ ეტაპზე რჩებიან ხანგრძლივი დროით. სტარტაპების მარკეტინგული კონცეფცია შესაძლოა, დამუშავდეს ქვეყნის ბაზრის ანალიზის საფუძველზე, რომელიც საშუალებას მოგვცემს მიმომხამდე შემცირდეს რისკები, რომელთა წინაშეც შესაძლოა, აღმოჩნდნენ დამწყები სტარტაპერები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, საქართველოში შეინიშნება სტარტაპების რეგისტრაციის მხრივ ბუმი და ადგილი აქვს კონკურენციას, თუმცა ჩანს ისიც, რომ კომპანიათა უმრავლესობა სათანადოდ ვერ აფასებს თავიანთ საქმიანობას და მომავალს. პრობლემა ისაა, რომ სტარტაპერებს

სჭირდებათ მეტი ყურადღება მარკეტინგული თვალსაზრისით, რომლის გარეშეც მკაცრი კონკურენციის პირობებში ბაზარზე დამკვიდრების შანსი დაბალია.

ამიტომ, ქვეყანაში სტარტაპების საქმიანობის სრულყოფის მიზნით სასურველია, განხორციელდეს:

- დაფინანსების ნაწილში სწორად განისაზღვროს სტარტაპების მნიშვნელობა და გამოვლინდეს პრიორიტეტული დარგები;
- დადგინდეს სტარტაპების განვითარებაში ხელის შეშლელი მიზეზები და გამოვლიდეს მათი განვითარების ტენდენციები;
- სტარტაპების მასშტაბების გაფართოების მიზნით განხორციელდეს წარმოებისა და გასაღების ყველა სტადიის თამამიმდევრული დამუშავება;
- ეტაპობრივად შეფასდეს და განისაზღვროს რეალური რისკები.

საკვანძო სიტყვები: სტარტაპი, სტრატეგია, ბაზარი, ბაზრის ანალიზი, დაფინანსება, მარკეტინგული კვლევა

ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 10 სექტემბრის N1722 განკარგულება. „საქართველოს საინოვაციო კონცეფცია“.
2. <https://balance.ge/rogor-avwiot-startup>
3. <https://fintech.ge/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%90/>
4. <http://gita.gov.ge/>
5. <http://startup.gov.ge/>
6. <https://www.marketer.ge/startupebi-da-dafinanseba/>
7. <https://www.startuperi.ge/ka/about-project>
8. <https://www.economy.ge/?page=projects&s=29>
9. <https://medialab.ge/news/startapis-dapinansebis-7-gza>
10. <https://on.ge/story/60892-10-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9E%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AA-mystartup-ge-%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90>
11. <https://netgazeti.ge/news/256643/>
12. <https://publika.ge/saqartvelos-bankma-500-georgia-shi-chartuli-startapebidan-sakutari-top-5-euli-daasakhela/>

საქართველოს ტურისტული პოტენციალი და კლიმატის ცვლილებით განპირობებული რისკების შეფასება

მაია აზმაიფარაშვილი

ეკოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო, გორი,

maiaazmaiparashvili@gmail.com

კლიმატის ცვლილება ცნობილი გლობალური მეგატრენდია, მაკროეკონომიკური და გეოსტრატეგიული ძალა, რომელიც გავლენას ახდენს დედამიწის აწმყოსა და მომავალზე, გლობალურ ეკონომიკაზე, კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობაზე, საზოგადოებებსა და ინდივიდებზე (PwC, 2016). კლიმატის ცვლილება მუდმივად სახელდება გლობალურ საფრთხეთა მთავარ ხუთეულში და თან „მოსალოდნელზე გაცილებით სწრაფად მწვავედება“. როგორც გაერო აღნიშნავს, განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რომ სათბურის აირების (GHGs) ემისიები კვლავ გლობალურად იზრდება. კლიმატის ცვლილების დაძლევა მდგრადი განვითარების ერთ-ერთი მიზანია და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. გლობალური ამოცანაა კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული ზომების ინტეგრირება ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტებში, სტრატეგიებსა და გეგმებში.

ისეთი ფენომენის აღწერისას, როგორც ტურიზმია, ძნელია, ზუსტად განსაზღვრო მისი საქმიანობა მდგრადობასთან მიმართებით. კლიმატი ამა თუ იმ ტურისტული ადგილის გამოყენების ხარისხობრივ თავისებურებებს განსაზღვრავს. კლიმატი ტურიზმის ძირითადი რესურსია, რადგანაც განაპირობებს დანიშნულების ადგილებში მრავალ ტურისტულ აქტივობას. საქართველოს ტურიზმის სექტორის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტულ უპირატესობას მისი ხელსაყრელი კლიმატური პირობები წარმოადგენს. დღეს ღირებულია და საჭირო დაისვენო იქ, სადაც ხელსაყრელი ჰავა და სამკურნალო რესურსებით გამორჩეული ადგილებია. მეტად განსხვავებულია ბიოკლიმატური გარემო მთაში, მაგრამ ფაქტი ერთია, რომ დაბალი მთები (750-1000 მ), საშუალო (1000-1500 მ) და უფრო მაღალი ადგილები ზღვის დონიდან, ტურიზმისა და კურორტოლოგიაში ფასდაუდებელი რესურსია. საინტერესოა, რომ საქართველოში არსებული ბალნეოლოგიური ცენტრების უმრავლესობა (ზ.დ. 1000 მ-მდე) წლის ნებისმიერ პერიოდში ვარგისია სარგებლობისთვის.

კლიმატის ცვლილება საფრთხეების შემცველია, რომელთა გაუთვალისწინებლობა აზარალებს ტურიზმის რეკრეაციულ რესურსებს, მისი რესურსული პოტენციალის ყველაზე მთავარ ნაწილს - ბუნებას და კულტურული მემკვიდრეობას. ტურისტული დანიშნულების ადგილებში ბიომრავალფეროვნების სერიოზული შემცირება ზღუდავს ეკოსისტემური სერვისების მიწოდებას და, რაც უფრო საგანგაშოა, იწვევს ეკოსისტემათა რეგულაციური ფუნქციების მოშლას (მათ შორის, კლიმატის კუთხით). ეკოსისტემებს, რომლებიც ისედაც არასახარბიელო მდგომარეობაში არიან, უმცირდებათ მდგრადობის შენარჩუნების შესაძლებლობა სერიოზული შოკის - კლიმატის ცვლილების მიმართ.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასებისას, კლიმატის ზემოქმედების შესწავლა საყურადღებოდ საგნად მიგვაჩნია. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ტურიზმის სექტორისთვის ღირებული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების შეფასება კლიმატის ცვლილებით განპირობებული რისკების ფონზე. ნაშრომში გაანალიზებულია, როგორც საქართველოს კლიმატის ცვლილების შერბილების პოლიტიკა, ისე, გლობალური და ეროვნული პოლიტიკის „მწვანე“ ტენდენციები. კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, ღია წყაროებში

წარმოდგენილი ანალიტიკური მასალის დამუშავებას, მეორე მხრივ კი, შესაბამისი პროფესიული წრეების წარმომადგენელთა გამოკითხვას. სამაგიდო კვლევის ფარგლებში გაანალიზდა ლიტერატურა, პუბლიკაციები (საქართველოს კლიმატის ცვლილების კანონის მწვანე წიგნი-2023“, „მწვანე მეწარმეობა“, კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება“, „სტანდარტები ტურიზმში“, ევროკავშირის კლიმატის პოლიტიკა, ევროპის მწვანე შეთანხმება და მისი პოტენციური გავლენები საქართველოზე, საქართველოს კლიმატის ცვლილების შერბილებისა და დასაქმების პოლიტიკა, საკანონმდებლო-პოლიტიკის დოკუმენტები და სხვა).

როგორც ცნობილია, კლიმატის ცვლილება გამოწვეულია ადამიანის არამდგრადი ეკონომიკური აქტივობებითა და თანმდევი სათბურის აირების ემისიებით. მწვანე ზრდის კონცეფცია ადასტურებს, რომ ეკონომიკური ზრდა შეიძლება მდგრადი და თავსებადი იყოს გარემოს დაცვასთან. ამიტომაც კლიმატის ცვლილების შერბილების პოლიტიკა უნდა აღიქმებოდეს არა როგორც ტვირთი ეკონომიკური განვითარებისთვის, არამედ მასთან სრულიად თავსებადი რამ. ბოლო წლებში „მწვანე“ მშენებლობისა და შენობის რეაბილიტაციის ტენდენციები ბევრ ქვეყანაში მკვეთრად იზრდება და ამ ინდუსტრიის ზრდასთან ერთად, იზრდება მისი კვალიფიციური აქტიური სამუშაო ძალა. სათბურის აირების დიდი რაოდენობით წარმომქმნელია სასტუმროს სექტორი; მნიშვნელოვნად გაიზარდა ენერჯის მოხმარება შენობებსა და წარმოებაში, ამიტომ მაღალი უნდა იყოს მათი როლი შერბილებაში; ცვლილებები უნდა მიმართული იყოს ენერჯის მოთხოვნის შემცირებისკენ განვითარების შეუფერხებლად; შემუშავდეს ენერჯის მოხმარების ეფექტურობის მდგრადი ენერგეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა. საქართველოს კანონი „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“, ქმნის სამართლებრივ საფუძვლებს ენერგორესურსების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობისა და შენობების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისთვის შენობების გარეკლიმატური და ადგილობრივი პირობების, შიდაკლიმატურ პირობებზე მოთხოვნილებისა და ხარჯეფექტურობის გათვალისწინებით. კანონის მთავარი მიზანია ენერჯის დაზოგვა, თუმცა, ის, სავარაუდოდ, გავლენას მოახდენს მშენებლობის პრაქტიკებსა და სამუშაო/უნარების მოთხოვნებზე (საქართველოს კანონი, შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ, 2020).

ტურიზმის მდგრადი განვითარებისთვის საჭიროა ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შენარჩუნება და რეგიონის კლიმატური პირობების სწორი გათვალისწინება გადაწყვეტის ერთ-ერთი გზა მწვანე უნარები, მწვანე ეკონომიკა, მწვანე ინვესტიციებია. უნდა დაინერგოს ეკონომიკური განვითარების ის მოდელი, რომელიც მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზეა დაფუძნებული. ტურიზმის ეკონომიკური ბუნება მარტო იმით კი არ გამოიხატება, რომ სექტორში იქმნება ეკონომიკური საქმიანობის პროდუქტი, არამედ იმამიტ, რომ მის შესაქმნელად საჭიროა განსაზღვრული რესურსების დახარჯვა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, თვითეული სამეურნეო სუბიექტი, ქვეყანა, რეგიონი, დარგი, მდგრადი კონცეფციის რაკურსით უნდა განიხილებოდეს. ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისა და დაგეგმვის დროს აუცილებელია, სათანადოდ იყოს გათვალისწინებული მოწყვლადი რესურსები (მაგ. მთების და ზღვის ეკოსისტემის პარამეტრები, სანაპირო ზოლში წყლის ღონის მატება, მთიან რეგიონებში ექსტრემალური სტიქიური მოვლენების გააქტიურება და ა. შ.), ამავდროულად, უნდა ხდებოდეს ალტერნატიული ტურიზმის სახეების ხელშეწყობა, ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილების, მათ შორის ალპური რეგიონის გამოცდილების გაზიარება. საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიის „ინდივიდუალიზმი“, როგორც სფეროს მწვანე მენეჯმენტის სტილის პრიორიტეტული მიდგომის განსაზღვრა, მნიშვნელოვანია ტურიზმის სექტორში საერთაშორისო ISO-ს სტანდარტით განპირობებული მიდგომების გათვალისწინება.

საკვანო სიტყვები: კლიმატი, გავლენა, ტურიზმი, რესურსები, ცვლილება, მემკვიდრეობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კლიმატის ცვლილების შერბილების პოლიტიკის გავლენა შრომის ბაზარზე, კვლევითი ნაშრომი, 2021.
<https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/17943.pdf>
2. კლიმატის ცვლილების მწვანე წინგი, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის კონსულტაცია, 2023 წ.
<https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/garemo/green-paper.pdf>
3. მწვანე მეწარმეობა, ევროკავშირი საქართველოსთვის, CENN
ენერგოეფექტურობის ეროვნული (ეესგ 2019-202) სამოქმედო გეგმა.
https://www.economy.ge/uploads/files/2017/energy/samoqmedo_gegma/2019_2020_clis_energoefekturobis_samoqmedo_gegma.pdf
4. მზის ენერგეტიკა საქართველოში: პრობლემები, გამოწვევები და საჭირო ღონისძიებები, დევიდე მ., 2020.
5. სტანდარტები და ტურიზმი, Latvijas standarts, AM/GPK-05/2019
PwC, 2016: PwC, “Five Megatrends And Their Implications for Global Defense & Security,” ხელმისაწვდომია:
<https://www.pwc.com/gx/en/government-public-services/assets/five-megatrends-implications.pdf>
6. What is sustainable finance? (2018, April 17). The Economist. <https://www.economist.com/the-economist-explains/2018/04/17/what-is-sustainable-finance>

ციფრული მარკეტინგის მენეჯმენტის პრობლემები თანამედროვე პირობებში

¹გულიკო ქათამაძე, ²დავით ქათამაძე, ³თამილა ქარცივაძე

¹ასოცირებული პროფესორი, ბიზნესისა და მართვის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი

²ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი

³ბიზნესის ადმინისტრირების II კურსის დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველო, ბათუმი
qatamadze.guliko@bsu.edu.ge

ნებისმიერი კომპანიისთვის აუცილებელია იმისი ცოდნა თუ, ვინ არის მისი მომხმარებელი და რას მოითხოვენ ისინი კომპანიისგან; მნიშვნელოვანია, ფლობდეს ინფორმაციას მისი პროდუქციისა და მომსახურების მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობის, მათი შემოსავლებისა და გადახდისუნარიანობის შესახებ. ამ სახის ინფორმაციის მოპოვება კომპანიებს შეუძლიათ ციფრული მარკეტინგის მეშვეობით. ციფრული მარკეტინგის დანიშნულებაა ინტერნეტის და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით მომხმარებლების მოზიდვა, მოხიბვლა და კლიენტებად ქცევა. ციფრული მარკეტინგი მოიცავს სხვადასხვა მიდგომას, - კონტენტ მარკეტინგი, Email და SMS მარკეტინგი, ვიდეომარკეტინგი, რეპუტაციის მენეჯმენტის მარკეტინგი, SEO ოპტიმიზაცია, სოციალური მედია, ონლაინრეკლამები და სხვა. Email მარკეტინგი ციფრული მარკეტინგის ყველაზე გავრცელებული ფორმა არის საქართველოში. ქართულ კომპანიებს მისი გამოყენება შეუძლიათ პოტენციური მომხმარებლებისა და პარტნიორების მოძიებისთვის, რეკლამის დასაგზავნად და PR ღონისძიებებისას. ელფოსტა საშუალებას აძლევს კომპანიებს, აწარმოონ მომხმარებელთა სეგმენტაცია. ის გამოიყენება, ასევე, საქმიანი მიმოწერების მიზნითაც.

ციფრული მარკეტინგი მნიშვნელოვან როლს თამაშობს განვითარებული ქვეყნების ბიზნეს საქმიანობაში. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებას კლიენტების მოზიდვის თვალსაზრისით. ციფრული მარკეტინგი მოიცავს თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომების და ძველი მარკეტინგული პრინციპების ერთობლიობას, ციფრული მარკეტინგის სწორი მენეჯმენტით შესაძლებელია კლიენტების მოზიდვა, ბიზნესის ცნობადობის გაზრდა, ბრენდის შექმნა, გაყიდვების ზრდა და უფრო მეტი მოგების მიღება. საქართველოში ციფრული მარკეტინგის მენეჯმენტი არ არის სათანადო დონეზე განვითარებული, რასაც აფერხებს მრავალი პრობლემა. ესენია: ინფორმაციის არქონა, უნდობლობა, ქართული ვებგვერდების პოპულარობის უქონლობა, ქართულ ენაზე ინფორმაციის სიმცირე, ვებგვერდების იშვიათად განახლება, რეკლამების უქონლობა, დიზაინის მომხიბვლელობის ნაკლებობა, რთული მენიუ, მომხმარებელი ფოტოს საშუალებით ხედავს პროდუქციას და დიდი შანსია, შენაძენი არ აღმოჩნდეს ისეთი, როგორც მან აღიქვა და ა.შ.

ციფრული მარკეტინგის აუტოსორსინგი თანამედროვე ბიზნესის მძლავრი იარაღია, პოტენციური კლიენტების უმრავლესობა ყოყმანობს, დაიქირაოს ციფრული მარკეტინგის სააგენტო, თუ ჯობია კადრის დაქირავება, რომელიც შეითავსებს მარკეტინგულ საქმიანობას, ან ხომ არ ჯობია სხვა დასაქმებულებზე ამ საქმიანობის დელეგირება. ზოგიერთს არ სჯერა შედეგის, ბევრი ძველ მეთოდებს ვერ ელევა.

ციფრული მარკეტინგის აუტოსორსინგი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. **ცოდნა და მომსახურების ხარისხი.** ძალიან ძლიერი კადრის აყვანის შემთხვევაშიც, მას ბევრი რამ, უბრალოდ, არ ეცოდინება. ვიდაც შეიძლება კვალიფიცირებული იყოს გრაფიკულ დიზაინში, ძალიან ეფექტურად მართავდეს სოციალურ მედიას და ინტერნეტ რეკლამას, თუმცა წარმოდგენა არ ჰქონდეს ვებგვერდის ფუნქციონირებაზე, მის ტექნიკურ და შინაარსობრივ მართვაზე, მობილური აპლიკაციების შექმნაზე, გუგლის საძიებო სისტემაზე, SEO-ს ოპტიმიზაციაზე და ა.შ.
2. **ეფექტური ინვესტიცია.** ციფრული მარკეტინგის მენეჯმენტი, მართალია, ძალზედ ეფექტურია, თუმცა მეორე მხრივ, მისი წარმოება არ ჯდება იაფი. საკუთარი კადრის დაქირავების დროს, ერთი შეხედვით, კომპანია თითქოს აკეთებს ეკონომიას, თუმცა რეალურად ასეთ შემთხვევაში, კომპანიის ხარჯები იზრდება.
3. **მოტივაციის ნაკლებობა.** ყველა ადამიანს სჭირდება მოტივაცია, სამუშაოს ეფექტიანად შესრულებისთვის, ასეთი მოტივაციის კარგი მაგალითია მატერიალური მოტივაცია, რომლის არარსებობის შემთხვევაში ძნელია ეფექტიანი შედეგების მიღება.
4. **დროის ეკონომია.** ფულთან ერთად უმნიშვნელოვანესია დრო, რომელიც თავისი ბუნებით შეუვსებელი რესურსია. ციფრული მარკეტინგის აუტოსორსინგის შემთხვევაში კომპანია გამოათავისუფლებს მნიშვნელოვან დროს. მას აღარ მოუწევს დროის ხარჯვა მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვაზე, რეკლამების ეფექტურობაზე, სოციალური მედიის განვითარების კონტროლზე, e-mail მარკეტინგზე და ა.შ.

ციფრული მარკეტინგის მენეჯმენტი, თავის მხრივ, მოიცავს გარკვეული სახის რისკებს. ამის მაგალითია კომპანიის ან მისი პროდუქციისა და მომსახურების შესახებ სოციალურ მედიაში უარყოფითი შეხედულებებისა და კომენტარების გავრცელება. ბრენდის მიმართ სოციალურ ქსელში უარყოფითი მოსაზრებების გამოხატვის გამო, კომპანიის წარმატებები შეიძლება მნიშვნელოვნად გაქარწყლდეს. მის გამოსწორებას კი დიდი დრო და ძალისხმევის გაწევა სჭირდება. სოციალურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სხვადასხვა მომხმარებელზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს, რამაც მათი უკმაყოფილება და დაპირისპირებაც კი შეიძლება გამოიწვიოს. ეს ფირმების იმიჯზე ნეგატიურად აისახება და იწვევს ბევრ პრობლემას, რაც დაკავშირებულია ლოიალურ მომხმარებელთა რაოდენობის შემცირებასთან, დანახარჯების ზრდასთან და ა. შ. მომხმარებლებს შეუძლიათ, დააფიქსირონ საკუთარი აზრი სოციალურ ქსელში, ეს კი ქართულ კომპანიებს ვერ დაიცავს იმ ნეგატიური კომენტარებისგან, რომლებიც მომხმარებელმა შეიძლება დააფიქსიროს მათ ვებგვერდზე. ასეთმა შემთხვევამ შესაძლებელია, მასაობრივი ხასიათი მიიღოს და შექმნას კომპანიის ნეგატიური სახე.

ციფრული მარკეტინგის მენეჯმენტის კიდევ ერთი რისკი დაკავშირებულია იმასთან, რომ ტექნოლოგიური სიახლეების გამოყენებისას არსებობს გარკვეული მტყუნების ალბათობა, რომელმაც შესაძლებელია, შეაფერხოს კომპანიის საქმიანობა. ეს იქნება კიბერშეტევის რისკი, ინფორმაციის მოპარვის და უარყოფითად გამოყენების საფრთხე და ა. შ. ამიტომ ფირმის მარკეტინგის მენეჯერი დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ინოვაციურ სიახლეებს, ზედმიწევნით უნდა შეაფასოს რისკები და მინიმუმამდე დაიყვანოს უარყოფითი შედეგების მიღების ალბათობა. რისკების არსებობის მუხედავად, სოციალური მედიისა და ტექნოლოგიების გამოყენებიდან მიღებული სარგებელი იმდენად დიდია, რომ კომპანიები მაინც მიდიან ამ რისკებზე.

ქართული ფირმების ინტერნეტ-მარკეტინგის მენეჯმენტის სფეროში არსებული პრობლემების აღმოფხვრის მიზნით საჭიროა, გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. ქართული ინტერნეტკომპანიები უნდა შეეცადონ ონლაინ მომხმარებლის ნდობის მოპოვებას; შესთავაზონ მათ ფასდაკლებები, რათა იგრძნონ მათი პროდუქციის ონლაინმომხმარებელმა ის უპირატესობები, რასაც ონლაინ სთავაზობენ;

2. ინტერნეტით მოვაჭრე კომპანიებმა უნდა გააუმჯობესონ და ხშირად განაახლონ თავიანთი ვებგვერდები, ასევე უნდა იზრუნონ მათი დიზაინის მომხიბვლელობაზე, რათა გაზარდონ თავიანთი ვებგვერდების პოპულარობა. მათ ასევე უნდა გააუმჯობესონ პროდუქტის აღქმა; უნდა შეისწავლონ ინტერნეტმომხმარებელთა კმაყოფილების დონე და მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილებები;
3. საჭიროა ქართულმა კომპანიებმა მიაწოდონ განახლებული ინფორმაცია თავიანთ ონლაინ მომხმარებელს პროდუქციის / მომსახურების შესახებ, რათა მოიპოვონ და გაზარდონ ნდობა პოტენციურ მომხმარებელში;
4. საჭიროა, ქართულმა კომპანიებმა თავიანთ ვებგვერდებზე მათ მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების მახასიათებლების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიაწოდონ ქართულ ენაზე;
5. საჭიროა ქართულმა ინტერნეტ-კომპანიებმა თავიანთი პროდუქციის შესახებ სრულყოფილი რეკლამები განათავსონ ციფრული მარკეტინგის არხების მეშვეობით, ასევე მათ უნდა გაამარტივონ თავიანთ ელექტრონული მაღაზიების საძიებო სისტემა (მენიუ), თავიანთი ვებგვერდები, ფოტოებთან ერთად, უნდა გაამრავალფეროვნონ ვიდეოკოლაჟებით, რათა მომხმარებელმა უფრო კარგად დაინახოს და აღიქვას პროდუქციის/მომსახურების სამომხმარებლო თვისებები, ხოლო შენაძენი პროდუქცია აღმოჩნდეს ზუსტად ისეთი, როგორც მან აღიქვა.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ციფრული მარკეტინგი, ინტერნეტ-მარკეტინგი, სოციალური მედია-მარკეტინგი, ინტეგრირებული მარკეტინგული საინფორმაციო სისტემები, კონტენტ მარკეტინგი, Email და SMS მარკეტინგი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბულაძე რ. (2008) ელექტრონული მარკეტინგის განვითარების პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. თბილისი, გვ. 166 (მონახულება 14. 09. 2023) <https://dSPACE.nplg.gov.ge/bitstream/1234/171237/1/Disertacia.pdf>
2. ბერიძე ნ. (2018) ინტერნეტ მარკეტინგის განვითარების თავისებურებები საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები (ავტორეფერატი). ბათუმი, გვ. 75 https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_9848_2.pdf (მონახულება 14. 09. 2023)
3. თურმანიძე ლ. (2019) ინტერნეტ-მარკეტინგის როლი აგრობიზნესის განვითარებაში. ბათუმი, გვ. 55; (მონახულება 14. 09. 2023) <https://openscience.ge/bitstream/1/1613/1/lika%20turmanidze%20%20samagistro.pdf>
4. ინასარიძე ი. (2020) ციფრული მარკეტინგი - ინოვაციური აქტივობების განხორციელების საშუალება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ, გვ. 31
5. ლაცაბიძე მ. (2020). ციფრული მარკეტინგის განვითარება და მისი გამოყენება საავიაციო ინდუსტრიაში. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, თბილისი, გვ. 109; <https://openscience.ge/bitstream/1/2102/1/Meri%20Latsabidze%20samagistro.pdf> (მონახულება 14. 09. 2023)
6. რა არის ციფრული მარკეტინგი? <https://blh.com.ge/#> BLH • Business & Legal Hub
7. ცირეკიძე თ. (2019) ციფრული მარკეტინგის გავლენა ქართულ მედიაზე. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი. თბილისი. გვ. 62 (მონახულება 14. 09. 2023) <https://openscience.ge/bitstream/1/1791/1/Tamta%20Tsirekidze%20Samagistro.pdf>
8. Ivanov M. (2019) The digital marketing with the application of cloud technologies. SHS Web of Conferences 65, 04019 (2019) M3E2 2019. Zaporizhzhya National University, 7, Engineer Preobrazhensky ave., Zaporizhia, 69000, Ukraine <https://doi.org/10.1051/shsconf/20196504019> (visiting 14. 09. 2023)

9. **Liska. R. (2018)** management challenges in the digital Era. Analyzing the impacts of industry 4.0. In modern Business Environments (pp. 82-99). (visit 15.09.2023).
10. **Oklander M, Oklander T. Yashkina O (2018)**Analysis of technological innovations in digital marketing. Eastern-European Journal of Enterprise Technologies ISSN 1729-3774 p. 10-21 <http://dspace.op.edu.ua/jspui/bitstream/123456789/8078/1/%D0%A1%D1%82%D0%B0%D1%82%D1%82%D1%8F.pdf> (visiting 14. 09. 2023)

თანამედროვე ტენდენციები მომხმარებელთა ქცევაში

ნინო მამულაძე

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასისტენტ პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი
nino.mamuladze@bsu.edu.ge


მომხმარებელთა ქცევა და მასთან დაკავშირებული გარემოებები აქტუალური საკითხია თანამედროვე სამყაროში. მომხმარებელთა ქცევის შესწავლა გადამწყვეტი ფაქტორია ყველა მარკეტოლოგისთვის. იმის განსაზღვრით, თუ რას და რატომ ირჩევენ მომხმარებლები, მარკეტოლოგებს შეუძლიათ: განსაზღვრონ მათთვის პრიორიტეტული და ამავდროულად არასასურველი საქონელი და მომსახურება; უფექტურად ჩამოაყალიბონ თავიანთი მარკეტინგული სტრატეგიები და წარმართონ შედეგზე ორიენტირებული მარკეტინგული კამპანიები, რათა გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ქცევაზე; მნიშვნელოვანია, დაიხვეწოს მარკეტინგული ძალისხმევა, რადგან მათ შეუძლიათ აღმოაჩინონ მომხმარებელთა ახალი დემოგრაფია, გააუმჯობესონ მათი შეტყობინებები და იწინასწარმეტყველონ მომავალი საბაზრო ტენდენციები.

დღესდღეობით მომხმარებლის ქცევა უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ოდესმე. რა სურთ მომხმარებლებს, სად სურთ პროდუქციის შეძენა, როდის უნდა რომ მიიღონ წვდომა თავიანთ საქონელსა თუ მომსახურებაზე და ა.შ. მუდმივად წარმოადგენს განხილვისა და შესწავლის საგანს.

მომხმარებელთა ქცევაზე სხვადასხვა გარემოება ახდენს გავლენას, რაც მთლიანობაში გავლენას ახდენს მათ სამომხმარებლო ქცევაზე. ბოლო პერიოდში, ბაზრის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად შეიცვალა მომხმარებელთა ქცევა და გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- გადახდის მრავალფეროვანი საშუალებები: მომხმარებელი ელოდება გადახდის მრავალფეროვან საშუალებებს. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანები სულ უფრო ხშირად ყიდულობენ საქონელსა თუ მომსახურებას ინტერნეტით, ისინი ონლაინ საცალო ვაჭრობისგან მოელიან გადახდის სხვადასხვა ვარიანტების ფართო არჩევანს. ეს მოიცავს გადახდის სხვადასხვა გზების შეთავაზებას - კრედიტით, სადებეტო, PayPal და სხვა ტიპის გადახდები. ასევე, მათ აქვთ მოლოდინი, რომ დროთა განმავლობაში მათ ექნებათ გადახდების გადადების შესაძლებლობა. „იყიდე ახლა და გადაიხადე მოგვიანებით“ (BNPL) ინდუსტრია მნიშვნელოვნად იზრდება ელექტრონული კომერციის ზოგად ზრდასთან ერთად. დღესდღეობით მსგავსი ტიპის შეთავაზებებზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას (BNPL) არ არის დეფიციტი. გადაიხადე შემდგომ (After pay) ერთ-ერთი ლიდერია ამ კატეგორიაში (იხ. დიაგრამა 1).

საერთაშორისო ბაზარზე დიდი მოთხოვნით სარგებლობს კომპანია Sezzle - რომელიც მუშაობს „იყიდე ახლა, გადაიხადე მოგვიანებით“ (BNPL) - პრინციპით ონლაინ შესყიდვის დროს. კომპანია მოწინავე პოზიციებს იკავებს საერთაშორისო ბაზარზე და მნიშვნელოვნად ზრდის მოთხოვნას (იხ. დიაგრამა 2).



წყარო: <https://explodingtopics.com/topic/bnpl>

- მომხმარებლებს სურთ ყველაფრის მიწოდება: ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა შექმნილი პროდუქციის სახლში მიტანაზე. მათ შორის ისეთ პროდუქციაზე, რომელიც ტრადიციულად მაღაზიებში იყიდებოდა. მაგ: სასურსათო პროდუქცია, მედიკამენტები, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, კოსმეტიკური საშუალებები, მცენარეები და სხვა მრავალი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი პროდუქციის დროულად და უვნებლად მიტანა საკმაოდ რთულია, სხვადასხვა კომპანიები, რომლებიც ახერხებენ მომხმარებლის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მნიშვნელოვან ზრდას განიცდიან ბაზარზე და შესაბამისად, ამყარებენ კონკურენტულ უპირატესობას.

- გაზრდილი მოთხოვნა ეთიკურ და მდგრად პროდუქტებზე: IBM-ს (International Business Machines Corporation) კვლევის მიხედვით მომხმარებელთა 77% მიიჩნევს, რომ მდგრადობა და გარემოზე ზრუნვა ბრენდის მნიშვნელოვან ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს. ჰარვარდის ბიზნესის სკოლის მონაცემებზე დაყრდნობით, მდგრად პროდუქტებს აქვთ 5.6-ჯერ მეტი გაყიდვების ზრდის შესაძლებლობა, ვიდრე არამდგრადს. შესაბამისად, უდავოა, რომ ეთიკურად პასუხისმგებელი კომპანიების მდგრადი პროდუქტები არის მომხმარებელთა ქცევის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტენდენცია, რომელსაც თვალი უნდა ვადევნოთ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში. მზარდი მდგრადი პროდუქტის კატეგორიის მაგალითია ბამბუკის საპირფარეშოს ქაღალდი. ტრადიციულისგან განსხვავებით, იგი მიიღება მცენარისგან, რომელსაც აქვს შედარებით მცირე უარყოფითი გავლენა გარემოზე. მოცემული პროდუქციის მწარმოებელი კომპანიები პარალელურად იყენებენ სახლში მიტანის სერვისს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის გაყიდვების მაჩვენებელს.

მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მდგრადი პროდუქტები, არამედ მათი შექმნა ეთიკურად პასუხისმგებელი კომპანიისგან. შესაბამისად, ბოლო პერიოდში, მსგავსი გარემოებები მომხმარებელთა დაკვირვების და შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა.

- ინფლუენსერების გავლენა მომხმარებელთა ქცევაზე: ინფლუენსერები სულ უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ შესყიდვის გადაწყვეტილებაზე. თანამედროვე მომხმარებლები განიცდიან მნიშვნელოვან გავლენას მათი მხრიდან და ახალი საქონლისა თუ მომსახურების შესახებ საიმედო ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოადგენს მათთვის. მომხმარებლები ინფლუენსერების საშუალებით ავლენენ სანდო ბრენდებს და სწორედ ეს ბრენდი განიხილება შემდგომ მომხმარებლისთვის პრიორიტეტულად. ბოლო წლებში იგი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი მიმართულებაა და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს იმ ფაქტორებს შორის, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებელთა ქცევაზე. არაერთი მარკეტოლოგი მიმართავს მას გაყიდვების სტიმულირების მიზნით და მნიშვნელოვან შედეგებსაც აღწევს.

ბოლო პერიოდში კომპანიების მხრიდან ასევე აქტიურად გამოიყენება „მიკროინფლუენსერები“, რომელთაც შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ მცირე, ნიშური აუდიტორია, რაც მიზნობრივ და დაინტერესებულ აუდიტორიასთან წვდომის მარტივ და კარგ საშუალებას წარმოადგენს.

- მომხმარებლები იწერენ მეტ ყოველთვიურ სერვისებს: ყოველთვიური სააბონენტო ინდუსტრია სწრაფად გაიზარდა და შეადგინა 90% წელიწადში. თუ ადრე მომხმარებელი ერთჯერად შესყიდვებს ანიჭებდა უპირატესობას, ახლა ეს ქცევა მუდმივად განმეორებადმა შესყიდვებმა ჩაანაცვლეს. მომხმარებელს აღარ უწევს პროცედურების ხელმეორედ განმეორება, რადგან ავტომატური შესყიდვები ამ პროცესს ამარტივებს.

- სახლი ხდება მომხმარებლის ცენტრი: ამერიკელების დაახლოებით 90% დროის უმეტეს ნაწილს დახურულ შენობაში ატარებს. დღესდღეობით მნიშვნელოვნად მზარდია იმ ადამიანების რაოდენობა, რომელიც სახლიდან მუშაობს. შესაბამისად, რაც მეტ დროს ატარებს ის შენობაში, მნიშვნელოვნად ცვლადია მათი სამომხმარებლო ქცევა. მომხმარებელი ეძებს მაქსიმალურად მარტივ რესურსებს თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ჭკვიანი კარის ჩამკეტები, ავტომატურად გათიშვადი ელექტროტექნიკა და მცირე საოჯახო ტექნიკა, დროის დაზოგვის მიზნით ტრადიციული კერძებიდან სწრაფად და მარტივად მოსამზადებელი ან მზა საკვები პროდუქტების გამოყენებაზე გადასვლა, შეკვეთილი პროდუქციის სახლში დრონით მიტანის სერვისი, რომელიც მნიშვნელოვნად ზოგავს დროს და სხვა მრავალი გარემოებები.

- მზარდი მოთხოვნა ნაკლებად ცნობილ ბრენდებზე, ბოლო დროის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენციაა. როგორც ვიცით, ფასი იყო და არის მნიშვნელოვანი ფაქტორი მომხმარებლისთვის ყიდვაზე გადაწყვეტილების მიღების დროს. თუმცა ბოლო პერიოდში ბევრი მომხმარებელი უფრო მგრძობიარე გახდა ფასების მუდმივი ინფლაციისა და ცხოვრების გაძვირების გამო. შესაბამისად, მომხმარებლები ფულის დაზოგვის მიზნით, ნაკლებად ყიდულობენ, თუმცა აუცილებელი პროდუქციის შეძენის დროს მომხმარებელი პრიორიტეტს დაბალი ღირებულების და ნაკლებად ცნობილი ბრენდის საქონელსა თუ მომსახურებას ანიჭებს. იმ პირთა რიცხვი, რომლების სხვადასხვა სოციალურ ქსელში მსჯელობენ არაბრენდულ პროდუქტებზე, ბოლო თორმეტ თვეში წინა პერიოდთან შედარებით 11%-ით არის გაზრდილი. პარალელურად, მნიშვნელოვანი ცვლილებებია ონლაინგანხილვებში. ბოლო დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა ნეგატიური შეფასებების მაჩვენებელი. მიმდინარე წლის ბოლო 6 თვეში დადებითი გამოხმაურებები 9%-ით შემცირდა, ხოლო უარყოფითი გამოხმაურებები გაიზარდა 6%-ით. (წყარო: Brandwatch research results 2023). რამ შეიძლება განიწვიოს მოცემული გარემოება? არაბრენდულ პროდუქციაზე გადასვლა სულაც არ არის არჩევანის გაკეთება, რაც სურს მომხმარებელს, ეს არის არჩევანი, რომელიც მათ უნდა გააკეთონ. მზარდმა ფასებმა მომხმარებელი აიძულა, რომ შეიძინოს იაფი პროდუქცია ფინანსური გამოწვევების დასაძლევად. ასე რომ არც უნდა იყოს გასაკვირი, რომ პროდუქციის ხარისხისდა მიუხედავად მომხმარებლები არ არიან დადებითად განწყობილი მათ მიმართ, რადგან მოუწიათ მათი მყიდველობითი ჩვევის შეცვლა. მეორე კატეგორია მომხმარებლებისა კი, იმედგაცრუებულები არიან პროდუქციის ხარისხით.

ეს არასრული ჩამონათვალია იმ ტენდენციებისა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებელთა ქცევაზე. თუმცა, როგორც აღნიშნულიდან გამოიკვეთა, სამომხმარებლო ქცევაზე სხვადასხვა ტიპის მნიშვნელოვანი გარემოებები ახდენს გავლენას. აღნიშნული ტენდენციების გარკვეული ნაწილი რაღაც ფორმით წინა წლებშიც არსებობდა, თუმცა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გამოიკვეთა და უფრო აქტუალურიც გახდა. ამ ტენდენციების დიდი ნაწილი კვლავაც შენარჩუნდება გრძელვადიან პერსპექტივაში. ასევე მნიშვნელოვანია გარემოება, რაც ამ ტენდენციებს აკავშირებთ, არის ის, რომ მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს იმ პროდუქციას, რომელიც მნიშვნელოვნად დაზოგავს მათ დროს, ძალისხმევას და გარკვეულწილად, ფინანსებსაც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მოხდეს ამ ტენდენციებზე გრძელვადიან პერიოდში დაკვირვება და შესაბამისი ფასეულობების მომხმარებლისთვის შეთავაზება.

საკვანძო სიტყვები: მომხმარებელი, მომხმარებელთა ქცევა, ტრენდები, მომხმარებელთა პრიორიტეტები, ფასულობები.

გამოყენებული ლიტერატურა:

2. **ბედნარზ 2019:** Bednarz J., Nikodemska-wolowik A., "Trends in young consumers' behavior" 2019;
3. **კუმარ... 2022:** Kumar S., Pandey N., "Evolution and trends in consumer behavior", 2022;
4. **კალაშნიკოვა ... 2023** Kalashnikova T., Panchuk A., "Global trends in the behavior of consumers of retail enterprises in the digital economy", 2023.
5. **მამულაძე 2022:** Mamuladze N., „Consumer behaviour characteristics in social networks”, 2022;
6. **რედერ 2022:** Reader G., " Responding to consumer trends in the new reality", 2023.
7. <https://explodingtopics.com/blog/consumer-behavior>
8. <https://blog.hubspot.com/marketing/state-of-consumer-trends-report>
9. <https://www.shopify.com/enterprise/consumer-behavior-trends>
10. <https://www.brandwatch.com/blog/understanding-consumer-shopping-behavior/>
11. <https://www.brandwatch.com/blog/understanding-consumer-shopping-behavior/>
12. <https://www.pwc.com/m1/en/publications/global-consumer-insights-survey-2023-pulse-5-middle-east-findings.html>

სამშენებლო ბიზნესის განვითარების პრობლემები საქართველოში

ანანო მანიძე

დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი
Ms.ananoshanidze@gmail.com

განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სამშენებლო ბაზარი, რომელიც, როგორც წესი, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სტრატეგიული მიზანია. სამშენებლო ინდუსტრია არის ბიზნესი, სადაც თითოეული პროექტის განხორციელებას შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკისთვის, მაშინ, როდესაც საქმე ეხება განვითარებად ქვეყნებს - ისეთი როგორც საქართველოა.

სამშენებლო ბიზნესი ერთ-ერთი ყველაზე მზარდ სექტორს წარმოადგენს საქართველოში, რომლის განვითარებაც ინვესტიორების მოზიდვასთან, მეტ სამუშაო ადგილთან, მეტ დასაქმებულთან და ბიუჯეტში შეტანილ თანხებთან ასოცირდება. აღნიშნული ბიზნესი მუდმივად მზარდი, მრავალპროფილური და მოთხოვნადი მიმართულებაა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია საქართველოში არსებული წამყვანი ეკონომიკური დარგების: სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვის, განათლების, ტურიზმის, მრეწველობის და სხვათა ფუნქციონირება და განვითარება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის მონაცემებს თუ დავეყრდნობთ, სამშენებლო სფეროში გაცემული ნებართვების ჩამონათვალიდან – ადმინისტრაციული შენობა, სავაჭრო ობიექტი, კაფე-ბარი, რესტორანი, სასტუმრო, საცხოვრებელი კომპლექსი, სასწავლო დაწესებულება და სხვა, ყველაზე მეტი ნებართვის გაცემის მაჩვენებელი 8,086 საცხოვრებელ შენობაზე მოდის. მშენებლობის ბუმი საქართველოში დაიწყო 2011 წლიდან და პიკს მიაღწია 2013 წელს. შეიძლება ითქვას, რომ ამ ციფრების მატება განაპირობა პროდუქტზე მოთხოვნის ზრდამ. მოთხოვნის ზრდა კი, ტურიზმის განვითარებამ. ტურიზმის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, 2016-2017 წლებში ტურისტული ნაკადის ყველაზე დიდი მატება აღინიშნა, 1 266 125 საერთაშორისო მოგზაური ეწვია საქართველოს, სწორედ ტურისტების მატებამ განაპირობა სასტუმროებსა და საოჯახო ტიპის საცხოვრებლებზე მოთხოვნის ზრდა, რამაც თავის მხრივ, გაზარდა მოთხოვნა სამშენებლო პროდუქტზე.

როგორც კვლევებით ვლინდება, სამშენებლო ინდუსტრია ყველაზე სწრაფად განვითარებადი და მზარდი მიმართულებაა, სწორედ ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, ყურადღება მიექცეს იმ ხელის შემშლელ და შემაფერხებელ გარემო ფაქტორებს, რომელიც საქართველოში ამ სფეროს განვითარებას უშლის ხელს. მსურს, ყურადღება გავამახვილო საქართველოში არსებული მსხვილი სამშენებლო კომპანიების ბიზნესგარემოზე, იმ პრობლემებზე, რომლებსაც ისინი აწყდებიან მომსახურების სფეროში რეგულაციებთან დაკავშირებით, ბანკებთან თანამშრომლობით და სხვა. საქართველოს ეკონომიკური გარემო ყოველწლიურად ფასდება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები, ძირითადად, ეფუძნება ანგარიშებს, ახალ კანონებსა და საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს, სამწუხაროდ, ამ შეფასებების უკან არ დგას უშუალოდ მეწარმეებისა და ბიზნესმენების მოსაზრებები და კონკრეტული პრობლემები. მიმზიდველი ბიზნესგარემოს შესაქმნელად და არსებული პრობლემების შესამცირებლად აუცილებელია ბიზნესგარემოს მუშაობის პროცესის დაკვირვება, კვლევა და შეფასება.

სამშენებლო ბიზნესგარემოს შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას თავად ამ სექტორის ქართული ბიზნესმენები ფლობენ, სწორედ ამიტომ მათი გამოკითხვა მნიშვნელოვანია. ვინაიდან,

სწორედ ჩატარებული კვლევებით გამოვლინდა სამშენებლო ბიზნესსექტორში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.

პირველი ეს არის კანონმდებლობა - ბიზნესკანონმდებლობა. კერძოდ, საგადასახადო კოდექსი, ჯარიმები, დღგ-სთან მიმართებაში არსებული გაუგებრობები. მეორე ეს არის შრომის ბაზარი - კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, განსაკუთრებით შეინიშნება გაყიდვების სფეროში სპეციალისტების ნაკლებობა, კვალიფიციური მუშებისა და ტექნიკური პერსონალის სიმცირე. მესამე არის ფინანსური სახსრები - კრედიტებზე მაღალი პროცენტები, ბანკები, როგორც წესი, ბიზნესის დაკრედიტებისას მაღალ მოთხოვნებს აყენებენ. მეოთხე არის ინფორმირებულობა - ბიზნესმენებმა და მეწარმეებმა კვლევის დროს გამოთქვეს პრეტენზია და გამოვლინდა (კომუნიკაციის) პრობლემა, მათ სურთ - მეტი ინფორმაცია ჰქონდეთ ახალ კანონებთან, ტექნოლოგიებთან და საერთაშორისო გამოფენებთან დაკავშირებით, მეტი ინფორმაცია ახალ ბიზნესპარტნიორობის მოზიდვის შესაძლებლობასა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შესახებ. ინფორმაციის მიწოდება არის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად. მეხუთე – მასმედიის როლი ბიზნესზე - გამოკითხვის დროს ბიზნესსექტორის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ დღეისთვის საქართველოში ბიზნესის განვითარებაში მედიას არ მიუძღვის წვლილი, ნაკლებად ხდება ბიზნეს ინფორმაცია, ასევე ნაკლებად განიხილება და ანალიზდება საკანონმდებლო ცვლილებები და ზოგადად, ბიზნესის პრობლემები. აგრეთვე, აღსანიშნავია პრობლემები: ლიცენზიები და ნებართვები, საბაჟო კანონმდებლობა, ბიზნესის დაფინანსება და კონკურენცია. კონკურენტების არსებობა ბაზარზე არის ძალიან მნიშვნელოვანი და ამავდროულად სენსიტიური, რადგან ფასების რეგულაცია და გაყიდვები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაა კონკურენტულ ბაზარზე. იმისთვის, რომ ადგილობრივ ბაზარზე იყო მოწინავე და კონკურენტუნარიანი, აუცილებელია სწორი მარკეტინგის შემუშავება და ხარისხზე ორიენტირება. ეს ყოველივე დაეხმარება ინვესტორს არსებული მომხმარებლების შენარჩუნებაში და ახლის მოზიდვაში.

მიმაჩნია, რომ სამშენებლო ინდუსტრია შეინარჩუნებს და განაგრძობს მოწინავე ასპარეზობას ქართულ ბაზარზე. არსებული გამოწვევები და პრობლემები სავსებით ბუნებრივია, კვლევების ჩატარებით, სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით და მეტი კომუნიკაციის მეშვეობით, ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთან შესაძლებელია ყველა არსებული პრობლემის შემსუბუქება და მოგვარება. როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, ბიზნესგარემოს განვითარება შეუძლებელია, თუ საზოგადოების ყველა სექტორმა არ გაწია ძალისხმევა ამ მიმართულებებით.

საკვანძო სიტყვები: სამშენებლო ბიზნესინდუსტრია, საქართველოს ბიზნესგარემო, ბიზნეს-სექტორი, ინფორმაცია, კანონმდებლობა, რეგულაციები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნამჩავაძე ბ. მშენებლობის სექტორი საქართველოში. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოში (2018). გვ.6-16
2. გუგუშვილი პ. ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (2017). გვ.5
3. საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. ბიზნესგარემო საქართველოში. (2008)
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“. (2022)
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მშენებლობაზე გაცემული ნებართვები ობიექტების ტიპის მიხედვით. (2006-2022)

6. ჯალაღონია დ. პაპასუა ი. ყიფშიძე გ. ბიზნესი და კანონმდებლობა. მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები საქართველოში. (2022)
7. ნ. ზურაშვილი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დეველოპერული კომპანიების მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების გზები საქართველოში. (2018) გვ.14, 63, 183.
8. <https://www.bpn.ge/article/92350-ra-unda-gaitvaliscinos-samsheneblo-biznesma-sagadasaxado-shemocmebis-processhi/>

ტანსაცმლის ბაზარი: ინდუსტრიული რევოლუციების გავლენა, ტენდენციები და პერსპექტივები

¹ეთერ ხარაიშვილი, ²ნინო ლობჯანიძე

¹პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

*²ასისტენტ პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
eter.kharashvili@tsu.ge*

სტატიაში შეფასებულია ტანსაცმლის ინდუსტრიის როლი ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდაში. ბიბლიოგრაფიულ კვლევაზე დაყრდნობით გაანალიზებულია ტანსაცმლის ძირითადი ხაზები და ტანსაცმლის მოდის ინდუსტრიის განვითარებაზე მოქმედი ისტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სხვა ფაქტორები.

დასაბუთებულია, რომ ტანსაცმლის მოდის ინდუსტრიის მთავარი მიმართულებები და ბაზრის განვითარების მახასიათებლები ყველაზე თვალნათლივ ისტორიულად ინდუსტრიული რევოლუციების დონეების მიხედვით იკვეთება. შესაბამისად, ტანსაცმლის მოდის ინდუსტრიის განვითარების ძირითადი ეტაპები და ბაზრის განვითარების მახასიათებლები ოთხი ინდუსტრიული რევოლუციის ფონზეა შეფასებული.

გლობალური ტანსაცმლის ინდუსტრიის მონაცემების გამოყენებით გამოვლენილია მიმდინარე პერიოდისა და პერსპექტივისთვის ამ სექტორის განვითარების ტენდენცია, შეფასებულია ტანსაცმლის ინდუსტრიის გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შედეგები.

საქართველოში ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოების შედარებითი ანალიზისა და განვითარების ტენდენციების საფუძველზე გაანალიზებულია სექტორის ძირითადი მაჩვენებლები.

ნაშრომში გამოყენებულია ბიბლიოგრაფიული კვლევა, ანალიზის, სინთეზის, შედარების, ექსპერტული, მატრიცული, ფაქტორული და სხვა მეთოდები, შეფასებულია სექტორის შესახებ არსებული თეორიულ-ემპირიული მასალები და ანგარიშები.

წარმოდგენილია დასკვნები ტანსაცმლის ბაზრის გამოწვევების შესახებ და შემოთავაზებულია რეკომენდაციები ინდუსტრიის განვითარების პერსპექტიულ მიმართულებებზე.

საკვანძო სიტყვები: ტანსაცმლის ბაზარი, ტექსტილის ბაზარი, ინდუსტრიული რევოლუცია, ტენდენცია, პერსპექტივა.

ციფრული მეწარმეობა - ინოვაცია ქართულ ბიზნესში, მისი მნიშვნელობა და ძირითადი გამოწვევები

ნათია კოჭუაშვილი

ასოცირებული პროფესორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველო, გორი
natia7413@gmail.com

2020 და 2021 წლებში Covid-19-ის პანდემიურმა პროცესებმა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ტექნოლოგიური ცვლილებების ტემპის ზრდა გამოიწვია და სხვადასხვა გამოწვევის გადასაჭრელად ციფრული მეწარმეობის გაღვივებას უბიძგა. დღემდე თანამედროვე სამყაროში ტექნოლოგიური განვითარების ტემპი სულ უფრო მატულობს. ორგანიზაცია, რომელიც ვერ აუწყობს ფეხს ამ პროცესს, ვერ დააკმაყოფილებს ბაზრის მინიმალურ მოთხოვნებს, ჩამორჩება და ვერ გაუძლებს კონკურენციას. ტექნოლოგიების ინტეგრაციის მეშვეობით იმართება ორგანიზაციაში გუნდი, ინახება თანამშრომლების ინფორმაცია, იმართება პროექტები - ფიზიკურად ინახება თითოეული დოკუმენტი, შეთანხმება, მყარდება კომუნიკაცია პოტენციურ და არსებულ მომხმარებლებთან, ყოველგვარი ბარიერების გარეშე და მარკეტინგი. ციფრული მეწარმეობა მოიცავს ინოვაციურ საქმიანობას, რომლის საშუალებითაც იქმნება ციფრული პროდუქტი. საქართველოს ბიზნესსექტორიც, სახელმწიფოც აქტიურად არის ჩართული ამ პროცესებში, თუმცა მათ წინაშე უამრავი გამოწვევა დგას.

მეწარმეობა მოიცავს საქმიანობის ფართო სპექტრს და რა თქმა უნდა, ინოვაციურობას - ახალი ან გაუმჯობესებული პროდუქტის შექმნით დაწყებული, მაღალტექნოლოგიური გამოგონებით დამთავრებული. სხვადასხვა ციფრული პლატფორმების შექმნამ და ინტერნეტის მასშტაბურად გამოყენებამ ხელი შეუწყო სამეწარმეო საქმიანობის თანამედროვე ფორმის - ციფრულ მეწარმეობის ჩამოყალიბებას. ამ ინოვაციური საქმიანობის საშუალებით იქმნება სხვადასხვა ციფრული პროდუქტები: მობილური აპლიკაციები, ვიდეოთამაშები, ონლაინპლატფორმები და ა.შ. ციფრული მეწარმეობის დასაწყებად მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიური და ელექტრონული ბაზრის კონიუნქტურის პროგრესული ხედვა, სამეწარმეო და ციფრული ინოვაციების განვითარება, მომავალი ტენდენციების პროგნოზირების უნარი და შემოქმედებითობა. COVID 19-ის კრიზისმა ბიზნესის სფეროში დააჩქარა მომხმარებლებთან ურთიერთქმედების გაციფრულება. შექმნა ციფრული ბიზნესი. ციფრული ბიზნესი არის ახალი ბიზნესწყობა, სადაც ციფრული და ფიზიკური სამყარო ერთმანეთს ერწყმის, ციფრული ხელსაწყოების გამოყენებით - იქნება ეს ინტერნეტი, ციფრული მონაცემები, თუ პროგრამული უზრუნველყოფა. ცვლილებები შეეხო, როგორც ბიზნესს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ასევე, ადამიანების პირად ცხოვრებას. საზოგადოებას მოუწია COVID-19 პანდემიის მიერ გამოწვეული აჩქარებული ციფრული ტრანსფორმაციის პროცესებისთვის ფეხის აწყობა.

ციფრული ბიზნესი შეიძლება წარმოვაჩინოთ ისეთ საქმიანობად, რომელიც იყენებს ციფრულ ტექნოლოგიებს ბიზნესმოდელებში, მომხმარებელთა გამოცდილებასა და შიდა შესაძლებლობებში ახალი ღირებულების შესაქმნელად. ციფრული ბიზნესი ცვლის ორგანიზაციების აზროვნების ტექნოლოგიას. ეს აზროვნება მიმართულია ინოვაციების, შემოსავლებისა და ბაზრის ზრდისკენ. ციფრული ბიზნესი მეტ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ საშუალებას აძლევს ტექნოლოგია კომპანიებს შექმნან ახალი ღირებულებები და გამოცდილება, რომლებიც განასხვავებენ კომპანიებს ერთმანეთისგან და ანიჭებენ მათ კონკურენტულ უპირატესობას.³

³ DIGITAL ENTREPRENEURSHIP Rabi'ah Seman Rusmaini Ramly 2022.

საქართველოს მთავრობამ გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალისხმევა წარმართა მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია OECD- ი მხარს უჭერს ამ ძალისხმევას და მჭიდროდ თანამშრომლობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან (MoESD) შესაბამისი ზომების შემუშავების მიზნით, ქართული მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელსაყრელი პოლიტიკის გარემოს შესაქმნელად. OECD-მ გაუწია საქართველოს ახალი, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის მომზადებაში. (სტრატეგია 2021-2025)¹. OECD-ი ეხმარება საქართველოს მთავრობას, შეიმუშაოს შესაბამისი პოლიტიკა მცირე და საშუალო ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაციის დასაჩქარებლად. პარტნიორი ორგანიზაციების მხრიდან შემუშავდა შეფასების შედეგების ამსახველი დოკუმენტი, სადაც მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულებას საქართველოში.

COVID-19 კრიზისმა ძალზედ დააჩქარა ციფრული ტრანსფორმაცია. რადგან მთავრობები, ბიზნესები და კერძო პირები იძულებულნი გახდნენ ემუშავათ დისტანციურად, და შესაბამისად, მათ მოუხდათ ონლაინპლატფორმების გამოყენებით შესრულებული ამოცანების წილის გაზრდა. ქვეყნის პერიოდულმა ჩაკეტვებმა და სოციალური დისტანცირების ხანგრძლივმა ზომებმა მობილობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია: საზოგადოებრივი ტრანსპორტის ჰაბების გამოყენება 78%-მდე შემცირდა 2020 წლის აპრილის თვეში საბაზისო მონაცემთან შედარებით, ხოლო სამუშაო ადგილებზე გამოცხადება 81%-მდე შემცირდა.² 2020 წლის შემოდგომისთვის, ქართული ფირმების მესამედზე მეტმა დაიწყო ან გაზარდა ონლაინბიზნესსაქმიანობა, ხოლო ონლაინმაღაზიებში მიმართვიანობა სამჯერ გაიზარდა 2019-დან 2021 წლამდე პერიოდში, რაც სამომხმარებლო ჩვევებში არსებულ ცვლილებებს ასახავს, რომლებიც, სავარაუდოდ, შენარჩუნდება.³ ანალოგიურად, ქართველებმა საგრძნობლად გაზარდეს ელექტრონული მმართველობის სერვისების გამოყენება: მაშინ, როცა ხელისუფლებამ თითქმის გააორმაგა my.gov.ge პორტალზე ხელმისაწვდომი სერვისების რაოდენობა, რომლებმაც 2020 წელს 700-ს მიაღწია, ამ სერვისებით სარგებლობა 9-ჯერ მეტად გაიზარდა.

საქართველოში გაჩნდა მხოლოდ რამდენიმე ქართული კომპანია, რომლებიც სთავაზობენ ხელოვნური ინტელექტის სერვისებს ტრადიციული ბიზნესისთვის: მაგალითად, ფინტექ სტარტაპი Optio.AI, საშუალებას აძლევს ფინანსურ ფირმებს, დაახარისხონ მომხმარებლების ტრანზაქციები და აწვდის ბიზნესზე მორგებულ რჩევებს ხარჯების ოპტიმიზაციის შესახებ ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე მომუშავე ჩატბოტის მეშვეობით. ფირმამ ახლახან პარტნიორობა დაამყარა საქართველოს ბანკთან ვირტუალური ასისტენტის შესაქმნელად.⁴

საქართველოში მსხვილი ფირმები ორჯერ უფრო ხშირად ნერგავენ და იყენებენ ონლაინინსტრუმენტებს შეკვეთების მისაღებად და დასამუშავებლად, ვიდრე მცირე ფირმები, მაგრამ დაახლოებით ოთხჯერ უფრო ხშირად გამოიყენებენ ახალ ტექნოლოგიებს. ეს ციფრული განსხვავებები აფერხებს ეკონომიკურ ზრდას და უთანასწორობის გაზრდის რისკს ქმნის, რადგან მცირე და საშუალო ბიზნესის გაციფრულების შეფერხება ხელს უშლის მათ, მიიღონ სარგებელი, რომელსაც ციფ-

¹ ბიზნესის განვითარებისა და გაციფრულების ხელშეწყობა საქართველოში © OECD 2022

² Google LLC (2021), Google COVID-19 Community Mobility Reports, <https://www.google.com/covid19/mobility/> (accessed on 1 September 2021).

³ Galt & Taggart (2021), E-commerce in Georgia, <https://galtandtaggart.com/en/reports/research-reports/e-commerce-georgia>.

⁴ Optio.AI (2021), *Optio's Natural Language Processing Engine will power Bank of Georgia's virtual assistant*, <https://www.optio.ai/index.php/2021/02/02/optios-natural-language-processing-engine-will-power-bank-of-georgias-virtual-assistant/> (accessed on 15 September 2021).

რული ინსტრუმენტების დანერგვა სთავაზობს, რაც პროდუქტულობის თვალსაზრისით არსებული განსხვავების კიდევ უფრო მეტ ზრდას იწვევს. საქართველო ჩართულია რამდენიმე რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივაში, რომლებიც მიმართულია ფართოზოლოვანი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, სიჩქარისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაზე. განიხილება ციფრული სატელეკომუნიკაციო დერეფნის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე სატრანზიტო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის ქსელს, რომელიც ევროპას აზიასთან დააკავშირებს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გავლით. სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი ბიზნესის გაციფრულების ხელშეწყობის გზაზე მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა ბიზნეს სექტორისთვის, რაც ეკონომიკის გაძლიერების და საზოგადოების კეთილდღეობის საწინდარია.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესი, ინოვაცია, გაციფრულება, გამოწვევები, საქართველო

გამოყენებული ლიტერატურა:

1. DIGITAL ENTREPRENEURSHIP Rabi'ah Seman | Rusmaini Ramly 2022.
2. ბიზნესის განვითარებისა და გაციფრულების ხელშეწყობა საქართველოში © OECD 2022
3. Google LLC (2021), Google COVID-19 Community Mobility Reports, <https://www.google.com/covid19/mobility/> (accessed on 1 September 2021).
4. Galt & Taggart (2021), E-commerce in Georgia, <https://galtandtaggart.com/en/reports/research-reports/e-commerce-georgia>.
5. Optio.AI (2021), *Optio's Natural Language Processing Engine will power Bank of Georgia's virtual assistant*, <https://www.optio.ai/index.php/2021/02/02/optios-natural-language-processing-engine-will-power-bank-of-georgias-virtual-assistant/> (accessed on 15 September 2021).

საგადასახადო პოლიტიკის როლი ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში

ვაჟა ვერულიძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო
vazha.verulidze@bsu.edu.ge

თანამედროვე მსოფლიოსთვის დამახასიათებელი გლობალური ეკონომიკისა და მწვავე კონკურენციის პირობებში, ეკონომიკის მდგრადი განვითარების შენარჩუნების თვალსაზრისით, სახელმწიფოს მხრიდან ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებამ განსაკუთრებული როლი შეიძინა. ინოვაციური ეკონომიკის სტიმულირების მექანიზმებს შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, საგადასახადო რეგულირებას უჭირავს.

საქართველოში, საგადასახადო მექანიზმების გამოყენება ეკონომიკის სტიმულირებისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, დაიწყო 2017 წლის 1-ლი იანვრიდან მოგების გადასახადის რეფორმით, ხოლო 2020 წლიდან, არსებითი ხასიათის ცვლილებები შევიდა დამატებითი ღირებულების გადასახადში, რომელიც განხორციელდა ევროკავშირთან გაფორმებული ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების ფარგლებში და ხელი შეუწყო საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციას.

საგადასახადო პოლიტიკის ინსტრუმენტები, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ინოვაციურ საქმიანობასთან და წარმატებით გამოიყენება როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, ასახულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაშიც. ეს არის, შეღავათები სამეცნიერო ტექნიკურ და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოებზე და საინვესტიციო საგადასახადო კრედიტი ანუ დაჩქარებული ამორტიზაცია, რომელიც ამცირებს ახალი მოწყობილობების შეძენის ხარჯებს.

მიზანშეწონილია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დარეგულირდეს ასევე საინოვაციო საქმიანობის წახალისების ფორმა - გადასახადის განაკვეთის შემცირება, კომპანიის ინტელექტუალური საკუთრებიდან მიღებულ შემოსავალზე, კერძოდ, ეს ეხება პატენტებს, საავტორო უფლებას, სამრეწველო ნიმუშებს და სასაქონლო ნიშნებს. გარდა აღნიშნულისა, სასურველია, დაიხვეწოს საგადასახადო კოდექსის 107-ე მუხლი და პროცენტების გამოქვითვის შეზღუდვა არ გავრცელდეს ინოვაციური საქმიანობის მიზნით აღებულ კრედიტებზე, პროცენტები სრულად გამოიქვითოს ხარჯებში.

ევროსტატის მონაცემების მიხედვით, ევროპის ქვეყნებში, ინოვაციურ ხარჯებში მნიშვნელოვანი წვლილი უჭირავს ახალი მოწყობილობების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენას.

ინოვაციების წახალისება მნიშვნელოვანია კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად და სტრატეგიული დარგების გრძელვადიანი განვითარების მიზნით, ამიტომ განვითარებადი ქვეყნებისთვის, ინოვაციური აქტივობის სახელმწიფო მხარდაჭერა განსაკუთრებით აქტუალურია.

სტატიის მიზანია, შეაფასოს საგადასახადო რეგულირების როლი ინოვაციური ეკონომიკის განვითარებაში.

კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილებულია, თუ რამდენად აისახება საგადასახადო კანონით გათვალისწინებული, ინოვაციების ხელშეწყობასთან დაკავშირებული შეღავათები, ეკონომიკის რეალურ სექტორზე. შესაბამისი მაჩვენებლების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ეკონომიკის ცალკეული დარგების მოდერნიზაცია ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, რაც მიუთითებს

ინოვაციური ეკონომიკის განვითარების სტიმულირების მიზნით შემოღებული საგადასახადო ნორმების არასაკმარის ეფექტიანობაზე.

შექმნილ ვითარებაში, როდესაც საგადასახადო კანონმდებლობა, სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სტიმულირებას და კონკურენციული უპირატესობის მოპოვებას, როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე, მიზანშეწონილია, დაიხვეწოს ეკონომიკის სექტორების დაჩქარებული მოდერნიზებისა და განვითარებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ეკონომიკა; საგადასახადო მექანიზმები; საგადასახადო შეღავათები; მოდერნიზაცია;

Bibliography

1. Bloom, N., Van Reenen, J., & Williams, H. (2019). A toolkit of policies to promote innovation. *Journal of economic perspectives*, 33(3), 163-184. <https://pubs.aeaweb.org/doi/pdf/10.1257/jep.33.3.163>
2. Cai, J., Chen, Y., & Wang, X. (2018). The impact of corporate taxes on firm innovation: Evidence from the corporate tax collection reform in China (No. w25146). National Bureau of Economic Research. <https://cepr.org/voxeu/columns/impact-corporate-taxes-firm-innovation-evidence-corporate-tax-collection-reform-china>
3. Ferraro, D., Ghazi, S., & Peretto, P. F. (2020). Implications of tax policy for innovation and aggregate productivity growth. *European Economic Review*, 130, 103590. <https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0014292120302208>
4. Gale, W., & Brown, S. (2013). Small business, innovation, and tax policy: A review. *National Tax Journal*, 66(4), 871-892. <https://mpra.ub.uni-muenchen.de/57384/1/1001675-Small-Business-Innovation-and-Tax-Policy-A-Review.pdf>
5. Hall, B. H. (2019). Tax policy for innovation (No. w25773). National Bureau of Economic Research. https://www.nber.org/system/files/working_papers/w25773/w25773.pdf
6. Holt, J., Skali, A., & Thomson, R. (2021). The additionality of R&D tax policy: Quasi-experimental evidence. *Technovation*, 107, 102293. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0166497221000742>
7. Palazzi, P. (2011). Taxation and innovation. <https://www.oecd-ilibrary.org/docserver/5kg3h0sf1336-en.pdf?expires=1698753797&id=id&accname=guest&checksum=41D0D3E32DD6D86176DF9A25D7D5766C>
8. Tax Code of Georgia (2023). <https://matsne.gov.ge/en/document/view/1043717?publication=202>
9. Wen, H., Lee, C. C., & Zhou, F. (2022). How does fiscal policy uncertainty affect corporate innovation investment? Evidence from China's new energy industry. *Energy Economics*, 105, 105767. https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S0140988321006095?casa_token=ulebY7qpgB8AAAAA:w76RrRLRXSb1TFwW24JGxy4enC4GjNWqZakZS6641r-wraPxApemNANe9TU5ELITT_m3bdS2DscY

კორპორაციული საგადასახადო მენეჯმენტი და მისი მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში

ბესიკ ბაუჩაძე

ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა, რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბათუმი, საქართველო

besik.bauchadze@bsu.edu.ge

სტატიის მიზანია, გამოიკვლიოს და განსაზღვროს კორპორაციული (ბიზნესის) საგადასახადო დაგეგმვის, საგადასახადო აღრიცხვა ანალიზის, საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის მნიშვნელობა თანამედროვე ბიზნესში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საგადასახადო დაგეგმვის ამოცანების ფორმულირება ეკონომიკურ სუბიექტებსა და სახელმწიფოს შორის, საგადასახადო ურთიერთობების სტრუქტურა, საკმაოდ რთულია. ამიტომ სპეციალური მოთხოვნები დგება საგადასახადო მენეჯმენტის პროცესზე. ძირითადი გადაწყვეტილებები არასოდეს მიიღება გადასახადების გავლენისა და მათი მართვის გარეშე. აშკარა ხდება, რომ აუცილებელია საგადასახადო ხარჯების მართვის მექანიზმის დანერგვა, რომელსაც შეუძლია, შეამციროს ორგანიზაციის მატალი საგადასახადო ტვირთის უარყოფითი შედეგები. თანამედროვე პირობებში გადასახადების გამოთვლა და გადახდა საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო პროცედურაა, გარდა გადასახადების გადახდის ხარჯებისა, საწარმოს მფლობელები, ასევე, იძულებულნი არიან, დახარჯონ მნიშვნელოვანი თანხები კორპორაციული საგადასახადო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე.

საკვანძო სიტყვები: კორპორაცია; მენეჯმენტი; საგადასახადო სისტემა; ფინანსები; საგადასახადო აღრიცხვა; საგადასახადო დაგეგმვა; ანგარიშგება; მოგება; კაპიტალი.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის გამოწვევები და პერსპექტივები

ალეკო მელაძე

დოქტორანტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო, ბათუმი
aleko.meladze@bsu.edu.ge

საბაჟო სისტემა ოდითგანვე წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დამცველს, თუმცა, თანამედროვე ეტაპზე მკვეთრად გაიზარდა საბაჟო სფეროს მარეგულირებელი და მასტიმულირებელი როლი საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და გადრმავეების კუთხით. გლობალურმა კონკურენტულმა გარემომ და მსოფლიო ეკონომიკის სრულმა გამჭვირვალობამ დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის საბაჟო სისტემის საზღვარგარეთის ქვეყნების საბაჟო სისტემებთან შესაბამისობის საკითხი, რაც თავისთავად ითვალისწინებს საბაჟო სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების ოპტიმიზაციას საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

საბაჟო სისტემა განსაზღვრულ ელემენტთა, ინსტრუმენტთა, სამართლებრივ ნორმათა და ეკონომიკურ ურთიერთობათა მოწესრიგებული ერთობლიობაა, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას (ურიდია და სხვ., 2009). საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა განსაზღვრავს საბაჟო პოლიტიკის სამართლებრივ, ეკონომიკურ და ორგანიზაციულ საფუძვლებს. იგი ადგენს საბაჟო ორგანოებისა და ფიზიკური და იურიდიული პირების უფლება-მოვალეობებს საბაჟო პოლიტიკის განხორციელების პროცესში (ქარუმიძე, 2002). საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა შედგება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებისგან, საბაჟო კოდექსისგან და მათ შესაბამისად, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული და საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისგან (საბაჟო კოდექსი, 2019).

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან საქართველოსთვის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს დასავლური კურსი წარმოადგენდა. 1992 წელს ევროკავშირის მიერ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებამ საფუძველი ჩაუყარა საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. 1996 წელს მოეწერა ხელი და 1999 წელს შევიდა ძალაში პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია (ქარდავა, 2016). 1997 წლის 2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება #828, რომლის თანახმადაც, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს. კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით ევროკავშირმა იკისრა ვალდებულება, ტექნიკური დახმარება გაუწიოს საქართველოს შეთანხმებით გათვალისწინებულ სფეროებში (განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი, 2016). საბაჟო სფერო და საბაჟო სამართალი იმ სფეროებს შორისაა, რომელიც პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების თანახმად უნდა მოიცვას საკანონმდებლო ჰარმონიზაციამ.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას ხელი შეუწყო 2006 წლის ნოემბრის თვეში ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის მიღებამ, რომლითაც გამოიკვეთა თანამშრომლობის ახალი

პრიორიტეტები, მათ შორის - საბაჟო სფეროში. ახალი საბაჟო კოდექსი, რომელიც 2006 წელს იქნა მიღებული, ძირითად ნაწილში შეესაბამებოდა ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობას. დღეს მოქმედი საბაჟო კოდექსი ძალაში შევიდა 2019 წლიდან, რომელიც უფრო ახლოსაა ევროკავშირის სტანდარტებთან, ვიდრე მისი წინამორბედი. 2008 წელს საქართველოს საბაჟო სფეროში რისკზე დაფუძნებული საბაჟო კონტროლის მექანიზმების შემოღებით საქართველოს საბაჟო კანონმდებლობა კიდევ უფრო დაუახლოვდა ევროკავშირის საბაჟო კანონმდებლობას.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია 2014 წელს ხელმოწერილი საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (DCFTA). ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება უზრუნველყოფს ევროკავშირის ბაზარზე საქართველოს რეალურ ეკონომიკური ინტეგრაციას. DCFTA მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს და ითვალისწინებს ამ კუთხით საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოვებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. საკანონმდებლო დაახლოების შედეგად გადაილახება არასატარიფო ბარიერები, რომლებიც ძირითად მოიცავენ პროდუქციის უვნებლობისა და უსაფრთხოების მოთხოვნებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე შესასვლელად.

საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციისა და საქართველოსა და ევროკავშირის ეკონომიკური დაახლოების მთავარ მიზანს ქვეყნისთვის ეკონომიკური სარგებლის მიღება წარმოადგენს. აღნიშნული გამოიხატება ადგილობრივი წარმოების მაქსიმალური დაცვითა და ექსპორტიორებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნით, რამაც უნდა უზრუნველყოს საქართველოსა და ევროკავშირის შორის სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავება-განვითარება (ვგულისხმობთ საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ზრდას), უპირატესად ექსპორტის ზრდის ხარჯზე.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოს საგარეო ვაჭრობაში იმპორტის მოცულობა ექსპორტის მოცულობას თითქმის სამჯერ აღემატება. 2009 წლიდან დღემდე ევროკავშირის ქვეყნებიდან განხორციელებული საქონლის იმპორტი და ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის მოცულობა ყოველწლიურად ძალიან უმნიშვნელოდ იზრდება. ყოველწლიური ზრდის ტემპები უფრო მეტია სხვა რეგიონების, მაგალითად, აზიის ქვეყნებთან ვაჭრობის მიმართულებით, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებთან. უფრო მეტიც, მთლიან საგარეო ვაჭრობაში ევროკავშირთან ვაჭრობის პროცენტული წილი 2015 წლიდან მოყოლებული კლების ტენდენციით ხასიათდება. ბოლო 5 წლის მონაცემების საშუალოს მიხედვით კი ევროკავშირიდან იმპორტირებული საქონლის წილი მთლიან იმპორტის 24%-ს შეადგენს, ევროკავშირში ექსპორტირებული საქონელი კი მთლიანი ექსპორტის მხოლოდ 19%-ს. 2021-2022 წლების მონაცემებით საექსპორტო ქვეყნების ათეულში ევროკავშირის წევრი მხოლოდ ერთი ქვეყანა, ბულგარეთია წარმოდგენილი, ხოლო უმსხვილეს საიმპორტო ქვეყნების ათეულშია გერმანია, რუმინეთი და იტალია (www.geostat.ge). აღნიშნული რეალობიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირის ნორმებთან ჰარმონიზაციისთვის გადადგმულ ნაბიჯებს განსაზღვრულ მიზნამდე და რეალურ შედეგებამდე არ მივყავართ. მხოლოდ სამართლებრივი ნორმების ცვლილება და მის ევროკავშირის რეკომენდაციებთან და სტანდარტებთან შესაბამისობაში ეტაპობრივად მოყვანა, ბუნებრივია, საკმარისად არ მიგვაჩნია. ამ პროცესის პარალელურად აუცილებელია საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის მჭიდრო კავშირების ჩამოყალიბება და ადგილობრივი მწარმოებლებისა და ექსპორტიორების სახელმწიფო მხარდაჭერა.

რეალური შედეგების მისაღებად სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საზოგადოებისა და ბიზნეს სუბიექტების სრული ინფორმირება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის

სივრცის შესახებ შეთანხმებით მიღებული უპირატესობებისა და პრივილეგიების შესახებ. სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს ადგილობრივი მწარმოებლებს ფინანსური და ტექნიკური თვალსაზრისით, ევროკავშირის ბაზარზე შესვლისთვის საჭირო ნორმებისა და სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით. გარდა აღნიშნულისა, ევროკავშირის ქვეყნებში საექსპორტოდ განკუთვნილი პროდუქციის წარმოების გარკვეული დოზით სახელმწიფო სუბსიდირება ექსპორტის სტიმულირების როლს შეასრულებს, რასთან ერთადაც სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად საჭირო სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომების, სტანდარტიზაციის, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის პროცედურების სახელმწიფო უზრუნველყოფა ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას შეუწყობს ხელს.

საქართველოში იმპორტირებული საქონლის მთლიან მოცულობაში ევროკავშირში წარმომობილი პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდისთვის სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ადგილობრივი ბაზრის დაცვის ისეთი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც სატარიფო და არასატარიფო ღონისძიებების გამოყენებით, გარკვეული დოზით შეიზღუდება სხვა ქვეყნებიდან საქონლის იმპორტი და ამასთან ერთად, წახალისდება პროდუქციის ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან იმპორტირება.

საკვანძო სიტყვები: საგარეო ვაჭრობა; იმპორტი; ექსპორტი; საბაჟო კანონმდებლობა; სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაცია; ევროკავშირი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD). (2016). საქართველო და ევროკავშირი განვითარებისა და რეფორმების კვალდაკვალ, თბილისი;
2. საქართველოს საბაჟო კოდექსი (2019), თბილისი;
3. ურიდია, გ., რუხაია, ფ. (2009), საბაჟო საქმის თეორია. თბილისი;
4. ქარდავა, ე. (2016), სამართლებრივი აპროქსიმაციის ასპექტები საქართველოს ნორმატიულ სივრცეში, თბილისი;
5. ქარუმიძე, ვ. (2002), საბაჟო საქმე, თბილისი;
6. www.geostat.ge - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საჯარო გადაწყვეტილებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში

ეკატერინე შაინიძე

ფინანსების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი.
ekaterine.shainidze@bsu.edu.ge

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით გადამხდელთა ინფორმირება საგადასახადო ადმინისტრირების სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია. საქართველოში 2011 წლის 1-ლი იანვრიდან ახალი საგადასახადო კოდექსის ამოქმედებით გადამხდელისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ წყაროდ განისაზღვრა საჯარო გადაწყვეტილება. იგი წარმოადგენს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების ნორმის შესახებ გადაწყვეტილებას, რომელსაც გამოსცემს საქართველოს ფინანსთა მინისტრი დავების განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილებით ან საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელთა დაბეგვრის არსებული პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. საჯარო გადაწყვეტილებას აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა, ამდენად, მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოები არ არიან უფლებამოსილნი, პირს დაარიცხონ დამატებითი გადასახადი ან/და სანქცია, თუ იგი მოქმედებს საჯარო გადაწყვეტილების შესაბამისად.

საჯარო გადაწყვეტილების მექანიზმის შემოტანა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში უნდა გამხდარიყო გადამხდელთა მიერ საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიება, თუმცა, დღემდე მხოლოდ 7 ასეთი გადაწყვეტილებაა მიღებული და შესაბამისად, გამოქვეყნებული. ამასთან, გადამხდელთა ინფორმირების აღნიშნული ბერკეტი 2018 წლამდე არ გამოყენებულა.

გამოქვეყნებული საჯარო გადაწყვეტილებებით დარეგულირდა დაბეგვრის რამდენიმე საკითხი, მათ შორის: ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლების, ფიზიკურ პირთათვის სასესხო ვალდებულებების პატიების, კრიპტოაქტივებთან დაკავშირებული ოპერაციების, საიჯარო აქტივის გამოყენების უფლების, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების, მარცვლეულის იმპორტისას დაცლის პორტსა და დატვირთვის პორტში საქონლის წონებს შორის სხვაობის, ტურისტული მომსახურების დაბეგვრის წესები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჯარო გადაწყვეტილების მიღების საფუძველია არსებული პრაქტიკის ანალიზი, რომელიც განაპირობებს საგადასახადო ნორმის უფრო მეტად განმარტების აუცილებლობას, ვიდრე ეს საგადასახადო კოდექსითა თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით არის გადმოცემული.

შემოსავლების სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშებში არ არის ასახული ინფორმაცია საგადასახადო ადმინისტრირების ამ მნიშვნელოვანი ბერკეტის - საჯარო გადაწყვეტილების მექანიზმის გამოყენების შედეგიანობის შესახებ. ამასთან, რთულია, დავასახელოთ არგუმენტები, გადახდელთა ინფორმირების აღნიშნული საშუალების მეტი ინტენსივობით გამოყენების აუცილებლობის არარსებობის შესახებ.

საგადასახადო დავებში მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს გადამხდელთა სასარგებლოდ ნაწილობრივ დაკმაყოფილებულ საჩივრებს, რაც იმის მაუწყებელია, რომ სადავო საკანონმდებლო ნორმები საგადასახადო კანონმდებლობაში მრავლადაა. ქვეყანაში დაბალი საგადასახადო კულტურის პირობებში, გადამხდელთა ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლების არასრულფასოვანი დაცვა უარყოფითად მოქმედებს საგადასახადო ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულებაზე. აღნიშნულ

პირობებში კი საგადასახადო ნორმების სწორად და ერთმნიშვნელოვნად გამოყენების უზრუნველსაყოფაში, როგორც გადამხდელთა, ისე საგადასახადო ორგანოთა მხრიდან, სწორედ საჯარო გადაწყვეტილების მექანიზმის აქტიურ გამოყენებას აკისრია მნიშვნელოვანი როლი.

საკვანძო სიტყვები: საჯარო გადაწყვეტილება, საგადასახადო ადმინისტრირება, გადამხდელთა ინფორმირება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010 წ) - კოდიფიცირებული ტექსტი. თბილისი;
2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანება „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“. 3 იანვარი, 2011. კოდიფიცირებული ტექსტი. თბილისი;
3. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №96 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისათვის საფასურებისა და მათი განაკვეთების დამტკიცების შესახებ“. 31 მარტი, 2010. კოდიფიცირებული ტექსტი. თბილისი;
4. შემოსავლების სამსახურის ანგარიშები, განთავსებული ვებ-გვერდზე www.rs.ge;
5. საქართველოს ფინანსთა მინისტრის საჯარო გადაწყვეტილებები, განთავსებული საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე <https://matsne.gov.ge>.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საბადასახადო შეღავათები და მართვის ხელშეწყობის საკითხები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე

¹ნატო ჯაბნიძე, ²ია მესხიძე

¹ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი

²ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო, ბათუმი

Jabnidze.nato@bsu.edu.ge

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი დღეს ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მნიშვნელოვანი მიმწოდებელია. მისი შექმნა გარდა მცირე რესურსების გაერთანებისა, ასევე განპირობებულია მიწოდების არხის გაფართოებით, რადგან ბაზრისთვის მნიშვნელოვანია ნებისმიერი პროდუქციის უწყვეტი თუ არა, გრძელვადიანი მიწოდების პირობა მაინც.

კოოპერატივების საქმიანობის რეგულირება დღეს ხდება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, კანონით „მეწარმეთა შესახებ“ და ამ კანონის და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით. სტატუსი მოიპოვება კოოპერატივის სამართლებრივი ფორმით დაფუძნების შემდეგ, როცა სამართლის იურიდიული პირი განცხადებით მიმართავს სააგენტოს. განსაზღვრულია კოოპერატივის წევრთა რაოდენობა.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კოოპერატივების განვითარებას მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი, კოოპერატივის წევრებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ პროგრამებში და მნიშვნელოვანი ფასდაკლებით შეიძინონ მათი საქმიანობისთვის საჭირო მასალები თუ ინვენტარი.

კოოპერატივის წევრები ვალდებული არიან, აწარმოონ შესაბამისი აღრიცხვის წიგნი, სადაც დეტალურად აღიწერება კოოპერატივის შემოსავლები და ხარჯები, მეპაიეთა შენატანები და ასე შემდეგ, თუმცა საჭიროდ ვთვლით, რომ კოოპერატივები არა ასეთი ჩანაწერებით, არამედ ბუღალტრული გატარებებით (შედარებით გამარტივებულად) ასახავდეს ჩანაწერებს. მით უმეტეს, რომ ფერმერთა სახლი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო პერიოდულად ფერმერებთან არაერთ ტრენინგსა და საინფორმაციო შეხვედრას ატარებს და მის ფარგლებში შესაძლებელია კოოპერატივების თავმჯომართა გადამზადება ამ საკითხებში.

ასევე პრობლემად რჩება კოოპერატივების მონიტორინგის საკითხები. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც კოოპერატივის წევრად წესდებაში დასახელებული მეპაიე სინამდვილეში სულაც არა არის ჩართული კოოპერატივის საქმიანობაში და მხოლოდ პროგრამის ფარგლებში იაფად შეძენილი მასალებისა და ინვენტარის შეძენა სურს შემდგომ მისი გაყიდვის მიზნით. მონიტორინგი ესაჭიროება ასევე მეპაიეს მეურნეობის მოცულობასაც.

მნიშვნელოვანია მართვის საკითხების დამუშავება, პასუხისმგებლობის დელეგირების და მონიტორინგის საკითხები.

ჩვენ მიერ დამუშავებულია გარკვეული პრობლემები და შემუშავებულია შესაბამისი წინადადებები, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს კოოპერატივების გაძლიერებას და ისეთი მეწარმის შექმნას, რომელსაც პრეტენზია ექნება ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლების,

საექსპორტო პოტენციალის შექმნის. ამისთვის აუცილებელია დარგის სუბსიდირების, საგადასახადო შეღავათებისა და მართვის საკითხებისადმი კომპლექსური მიდგომა.

საკანონო სიტყვები: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, კოოპერატივის ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამები, კოოპერატივების მონიტორინგი, ადრიცხვის საკითხები სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებში, კანონი მეწარმეთა შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://cooperatives.rda.gov.ge>
2. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1972742?publication=10>
3. სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
4. საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ

ტურიზმის გამომწვევები და პერსპექტივები მაღალმთიან აჭარაში: კურორტ ბეშუმის მაგალითზე

მერაბი ფუტკარაძე, ლანდა ფუტკარაძე, სანდრო დუაძე

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო
merab.putkaradze@bse.edu.ge*

მთიან რეგიონებში მოსახლეობის დამაგრება და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. შესაბამისად, მთიანეთის მდგრადი განვითარება ბევრადაა დამოკიდებული ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე. ამ მიმართებით, მთიან აჭარაში პრიორიტეტი ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს ენიჭება, რომელიც ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის ათვისებული. ნაშრომში კვლევის ტრადიციული და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით შესწავლილია სამთო-კლიმატური კურორტის - ბეშუმის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, მისი ტურისტული მიზნებით გამოყენების ვარგისიანობის კოეფიციენტი და ლანდშაფტურ-რეკრეაციული ათვისების ინდექსი. დადგენილია კურორტის ტურისტთა გამტარობის პოტენციალი, ტურისტული ინდუსტრიის განვითარების დონე, ტურისტთა დინამიკის თავისებურებები და მის წინაშე არსებული პრობლემები. გარკვეულია ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, ხოლო რეგიონის მუდრეობის დარგებთან მიმართებით, შეფასებულია ტურიზმის განვითარების პრიორიტეტები და დასახულია კურორტის შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: მთიანეთი, რესურსი, მუდრეობა, ტურიზმი

ეთიკური ბიზნესის გამოყენების არეალი კომერციული ორგანიზაციების მენეჯმენტში

პაატა აროშიძე

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბათუმი, საქართველო
aroshidze.paata@bsu.edu.ge

თანამედროვე ბიზნესის მართვა სხვადასხვა პრინციპის გათვალისწინებას მოითხოვს. ბიზნესის წარმოების უმთავრეს ასპექტს წარმოადგენს კომერციული შედეგი, რომელიც ნებისმიერი ბიზნეს-აქტივობის ფუნდამენტია, მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანი და აუცილებლად გასათვალისწინებელია ის ეთიკური პრინციპები, რომლის დაცვა აუცილებელია ცივილური ბიზნესპროცესების წარმართვისთვის. მით უმეტეს, როცა საერთაშორისო ბაზარზე პოზიციონირება წარმოუდგენელია ეთიკური ბიზნესის წარმოების გარეშე.

ნაშრომში გამოკვლეულია ქართული კომპანიების დამოკიდებულება ბიზნესის ეთიკურად წარმართვის პროცესისადმი. შესაძლებელია, კომპანიები აღიარებენ ეთიკური საქმიანობის აუცილებლობას, მაგრამ რეალურად, ხშირია შემთხვევები, როცა ირღვევა ეთიკის ფუნდამენტური პრინციპები არა მარტო მომხმარებელთან, მიმწოდებელთან ან დასაქმებულებთან მიმართებით, არამედ ფასწარმოქმნის, კონკურენციისა და ბაზარზე პოზიციონირების მხრივაც.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩატარდა კვლევა ამერიკის შეერთებულ შტატებში სხვადასხვა რანგის მენეჯერებს შორის, სადაც გამოიყო ეთიკის დარღვევის ის მიმართულებები, რაც ხელს უშლის ბიზნესის პასუხისმგებლიან მოღვაწეობას. დაახლოებით 30 პრობლემაა გამოკვეთილი.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს, განვსაზღვროთ ეთიკური ბიზნესის გამოყენების არეალი ქართულ კომპანიებში. საბაზისოდ აღებული გვაქვს აშშ-ში ჩატარებული კვლევის მოდელი. კვლევაში მონაწილეობს კომერციული ორგანიზაციები, გამოკითხულთა უმეტესობა წარმოადგენს სხვადასხვა დონის მენეჯერებს, მათი შეხედულებების განზოგადების გზით, დადგინდება ეთიკური ბიზნესის გამოყენების არეალი კომერციული ორგანიზაციების მენეჯმენტში, ასევე მათი დამოკიდებულება ეთიკურად მდგრადი ბიზნესის წარმოებისადმი.

საგღვათ პორტების მნიშვნელობა საქართველოს ეკონომიკაში: სტრუქტურული ტრანსფორმაციის ტენდენციები და პრიორიტეტები

¹ბადრი გეჩბაია, ²ლევან გვარიშვილი

¹ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

²დოქტორანტი, ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი, ბათუმი, საქართველო

gechbaia.badri@bsu.edu.ge

საქართველო, თავისი სივრცით, წარმოადგენს ფორმირებას, რომელიც აერთიანებს აღმოსავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთის რეგიონებს, გააჩნია გეოგრაფიული მდებარეობის, რესურსების ბაზის, ეკონომიკური, სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის გამომხატული ეროვნული ეკონომიკური სპეციალიზაცია, განვითარების საკუთარი ლოგიკა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დინამიკა. ამგვარი კონცეფცია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სულ უფრო და უფრო ავიწროებს უფრო ტრადიციულ ფრაზას „ამიერკავკასიის ეკონომიკური რეგიონი“ და ამას აშკარად არაერთი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი აქვს. მათი ანალიზის გარეშე, აქ ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ამჟამად არსებობს საქართველოს, როგორც ამიერკავკასიის ერთ-ერთი რეგიონის, გაფართოებული გაგებაც და ასევე მისი, როგორც დამოუკიდებელი ეკონომიკური რეგიონის, განმარტებაც.

ცხადია, რომ საქართველოს ახალ რეალობაში რეგიონულმა პროცესებმა სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა, ხდება რეგიონთაშორისი ურთიერთობების სისტემის რესტრუქტურისა და ამ მხრივ, საქართველოს „ფართო“ ინტერპრეტაციის კონცეფცია მუშაობს პერსპექტივისთვის, ახდენს რა საქართველოს ტერიტორიების ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ინტერესების სფეროს გამოკვეთას და ინტეგრაციის ტენდენციების ინიცირებას. ამავდროულად, ახალი რეგიონების (რომლებიც დღეს ოკუპირებულ ტერიტორიებს წარმოადგენს) შემოსვლა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში არის დროის საკითხი. სხვათა შორის, მოცემული პროცესის დაჩქარებაზე იმუშავებენ საერთო რეგიონული სატრანსპორტო პროექტები - ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დერეფანი, მილსადენების სისტემები და ა.შ.).

არსებითია საქართველოს ეკონომიკურ კომპლექსში ინფრასტრუქტურის ფუნქციების საერთო ზრდა, რადგან რეგიონული სპეციალიზაციის სტაბილიზაციის კომპონენტი შერწყმულია სატრანსპორტო კომპონენტთან, რაც გამოიხატება ექსპორტ-იმპორტის ტრანზიტის ზრდაში რეგიონის ტერიტორიაზე, ასევე საქართველოს პორტების განსაკუთრებულ როლში საქართველოს ეკონომიკის მზარდი საგარეო ეკონომიკური ორიენტაციის უზრუნველსაყოფად. შედეგად, ახალ ეკონომიკურ პირობებში, რეგიონული პრიორიტეტების ტრადიციული სისტემა მნიშვნელოვნად შეიცვალა და იმ სფეროების სია, რომლებშიც საქართველო „სპეციალიზდება“ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკური კომპლექსის მასშტაბით.

რეგიონული სპეციალიზაციის კორექტირებას ხელს შეუწყობს სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული ქსელის რეკონსტრუქცია, სატრანზიტო სატვირთო მიმოსვლის მასშტაბის ზრდა, რაც ირიბად აძლიერებს საქართველოს საწარმოების კონკურენტულ პოზიციას, მისი განვითარებად რეგიონთაშორის სატრანსპორტო ნაკადებთან ადაპტაციის საფუძველზე ქმნის წინაპირობებს წარმოების აღორძინებისთვის. ამის მაგალითია საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება ბათუმსა და ფოთში. ეროვნული მეურნეობის ეს დარგი აგროვებს სხვადასხვა დარგში მოქმედი უამრავი

საწარმოს მუშაობის შედეგებს. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს ეკონომიკაში მისი ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო კომპონენტის მზარდ მნიშვნელობას, აუცილებელია, აქვე დავაზუსტოთ, რომ, ძირითადად, ვსაუბრობთ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სატრანსპორტო მხარდაჭერაზე (ამ სფეროში გამოიყოფა სარკინიგზო კომუნიკაციები მაგისტრალური ნავთობის მილსადენები, საპორტო ობიექტები და ა.შ.). ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ზღვისპირა ტვირთების დაკარგვის ფონზეც კი, ქართულმა პორტებმა მოახერხეს ტვირთბრუნვის სტაბილიზაცია და ზრდა. ამ სფეროში დადებითი ტენდენციების პროგნოზირება შესაძლებელია სამომავლოდაც.

იმ პირობებში, როდესაც ბაზრის გაფართოება ხდება ქართული საწარმოების დიდი უმრავლესობის გადარჩენის საფუძველი, ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო კომპლექსის მდგომარეობა პრიორიტეტულია რეგიონული მწარმოებლებისთვის, რაც, ასევე, აძლიერებს ტრანსპორტის პოზიციას საქართველოს ეკონომიკაში. ამავდროულად, სატრანზიტო მაგისტრალების, დატვირთვა-გადმოტვირთვის მოდულებისა და ტერმინალების ქსელი (რომელიც ემსახურება რეგიონთაშორის სატვირთო ნაკადებს) წარმოადგენს რეგიონის მთელი ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო კომპლექსის ძირითად, ფუნდამენტურ კომპონენტს, რომელიც განსაზღვრავს როგორც მის ზოგად სპეციალიზაციას, ასევე მის პერსპექტივებს შიდა რეგიონული სატვირთო მიმოსვლის განვითარებაში. ამასთან დაკავშირებით, სატრანსპორტო კომპონენტის, როგორც რეგიონული დინამიკის პირობად და საქართველოს ეკონომიკურ სტრუქტურაში „ზრდის წერტილად“ განხილვისას, აუცილებელია, ხაზი გაუსვავთ წყლის ტრანსპორტის რეგიონის ფორმირების როლს, რადგან ის წარმოადგენს სატრანსპორტო ქსელის მთავარ ელემენტს, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის და მთლიანად საქართველოს საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ინტერესებს ყველაზე მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მიმართულებით.

საქართველოს შავი ზღვის პორტებისთვის სატრანსპორტო კომპლექსის კომპონენტების კოორდინაცია წარმოადგენს ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს. შავი ზღვისა და მდ. რიონის მცირე წყლებში პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს, აგრეთვე, საზღვაო და მდინარის გადაზიდვების ინფრასტრუქტურის მდგომარეობა: გადამზიდი არხების სიღრმე, რიონის არხის გამტარუნარიანობა და მდინარის ღონის არხები (სიღრმით 2 მ-მდე), რომელიც არ იძლევა დიდი ტევადობის გემების გამოყენების საშუალებას და საპორტო ეკონომიკის განვითარებისთვის წარმოადგენს ობიექტურ დაბრკოლებას. ტვირთბრუნვის გასაზრდელად და, ზოგადად, წყლის ტრანსპორტით გადაზიდვების ზრდის მიზნით, აუცილებელია პერმანენტულად ჩატარდეს ფსკერის გაღრმავების და რეგიონის წყალსადენებზე ვიწრო გზების „გაგანიერების“ სამუშაოები (კერძოდ, შავი ზღვის ბასეინის მდინარეებზე არსებულ ჰიდროელექტროსადგურზე და ა.შ.). ამ პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ დარგობრივ-სექტორული და რეგიონული ძალისხმევის კოორდინაციის შემთხვევაში.

რეგიონული ტვირთების გადაზიდვის ორგანიზებასა და შენარჩუნებაში არსებულ სერიოზულ პრობლემებს იწვევს თავად საქართველოს პორტების მდგომარეობაც. კერძოდ, საქართველოს შავი ზღვის პორტების შესაძლებლობები (პოტენციალი) ნავთობის გადაზიდვისთვის პრაქტიკულად ამოწურულია, ხოლო ზოგიერთი ზოგადი ტვირთისთვის გადამეტებულიც კი. ვგულისხმობთ იმას, რომ პორტები მუშაობენ შესაძლებლობათა მაქსიმუმზე და ზრდის პოტენციალი პრაქტიკულად აღარ აქვთ. ამის გათვალისწინებით, რომ ყაზახეთიდან, ცენტრალური აზიიდან, აზერბაიჯანიდან სატვირთო ნაკადები შესაძლოა გაიზარდოს, მწვავედ დგას საქართველოს საპორტო ეკონომიკის რეკონსტრუქციისა და მისი ტვირთის დამუშავების შესაძლებლობების გაფართოების საკითხი. ეს ერთ-ერთი პირველი და გადაუდებელი ამოცანაა ეკონომიკური სარგებლიანობისა და ეკონომიკური ზრდის მატების თვალსაზრისით.

რეგიონულ დონეზე სატრანსპორტო კომპლექსის ინტეგრაციის მნიშვნელობაზე, შესაძლებლობებსა და პრობლემებზე მოწმობს, კერძოდ, აჭარის რეგიონის გამოცდილება, სადაც მოქმედებს სპეციალური სამიზნე პროგრამა, რომელიც პირდაპირ არის ორიენტირებული ტვირთების გადაზიდვის რეგიონული სისტემის შექმნაზე, მათ შორის სატრანსპორტო და შესანახი ტერიტორიების ქსელის და პორტებში ტერმინალური ობიექტების შექმნაზე, რომლებიც მუდმივ რეჟიმში მოქმედებენ საკონტეინერო ხაზების ხარჯზე და ა.შ. ამ პროგრამის იდეოლოგიის დადებითად შეფასებასთან ერთად (მისი განვითარება თავისთავად სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია), აღვნიშნოთ მისი აშკარად სუსტი მხარეც - ეს უკანასკნელია კონკურენტულ გარემოში მოქმედი და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას სრულიად დამოუკიდებელი, სატრანსპორტო საწარმოების ინტერესებისა და „ქცევის“ მაკოორდინირებელი ორგანო. ასეთი მექანიზმის თანმიმდევრული შექმნა და ზოგადად სატრანსპორტო კომპლექსში ინოვაციური პროცესის სტიმულირება ამ მხრივ პრიორიტეტულ რეგიონულ პრობლემად გვევლინება. მისი გადაწყვეტისას, მნიშვნელოვანია როგორც რეგიონული მართვის სტრუქტურების პოზიციები, ასევე ტვირთის გადაზიდვების, პორტების და სატრანსპორტო საქმიანობის სხვა მონაწილეების ყოველდღიური პრაქტიკა მდგრადი ფუნქციონირების და, საბაზრო გარემოში კონკურენტუნარიანობის ზრდის ინტერესებიდან გამომდინარე, მათი შესაძლებლობებისა და საჭიროებების ადეკვატური ინდუსტრიის შიდა ურთიერთქმედების ფორმებისა და ტექნოლოგიების ძიება.

საკვანძო სიტყვები: საზღვაო პორტები, ლოგისტიკა, მექანიზმები

EVALUATION OF SOCIO-ECONOMIC IMPACT OF BIOECONOMY

Jurgita Baranauskiene

Associate professor, Vytautas Magnus University, Kaunas, Lithuania

jurgita.baranauskiene@vdu.lt

Numerous research endeavors and discussions are underway with the goal of making information regarding bioeconomy products and processes readily accessible to stakeholders and the general public. Equally vital is the examination of the social and economic ramifications stemming from the development of the bioeconomy.

The socio-economic impact of the bioeconomy is characterized by a multitude of indicators, encompassing factors such as quality of life, health, employment, income fluctuations, and costs, among others. Social phenomena are inherently intertwined with economic effects, making it imperative that the assessment of socio-economic impact be all-encompassing. This necessitates a meticulous selection of indicators that best capture the overall situation, as relying on a single isolated indicator devoid of context can result in erroneous conclusions and decisions.

The primary objective of this research is to identify the most pertinent socio-economic indicators and formulate a theoretical model for appraising the socio-economic impact of the bioeconomy. This theoretical exploration has brought to light the economic and social processes associated with the bioeconomy, which exert an influence on the public. Furthermore, it has pinpointed a prospective research area, namely, the need to amalgamate the analyzed indicators and develop evaluation methods for comprehensively assessing the socio-economic impact of the bioeconomy.

Through a judicious evaluation of the socio-economic impact of the bioeconomy, a deeper understanding of the objectives of bioeconomy development can be attained.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებები საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში

შალვა ურიადმოყელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტი
shalvauria@gmail.com

საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება განსაზღვრულ ვადებში ეტაპობრივად დაუახლოოს თავისი კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობასა და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში. ევრორეგულაციები ადგენენ საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვასა და მგზავრების გადაყვანაში ჩართული კომპანიების და მათი მენეჯმენტის მიმართ წესებსა და მოთხოვნებს. იმისთვის რომ ჰარმონიზებულ იქნას პირობები როგორც ქვეყნის შიდა, ისე საერთაშორისო გადამზიდავი კომპანიებისთვის, მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ეტაპობრივი ნაბიჯების გადადგმა და შესაბამისი რეფორმების გატარება. წინამდებარე რეგლამენტები, ასევე, მიმართულია სახელმწიფოების მიერ მასში მოცემული დებულებების დაცვის მონიტორინგისა და კონტროლის მეთოდების სრულყოფისკენ.

სავტომობილო ტრანსპორტის სფერო არის ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის ერთ-ერთი მთავარი წყარო, რომელიც უზრუნველყოფს მძღოლების, ტექნიკოსების, ტრანსპორტის მენეჯერებისა და დამხმარე პერსონალის დასაქმების შესაძლებლობებს.

იმისთვის, რომ ლოგისტიკა და სატრანსპორტო პროცესის მართვა ეფექტური იყოს, აუცილებელია ორგანიზაციაში ყურადღება გამახვილდეს შემდეგ საკითხებზე: დაგეგმვა, ხელშეკრულებების წარმოება, დაზღვევის პროცედურების გააზრება, განბაჟების მომსახურების პროცესის ცოდნა, გადაზიდვის პროცედურის მომზადება, მცირე და დიდი გადაზიდვების ოპტიმალური კონფიგურაცია, ტრანსპორტირების მეთოდის არჩევა, ტვირთის გადაზიდვისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალების განსაზღვრა, შესაბამისი გადამზიდველის შერჩევა, ტვირთის დანიშნულების ადგილამდე მიტანის ორგანიზება, პროცესის ოპტიმიზაცია, გადმოტვირთვა და დატვირთვის ოპერაციების დაგეგმვა.

სატრანსპორტო კომპანიის მართვა ერთ-ერთი ყველაზე რთული პროცესია, სადაც ეკონომიკური სუბიექტის წარმატებული ფუნქციონირების გასაღები სწორედ მენეჯმენტის ორგანიზაციული სტრუქტურის სწორ არჩევანში მდგომარეობს, რასაც, უმთავრესად, მოჰყვება ორგანიზაციის სრულყოფილი კონტროლი.

ACCOUNTING AND MANAGEMENT OF ENVIRONMENTAL COSTS IN THE BUSINESS PROCESS OF COMPANIES

Beibit Korbaev

Modern entrepreneurs understand more than ever before the value of making a positive impact on the environment through their business. Environmental impact as an entity may strengthen customer relationships and help create a brand image characterized by honesty and commitment to ethics. However, quantifying the company's environmental impact may be difficult, especially when such company contributes to environmental protection in several ways. Learning how to creatively evaluate your company's positive environmental impact may help you compare your own progress by providing data and statistics useful for marketing and public relations campaigns.

Environmental cost management allows your business to control the costs associated with the environmental impact of your company's business operations. Your company may have an environmental impact in several ways, including air pollution, industrial emissions, impact on wet lands and waste disposal.

Environmental costs include the current and future environmental impact of your company, and the labor costs associated with accounting for environmental costs. Effective control of environmental costs and promotion of environmental benefits will increase the overall profitability of your company business.

Research on composition of production cost of products of industrial enterprises, including environmental costs, have been conducted, and this issue remains a matter of argument. The academic literature regarding environmental elements has no common opinion on methods of calculating the production cost that includes the environmental costs, and this leads to concealment of costs with environmental elements in the total amount of costs of an enterprise.

Proportion of overhead costs of the manufactured product is steadily increasing in modern economic practices of industrial production. This process is affected by various factors: the expansion of production automation, involving the complete or partial replacement of manual labor with machine labor; the introduction of new technologies, including information technology; deeper specialization of production with the transfer of provisional functions to various service organizations. One of the most common methods used in domestic manufacturing enterprises is the attribution of indirect costs to the production cost of a product based on structural indicators (man-hours worked, machine-hours) or based on the indicators of material and financial resources (the cost of the materials, the amount of remuneration of employees of the production unit, etc.). This approach does not take into account the complex nature of modern indirect costs, the structure of most of which includes an environmental element. As a result, the differentiation of distribution bases for overhead costs of different composition and content with environmental elements (indirect constants and indirect variables) will help to increase the degree of objectivity of the formed production cost, which will allow planning of production and material resources in the short and medium term. Many business entities face problems related to the formation of accounting and information data on environmental costs, the lack of systematization of information about such costs as part of management reporting.

One of the key areas of development of accounting and analytical tools for accounting activities includes the issues of optimization of costs with an environmental component, their adaptation to modern requirements of the accounting and analytical system of an entity, especially in the framework of the formation of the production cost. Information resources that serve as sources for the formation of reporting

forms may include: indicators reflected in the ecological object data sheet of an economic entity; environmental statistics from publicly available sources and reports of the Bureau of National Statistics of the Republic of Kazakhstan; primary indicators in documents generated at the time of economic transactions; information from official sources on established standards, permissible environmental emissions; the established procedure for waste disposal; primary payment accounting documents reflecting the totality of payments of a mandatory nature for the use of environmental objects and resources. Costs with an environmental component in industrial enterprises have a significant share in the total amount of costs. Industrial enterprises measure these costs in indirect costs in articles of reporting forms as general administrative costs, as well as manufacturing overheads. Moreover, such costs are not separately defined in the reporting.

In addition, costs with an environmental component are subject to inclusion in the production cost of the calculated product, which should be reflected in the local act of the enterprise – the accounting policy that determines the appropriate base for the distribution of indirect costs. In addition, the composition of environmental costs in the course of operating activities may be significant, which is the basis for their disclosure in a separate line in the reporting forms.

The fundamental importance in the classification of costs containing an environmental element are the requirements of International Financial Reporting Standards (IFRS), differentiating the costs of internal and external classification feature. It is impossible to predict the external environment (external economic conditions) in advance and determine the amount of costs of industrial enterprises that environmental incidents will entail. In this case, an economic entity cannot bear expenses due to various circumstances of an objective and subjective nature, since the external environment has a factor of surprise and cannot be considered as a factor determining environmental costs.

